



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თამთა წირქვაძე

აფექტირებული დანაშაულის დიმენსიოლოგიური გააზრება

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი

დისერტაცია

ხელმძღვანელები: მინდია უგრეხელიძე

სამართლის დოქტორი, აკადემიკოსი, კავკასიის

საერთაშორისო უნივერსიტეტის

პროფესორი.

პიტერ ვილკიცი , სამართლის დოქტორი,

კიოლნის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.

თბილისი, 0141, საქართველო

2023 წელი

საავტორო უფლება © „თამთა წირქვაძე“, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებულია სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა წირქვაძე

25.05.2023

ანოტაცია

აფექტში ჩადენილი დანაშაული სისხლის სამართლის ერთ-ერთ ურთულესი საკითხია, ის მხოლოდ საკუთრივ სამართლის სფეროს არ განეკუთვნება, არამედ მასთან მჭიდრო ურთიერთქმედებაშია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, საზოგადოებრივი ეთიკა, მორალი, პოლიტიკა და სხვა მრავალი დარგი, შესაბამისად, ის საჭიროებს ინტერდისციპლინურ და დიმენსიოლოგიურ, ანუ განზომილებათა თეორიის ჭრილში გააზრებას. აღნიშნული დისერტაცია წარმოადგენს მცდელობას, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აფექტში ჩადენილი დანაშაულის სიღრმისეულად შესწავლისა და გააზრებისა.

კვლევის ფარგლებში განხილულია როგორც საქართველოს, ისე გერმანიისა და საერთო სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის მიდგომები აფექტში ჩადენილი დანაშაულისადმი და, შედარებითი კვლევის მეთოდის დახმარებით, გაანალიზებულია მათ შორის ურთიერთკავშირი. აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით შემოთავაზებულია ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც გონივრულად ლიბერალურს და თანამედროვეობისათვის შესაფერისს გახდის სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და, ზოგადად, სისხლის სამართლის დამოკიდებულებას აფექტში ჩადენილი პროვოცირებული დანაშაულის ნაირსახეობათა მიმართ.

განსახილველ საკითხზე სასამართლო პრაქტიკისა და თეორიის შესწავლისას გამოიკვეთა არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, მაგალითად აუცილებელი მოგერიებისა და აფექტირებული დანაშაულის გამნიჯვნასთან დაკავშირებით. გარდა სამართლებრივისა, აქტუალურია, ასევე, მორალური სტანდარტები, რომლებიც გენდერული დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს და არარელევანტურია სამართლებრივი თვალსაზრისით. ქვეყნის განვითარებისათვის და ევროპულ ოჯახში ჩვენი ადგილის დასამკვიდრებლად

კი აუცილებელია საზოგადოების ფსიქოლოგიური და მორალური მზადყოფნა ანტიდისკრიმინაციული და არაძალადობრივი იდეოლოგიის ჩამოსაყალიბებლად. ყოველივე ამის გამომუშავებაში უწინარესად როლს თამაშობს საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. ამასთან, თუ ამ ყოველივეს მეცნიერულ კვლევებსაც შევაშველებთ, საგანმანათლებლო ღონისძიებების ქმედითობის მხრივ, საზოგადოებრივი ცნობიერება საგრძნობლად ამაღლდება.

დისერტაციის ფარგლებში შემოთავაზებულია ისეთი ტერმინოლოგიური სიახლე, როგორცაა სიტყვა „აფექტირებული“. იგი პროვოკაციის ცნებასაც გულისხმობს, ვინაიდან ტერმინი „აფექტირებული“ მინიშნებით აღნიშნავს სხვისი ქმედების და ზემოქმედების შედეგად აფექტში ყოფნის მდგომარეობას. აღნიშნული სიახლე ამარტივებს სამართლებრივი ცნების შინაარსის გადმოცემას და, ნაცვლად აფექტში ჩადენილი პროვოცირებული დანაშაულისა, შესაძლებელი ხდება „აფექტირებული დანაშაულის“ გამოყენება. გარდა ამისა, ვინაიდან არც კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, და არც საერთო სამართლის ქვეყნებში, აფექტირებული დანაშაული ცალკე მუხლში არ არის ჩამოყალიბებული, საჭირო გახდა ამ ტერმინის უცხოურენოვანი შესატყვისის მოძიება. დისერტაციის ფარგლებში შემოთავაზებულია ინგლისურენოვანი ვერსია აფექტირებული დანაშაულისა , Provoked Temporarry Insenity, რაც სიტყვა - სიტყვით გულისხმობს პროვოცირებულ დროებით აშლილობას და „აფექტირებული დანაშაულის“ ერთგვარ სინონიმს წარმოადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნული ამარტივებს განსახილველი დანაშაულის ანალიზს და მის მეცნიერულ კვლევას.

წარმოდგენილი დისერტაცია შესაძლოა სასარგებლო სამეცნიერო ნაშრომი გამოდგეს აფექტირებული დანაშაულის სიღრმისეულად

გასააზრებლად და შესასწავლად, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ საგრძნობია აღნიშნულ სფეროში არსებული კვლევების და ნაშრომების უკმარისობა.

Dimensional comprehension of the crimes committed under the Provoked Temporary Insanity

Annotation

A crime committed under the provoked temporary insanity is one of the most complicated issues of criminal law, as it does not refer only to the sphere of law. A lot of sciences are involved in the process of studying the provoked temporary insanity crime, such as: law, psychology, psychiatry, social ethics, politics, etc. Hence, it requires interdisciplinary and dimensional understanding. Taking into account the above, the present thesis is an effort of a deep study and comprehension of the provoked temporary insanity crime.

Within the frames of this research, we have studied the approaches to the provoked temporary insanity crimes used by the Georgian criminal law as well as the German and the Common law countries and interrelations among these approaches are analysed using comparative methods. Based on these researches, we suggest the strategic recommendations that would make the criminal legislation and, generally, the criminal procedural approaches reasonably liberal and suitable for XXI century challenges with regard to the varieties of provoked temporary insanity crimes.

During the work on the judicial practice and theory, a number of important problems have been revealed, for instance, as how to differentiate self - defence and the provoked temporary insanity crime. In addition to the judicial problems, we face the problems of some moral standards too that contain the features of gender discrimination and are irrelevant from legal point of view.

Psychological and moral readiness of the society is necessary to form anti-discriminatory and non-violent ideology for the development of the country and establishing our place in the European family. The very first role in working out this

belongs to the legislative and judiciary powers. Furthermore, if we provide the scientific research in terms of educational practices, the social consciousness will significantly rise.

Within the frames of thesis terminological innovation is introduced, such as “Provoked Temporary Insanity”, which implies the notion of provocation, since the term “Affect” or “Temporary Insanity” indicates that the state is caused by another person’s action. This innovation simplifies conveyance of the contents of the judicial notion and makes it possible to use the term “Provoked Temporary Insanity Crime”. Besides, as there is no provision mentioning the temporary insanity crime either in the continental law or common law countries, we think that it is necessary to find a corresponding English term and thus introduce the term “Provoked Temporary Insanity” which literally means temporary disorder and is the synonym of temporary insanity. All above mentioned makes it easier to analyse the crime under discussion and its scientific studies.

This thesis may be a useful scientific work for the deep comprehension of the provoked temporary insanity crime and studying it in praxis taking into consideration the fact that this field of science still lacks such studies and researches.

შინაარსი

შესავალი	9
I. აფექტირებული დანაშაულის ფსიქოლოგიური რაობა	22
I.I აფექტის დადგენისა და შეფასების პრაქტიკული ანალიზი	26
I.I.I აფექტის სასამართლო - ფსიქიატრიული მხარე	28
I.I.II აფექტის სასამართლო - ფსიქოლოგიური ბუნება	34
I.II. ემოციური განცდა მხატვრულ ლიტერატურაში	42
II. აფექტირებული დანაშაულის შეფასება სოციალური ეთიკის ჭრილში	49
III. აფექტირებული ქმედების დასჯადობის სფერო	65
III.I. აფექტირებული დანაშაულის სამართლებრივი დიფერენციაცია მაპროვოცირებელი ქმედების მიხედვით	72
III.II. აფექტირებული დანაშაულის საკანონმდებლო რეგულაციისა და კვლევის მოკლე ისტორიული მიმოხილვა	85
III.III. აფექტირებული დანაშაულის საკითხები საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში	89
III.IV აფექტირებული მდგომარეობის, როგორც მაპრივილეგირებელი გარემოების გავრცელება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებზე	100
III.V. საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი აფექტირებული დანაშაულის ჭრილში	103
III.VI. აფექტირებული დანაშაული საერთო სამართლის ქვეყნებში	112
დასკვნა	124
ბიბლიოგრაფია	130

შესავალი

თემის აქტუალურობა და საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლი აფექტის წინაპირობად მიიჩნევს “მძიმე შეურაცხყოფას”. იყო თუ არა შეურაცხყოფა მძიმე, ეს შეფასების საკითხია. შეფასებას, როგორც წესი ამ შემთხვევაში ახდენს სასამართლო. შეფასების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ დამნაშავეს პიროვნული მახასიათებლები. მაგალითად, მისი მგრძობელობა ღირსების¹ შინაგანი განცდის მიმართ. ასეთი მიდგომისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე დამნაშავეს აღზრდა და ის სოციალური გარემო, სადაც მას უხდება ყოფნა. ის, რაც მისაღები და შედარებით ადვილად მოსათმენია ერთ სოციალურ ფენაში, შეურაცხყოფელია მეორე სოციალური ფენის წარმომადგენლებისათვის. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ღირებულებასაც, რასაც დაზარალებული შეეხო, მაგალითად: დედის, ცოლის, დის, შეგინებას უწყალო სიტყვებით საქართველოში და არაერთ სხვა კულტურაში მძიმე შეურაცხყოფად აღიქვამენ.² შეურაცხყოფა შეიძლება გამოიხატოს: სიტყვით, მოქმედებით და გამოსახულებით. ყოველივე ზემოაღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით, დიმენსიოლოგიურ გააზრებას საჭიროებს როგორც გაღიზიანების ხარისხის დადგენა: მძიმე შეურაცხყოფა, სხვა მძიმე ამორალური ქმედება, ისე მართლსაწინააღმდეგო ძალადობის სიმძიმე. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეფასდეს, რამდენად თანაზომიერი და ადეკვატური იყო ძლიერი სულიერი აღელვება და დამნაშავეს ქმედება.

საკვლევი საკითხი მრავალმხრივ არის საგულისხმო. ვინაიდან იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ერთმანეთის მომიჯნავე ისეთ დარგებთან,

¹ ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქო სამართლებრივი ცნების მოცულობა (თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი 2014., N2, გვ 5; Izard C. E., Human Emotions, New York Plenum Press. 1977., p.87.

² ცქიტიშვილი თ., სასჯელი და მისი შეფარდება., გამომცემლობა მერიდიანი., 2019., გვ. 204.

როგორცაა სამართალი, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, სოციალური ეთიკა და ა.შ. დაგროვდა ბევრი ასპექტი, რომელიც ახლებურ გააზრებას საჭიროებს. ემოციური განცდების შესწავლა მეტ-ნაკლებად საჭიროა იურიდიული მეცნიერების ყველა დარგში, თუმცა ყველაზე მეტად ამას მოითხოვს სისხლის სამართალი, სადაც ემოციური სფეროს გათვალისწინება გვესაჭიროება თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაცილებით ფართო სპექტრის მიმართ.

უწინარეს ყოვლისა უნდა დავადგინოთ, რა ზომით უნდა იქნეს ფსიქოლოგია გამოყენებული სამართალში, რათა არც მისი გაზვიადება მოხდეს, და არც დაკნინება. თუ ამ გზას დავადგებით, თვალნათლივ გამოჩნდება საერთოდ ემოციისა და, კერძოდ, აფექტის როლი სამართალში; გაირკვევა, თუ რა მიმართებაშია იგი სხვა ფსიქოლოგიურ ფუნქციებთან; რა დანიშნულება გააჩნია ქცევის სტრუქტურაში და რა გავლენას ახდენს ბრალისა და პასუხიმსგებლობის საკითხებზე.³

მიზნები და ამოცანები - სადოსერტაციო თემად შერჩეული კვლევის ძირითად მიზანსა და ამოცანას წარმოადგენს აფექტში ჩადენილი დანაშაულის დეტალური შესწავლა როგორც ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ, ისე სოციალური ეთიკის ჭრილში.

ფსიქოლოგიური პლასტი მოითხოვს პასუხს კითხვაზე - რა ხდება აფექტის დროს ადამიანის ფსიქიკაში; როგორ ხდება ემოციების გაზომვა და რა ტექნოლოგიები არსებობს აფექტის დასადგენად; როდის არ არის სულიერი აღელვება ძლიერი და როდის ხდება ძლიერი, ანუ როდიდან გადადის აფექტურ მდგომარეობაში; როდის გვაქვს ფიზიოლოგიური აფექტი და როდის პათოლოგიური. ამ ყველაფერზე პასუხების გასაცემად დავგჭირდა

³ წირქვაძე თ., აფექტირებული დანაშაულის საკვლევი მეთოდოლოგიური ქარგა., ჟურნალი სამართალი და მსოფლიო., 2019., N 13 გვ.58.

ფსიქოლოგებთან და ფსიქიატრებთან კონსულტაცია და ერთობლივი ძალებით შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

სოციალური ეთიკის ჭრილში გამოსარკვევი და დასადგენია, როგორ აფასებს ფსიქიკაში მიმდინარე შესაბამის პროცესებს საზოგადოებრივი მორალი. საქმე ისაა, რომ მორალი რამდენიმე ნაირსახეობად განიყოფება. ესენია ინდივიდუალური ეთიკა, საზოგადოებრივი ეთიკა, პროფესიული ეთიკა და სხვა. ჩვენთვის უპირატესად საინტერესოა საზოგადოებრივი ანუ სოციალური ეთიკა, რადგან მხოლოდ მისი კრიტერიუმებით იზომება ქცევა საიმისოდ, რათა დანაშაულებრივ ქმედებად იქნეს ან არ იქნეს ის კვალიფიცირებული. საკითხი შეეხება პასუხისმგებლობის დასაბუთებას, კერძოდ, შეიძლება თუ არა პასუხი მოეთხოვოს ადამიანს აფექტში ჩადენილი ქმედებისათვის.

თუ ადამიანს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდა **სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა**, მაშინ პასუხისმგებლობის საფუძველი არსებობს; მაგრამ, თუ არა, მაშინ პასუხის მოთხოვნა შეუძლებელია. საქმეს ართულებს ის, რომ თავად აფექტია ორი სახის . თუ აფექტი პათოლოგიურია, საკითხი მოხსნილია: ავადმყოფური მდგომარეობის გამო პასუხს ვერავის მოსთხოვ. მაგრამ, ფიზიოლოგიური აფექტი როდი გამორიცხავს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას, მაშასადამე პირს, რომელმაც ქმედება ფიზიოლოგიურ აფექტში ჩაიდინა, შეიძლება ქცევა ბრალად შეერაცხოს და პასუხი მოეთხოვოს. მაგრამ ნუთუ მაშინაც, როდესაც რისხვის ან შიშის გამო ცნობიერება სრულად ჰქონდა დაბინდული ან დაბნელებული? დიახ, ასეთ შემთხვევაშიც. მთავარია ექსპერტიზამ დაადიგონოს და, მის კვალობაზე - სასამართლომ, რომ მოქმედ პირს მაინც ჰქონდა სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა. ამგვარად, ნათელი ხდება, რომ ჩვენს წინაშეა ფაქტის დადგენის საკითხი, ანუ **questio facti**. ეს კი არ არსებობს **ფსიქომეტრიული გაზომვის** გარეშე. სხვაგვარად , უნდა მოხდეს **დეტერმინაციის ხარისხობრივი გაზომვა**. ჩვენს შემთხვევაში ეს არის მეთოდი,

რომლის მეშვეობით ხდება საბოლოოდ პასუხისმგებლობის სოციალურ-ეთიკური დასაბუთება, ურომლისოდაც სამართალი ვერ ამოქმედდება.

საბოლოო სამართლებრივი ინსტანცია, რომელმაც იურიდიული შეფასება უნდა მისცეს ქცევას, თუ საამისოდ საკმარისი მორალური სანქცია მოიპოვება. იურიდიული შეფასება გულისხმობს როგორც საკანონმდებლო რეგულაციას, ისე მოსამართლის კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებას. აფექტირებული დანაშაულის შემთხვევაში, საკანონმდებლო რეგულაციის, მხრივ, დაგვჭირდება ამ დანაშაულის გარკვეული დიფერენციაცია მაპროვოცირებელი ქმედების მიხედვით. ეს ყოველივე საჭიროებს, ფსიქოლოგებთან კონსულტაციის შემდეგ, საზოგადოებრივი დამოკიდებულების გაზომვასა და შეფასებას. ამის დასადგენად ჩავატარე ე.წ. „მარტივი შემთხვევითი სახის კვლევა“, და, სხვადასხვა პიროვნული მახასიათებლების მიხედვით, მოვახდინე საზოგადოების დაყოფა. რაც დამეხმარა გამომეკვლია ჩემთვის საინტერესო საკითხი სოციალური ეთიკის ფარგლებში.

საკვლევი კითხვები - აფექტში ჩადენილი დანაშაული რამდენიმე დონის საკითხთა თანმიმდევრულ გადაწყვეტას მოითხოვს, რომლებიც სამ შრედ არის განლაგებული:

1. ფსიქოლოგიური პლასტი, რომელიც მოითხოვს პასუხს კითხვაზე - რა ხდება ამ დროს ადამიანის ფსიქიკაში?
2. სოციალური ეთიკის ჭრილი - როგორ აფასებს ფსიქიკაში მიმდინარე შესაბამის პროცესებს საზოგადოებრივი მორალი?
3. საბოლოო, სამართლებრივი ინსტანცია, რომელმაც იურიდიული შეფასება უნდა მისცეს ქცევას, თუ საამისოდ საკმარისი მორალური სანქცია მოიპოვება - არის თუ არა ქცევა სამართლებრივად გასაკიცხი?

მხოლოდ ყველა ამ კითხვაზე მეცნიერული პასუხის გაცემის კვალობაზე გახდება შესაძლებელი აფექტში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის კონსტრუქციის სრული ან ნაწილობრივი ვაგრისიანობის ვერიფიკაცია თანამედროვე სისხლის სამართალში, ხოლო შემდგომ - შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ოპტიმალური შედეგების დასანერგად.

ლიტერატურის მიმოხილვა - ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად იკვეთება, თუ რა მიზანს უნდა ისახავდეს წინამდებარე კვლევა და რა მიმართებით უნდა განხორციელდეს კვლევის მეთოდების ძიება. უაღრესად სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ ისტორიულ ნაწილს; სახელდობრ, რა გაკეთებულა საკვლევი თემის მიმართულებით, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და რა დარჩა გამოუკვლეველი, რაც ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაცენებს. ეს შესაძლებელს გახდის, გაბედულად შევუდგეთ თემის პოზიტიურ კვლევას და დავეუფლოთ მის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, როგორც ფსიქოლოგიურს, ისე სოციალურ-ეთიკურს და სამართლებრივს. დისერტაციაზე მუშაობის პროცესში სულ შესწავლილ იქნა ორასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და ორმოცდაათამდე სასამართლო გადაწყვეტილება. აქედან კვლევისათვის გამოსადეგი აღმოჩნდა 144 სამეცნიერო ნაშრომი (71 ქართული და 73 უცხოური) და 14 სასამართლო გადაწყვეტილება.

1. აფექტირებული დანაშაულის კვლევის ისტორიას, რომ გადავხედოთ, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ნაშრომი ამ მიმართულებით არის თამაზ შავგულიძის სტატია, აფექტში ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, 1963 წელს გამოცემული. აღნიშნული სტატია ეხება აფექტირებული დანაშაულის სუბიექტურ მხარეს; მის გამამართლებელ გარემოებებს; ძლიერი

სულიერი აღელვებისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების გამიჯვნას და სხვა.

2. ამავე ავტორის სადისერტაციო ნაშრომი, აფექტი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 1973 წლის. აღნიშნულ ნაშრომებში საუბარია აფექტირებული ქცევის ფსიქოლოგიურ ბუნებაზე და ამ ქცევაზე სოციუმის გავლენაზე; ძლიერი სულიერი აღელვებისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების მსგავსება და განსხვავებაზე და სხვა.⁴
3. საბჭოთა კავშირში აღნიშნული მიმართილებით ასევე ვხვდებით **Сидоров Б .В . -ის 1974 წლის ნაშრომს - Аффект . Его уголовноправовое и криминологическое значение.** აქ საუბარია აფექტის წარმომავლობაზე, მის სოციალურ ბუნებაზე და აღქმაზე, ქცევის მოტივზე და პასუხისმგებლობის საკითხზე.
4. უკვე თანამედროვე და დამოუკიდებელ საქართველოში აფექტირებული დანაშაული განხილულია 2011 წლის სისხლის სამართლის კომენტარებში, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მზია ლეკვეიშვილის, ნონა თოდუასა და გოჩა მამულაშვილის ავტორობით. მასში საუბარია ზოგადად აფექტის გამომწვევ მიზეზებზე, იმაზე, რომ შესაძლოა აფექტი არ იყოს იმწუთიერი და იგი მაპრივოცირებელი ქმედებიდან დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ აღმოცენდეს.⁵
5. შედარებით მოგვიანებით, 2018 წელს, ქვეყნდება ალექსანდრე გიორგიძის სტატია, სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ, აფექტში ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაციის

⁴ Шавгулидзе, Т. Г., Аффект и уголовная ответственность, Издательство "Мецниереба", Тбилиси. 1973.,с.76.

⁵ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), გამომცემლობა მერიდიანი., 2011., გვ.45.

ცალკეული საკითხები, რომელშიც საუბარია მაპროვოცირებელი სუბიექტის როლზე. თუმცა აქ არ არის განხილული მიზეზობრივი კავშირი მაპროვოცირებელი სუბიექტის ქმედებასა და დამნაშავის ქცევას შორის.⁶

6. ძალიან საინტერესო მიგნებები აქვს ავტორს, თეიმურაზ ცქიტიშვილს 2019 წელს გამოცემულ წიგნში - **სასჯელი და მისი შეფარდება**, სადაც საუბარია აფექტირებული მდგომარეობის დროს ბრალისა და უმართლობის ხარისხზე; აფექტის მაპროვოცირებელ ქმედებაზე და სხვა,
7. გამყრელიძე ო., 2002., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი., დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ., სადაც საუბარია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისა და აფექტირებული მდგომარეობის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში სამართლებრივ გადაწყვეტილებაზე. ვეთანხმები პროფესორ გამყრელიძეს იმაში, რომ ქმედება აუცილებელ მოგერიებად უნდა დაკვალიფიცირდეს, თუ აფექტირებულ მდგომარეობაში მყოფი პირი მოძალადეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების დასრულებამდე დააზიანებს. წიგნში ასევე საუბარია აფექტის დროს განზრახვის სახეზე და პასუხსიმგებლობის დამდგარი შედეგის მიხედვით გადაწყვეტაზე.
8. აფექტის ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლაში ძალიან დამეხმარა შემდეგი ლიტერატურა :
 1. უზნაძე დ., 2009. „განზყოფის ფსიქოლოგია“;
 2. მერაბიშვილი გ., 2016., ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია;
 3. Дати́й А.В., 2011., Учебник - Судебная медицина и психиатрия;

⁶ გიორგიძე ა., „სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ, აფექტში ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაციის ცალკეული საკითხები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „იურიდიული მაცნე“, 2018., N1. გვ.36.

4. სამსონიძე ც., ნანეიშვილი გ., ზურაბაშვილი დ., ბერია ზ., ხარებავა თ., ბაზღაძე თ., 2006., სასამართლო ფსიქიატრია;
 5. Ткаченко А.А., 2004., Судебная психиатрия : консультирование адвокатов;
 6. Лурия А. Р., 1928., Сопряженная моторная методика и ее применение в исследовании аффективных реакций.
9. გამოყენებულ ლიტერატურაში ასევე ხაზგასასმელია საერთაშორისო ხელშეკრულებები და გადაწყვეტილებები გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია მაპრივილეგირებელი მდგომარეობის გამორიცხვაზე გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების დროს:
 1. საქართველოს სახალხო დამცველი., 2018., ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში;
 2. ევროპის საბჭოს 2002 წლის გადაწყვეტილება ძალადობისაგან ქალთა დაცვასთან დაკავშირებით;
 3. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია., 2011;
 10. შედარებითი კვლევისათვის გამოვიყენე სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა, რამაც ძალიან საინტერესო და ღირებული შედეგი მომცა. გამოვიკვლიე როგორც ინგლისურ - ამერიკული სისტემის ქვეყნების ისე კონტინენტური ევროპის ქვეყნების ნორმატიული მასალა და მეცნიერთა შრომები.
 11. უაღრესად მნიშვნელოვანია ასევე საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა აფექტირებულ დანაშაულთან მიმართებით. ნაშრომში მოყვანილი ქეისებით ნათლად იკვეთება არსებული ხარვეზები, რაც აღნიშნული კვლევის ანალიზს გვიმარტივებს.

12. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებული , რაც დამეხმარა სადსერტაციო ნაშრომის შესრულებაში , ეს გახლავთ აკადემიკოს მინდია უგრეხელიძის ნაშრომები 1967 წლიდან 2020 წლის ჩათვლით.

ნაშრომის თეორიული ბაზა - ერთი სიტყვით, დასახული მიზანია აფექტში ჩადენილი დანაშაულის დეტალური შესწავლა როგორც ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ, ისე სოციალური ეთიკის კრილში. ნაშრომში საამისოდ სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის შესწავლა იქნება საჭირო ნიმუშად, გარკვეული მოსაზრებების გასამყარებლად ან პირიქით. თუმცა, მთავარი და განმსაზღვრელი აღნიშნულ საკითხზე გახლავთ საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის განხილვა.

აღნიშნული საკითხები უნდა შეისწავლებოდეს კომპლექსურად, მათ შორის აღნიშნულ სფეროში არსებული ქართული და უცხოური წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის, ასევე პრაქტიკული მასალების გათვალისწინებით. ამაში შედის, როგორც ქართული იურიდიული მეცნიერება და პრაქტიკა, ისე, მართლმსაჯულების საერთაშორისო გამოცდილება და შესაბამისი დოქტრინები, სწორედ ამის კვალდაკვალ უნდა შემუშავდეს არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნულ საკითხზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ როგორია, პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ფენომენოლოგია უშუალოდ დანაშაულის დამთავრებისთანავე. სამწუხაროდ ეს კვლევა საერთოდ არავის ჩაუტარებია, ამიტომ საშური საქმეა მცდელობა იმისა, რომ, განსხვავებული მოსაზრებებისა და საკამათო საკითხების არსებობის პირობებში, ჩამოყალიბდეს ნათელი და მკაფიო სურათი.

ქართული რეალობისთვის ის ფაქტიც საგულისხმოა, რომ მიმდინარე ევროინტეგრაციის პროცესში, მარტო სასურველი და მიზანშეწონილი კი არა, არამედ აუცილებელიცაა სამართლებრივ კვლევებში, დემოკრატიის პრინციპების მეცნიერული საფუძვლების გათვალისწინება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციას.⁷

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია - აუცილებელია მოვახდინოთ ცნებების მკაფიო დიფერენცია. მეთოდი ეს არის გარკვეული გზა მიზნის მისაღწევად; კვლევის მეთოდი, შესაბამისად, ერთ-ერთი გზა დასახული მეცნიერული მიზნის გადასაწყვეტად. მეთოდიკა მეთოდების სისტემაა. ამიტომ, ჩვენი კვლევის მეთოდიკაც მეცნიერული გზების სისტემად უნდა გვესახებოდეს. დასასრულს, მეთოდოლოგია, ეს არის სწავლება მეთოდებისა და მეთოდიკის შესახებ. იმავდროულად, იგი არის მსოფლმხედველობითი საკითხი, თუ რა კუთხით და რა ჭრილში შეისწავლება გარკვეული თემა. ავიღოთ, მაგალითად, დაპირისპირებულობათა ბრძოლისა და ერთიანობის დიალექტიკური კანონი. აფექტში ჩადენილი დანაშაულის კვლევის მეთოდოლოგიად, ფილოსოფიური თვალსაზრისით, ყველაზე შესაფერისია სწორედ დიალექტიკური მოძღვრება სინამდვილის შესახებ. ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით კვლევის მეთოდოლოგიად მიჩნეულ უნდა იქნეს მოძღვრება სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ, მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით; ამ

⁷ იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, კარი III, თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2014., გვ. 7-9; **ლეონარდი დ.**, ევროკავშირი სახელმძღვანელო, თარგმანი მე-7 გამოცემიდან, საქართველოს გამომცემლობათა ასოციაცია, გამომცემლობა ჯისიაი, **2002.**, გვ. 90; **ჯიშკარიანი ბ.**, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2013., გვ. 77; **ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., ივანიძე მ., ცქიტიშვილი თ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.**, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში., 2016., გვ.74.

კონკრეტულ შემთხვევაში ეს ასპექტი არის ადამიანის უფლებათა პრიორიტეტული დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს კონტექსტში.

აფექტში ჩადენილი დანაშაულის საკვლევად საჭირო იქნება ასევე სამართლებრივი სემიოტიკა, რაც გულისხმობს მოძღვრებას პირობითი ნიშნებისა და სიმბოლოების შესახებ სამართალში. მათ შორისაა, სხეულის ენაზე დაკვირვება აფექტირებული მდგომარეობის დროს: ჟესტი, მიმიკა, გამომეტყველება, მოძრაობები და სხვა, რამაც უნდა მოგვახდენინოს სწორი ორიენტაცია სუბსუმციის პროცესში (მაგ., გულში იცემს მჯიღს თუ თავში).⁸

კვლევის მეთოდი, უწინარეს ყოვლისა, ინტერდისციპლინურ მიდგომას მოითხოვს, ვინაიდან აფექტში ჩადენილი დანაშაული მოიცავს არა მარტო სამართლებრივ, არამედ ფსიქოლოგიურ და სოციალური ეთიკის სფეროსაც. ამიტომ აუცილებელია მათი ერთობლივ ურთიერთქმედებაში შესწავლა საკვლევ თემასთან მიმართებაში. ცხადია, ვერავინ აიცდენს ფორმალურ-იურიდიული მეთოდის გამოყენებას, იგივე შეეხება კვლევის ისტორიულ მეთოდს, შედარებითი კვლევის მეთოდს და ყველა სხვას, რაც საჭიროა თემისმიერი კვლევის ფარგლებში. მაგრამ ის რითაც მთლიანად განმსჭვალული უნდა იყოს ნაშრომი, ეს არის ლეგიმეტრიული, ფსიქომეტრიული და სოციომეტრიული მეთოდები, რომლებიც ადრე მიზანმიმართულად არავის გამოუყენებია, ან შესაძლოა არაცნობიერად გამოიყენებოდა კიდევ მათი პრიმიტიული გაგების ფარგლებში. ამ მეთოდების გამოყენება ლოგიკურად უკავშირდება სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეთიკური რეალობის შესწავლას, ერთდროულად თვისებრივ და რაოდენობრივ განზომილებაში, როგორც სტატიკაში, ასე დინამიკაში, განსაკუთრებით სწორედ ამ უკანასკნელ ჭრილში.

⁸ პიზი ა., პიზი ბ., სხეულის ენა, თარგმანი ინგლისურიდან, გამომცემლობა არექტ; **Eisler – Mertz C.**, 2001. Die Sprache der Hände, Was unsere Gesten verraten, MVG., 2016., გვ. 52.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა - საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, ფსიქოლოგებთან კონსულტაციის საფუძველზე, შემუშავებულია რეკომენდაციები სავარაუდო ხარვეზების გამოსასწორებლად. დასახული მიზნის შესაბამისად კი უნდა განხორციელდეს აფექტში ჩადენილი დანაშაულის საკანონმდებლო რეგულაციისათვის სათანადო მეთოდის შერჩევა, გამოყენება და ზოგჯერ შემუშავებაც მისი სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეთიკური ასპექტების გათვალისწინებით. ეს გულისხმობს აფექტირებული მდგომარეობის დროს ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე მოვლენების კვლევას, მის გაზომვას საზოგადოებრივი ეთიკის მხრიდან და საბოლოო სამართლებრივ შეფასებას.⁹

დასასრულ, ორიოდე სიტყვა სამართლებრივი ტერმინოლოგიის შესახებ. სისხლის სამართლისათვის სიტყვა აფექტი, ჩვენი აზრით, ინგლისურად უნდა ითარგმნებოდეს, როგორც **პროვოცირებული დროებითი აშლილობა (Provoked Temporary Insanity)**, რაც აქამდე არავის გამოუყენებია. აფექტის ახლებური თარგმანი თუნდაც იმიტომ არის საჭირო, რომ ე.წ „საერთო სამართლის ქვეყნებში“ აფექტში ჩადენილი დანაშაული დამოუკიდებლად არ მოიხსენიება¹⁰, პროვოცირებული დროებითი აშლილობა კი თავის თავში გულისხმობს მაპროვოცირებელი სუბიექტის როლს აფექტირებული დანაშაულის ჩადენისას.¹¹ აქედან გამომდინარე აფექტირებული დანაშაულის დროს ადგილი აქვს ორმაგ მიზეზობრიობას. ერთი ეს არის დამნაშავის ქმედებასა და დამდგარ

⁹ წირქვაძე თ., აფექტირებული დანაშაულის საკვლევი მეთოდოლოგიური ქარგა., ჟურნალი სამართალი და მსოფლიო., 2019., N 13., გვ.60.

¹⁰ **Williams G.**, 1983. *Textbook of Criminal Law*, London: Steven & Sons, 2nd edn; **Black's Law Dictionary**, 1991. Centennial edition (1891-1991), St. Paul, MiNN West Publishing Co; **Hall J.**, 1947. *General Principles of Criminal Law*, Indianapolis; **Model Penal Code(USA)**, 1985. official Draft and Explanatory Notes, Philadelphia, PA. The American Law Institute; **Bassiouny M. Cherif.**, *Substantive criminal law* , Charles C Thomas Pub Ltd., 1978., p.63.

¹¹ გამოყენებულია ჩემსავე ნაშრომში, კოლოქვიუმი I- ში.

შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, ხოლო მეორე ეს არის მაპროვოცირებელი სუბიექტის მოქმედებასა და დამნაშავეს ქცევას შორის მიზეზობრივი კავშირი.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა - სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 137 გვერდს. წარმოდგენილი დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, ათი ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული წყაროების დასახელებისა და ლიტერატურის სია (151 გამოყენებული წყარო, აქედან 75 ქართული და 76 უცხოური).

I. აფექტირებული დანაშაულის ფსიქოლოგიური რაობა

აფექტი (Affectus) ლათინური წარმოშობის სიტყვაა და სულიერ მღელვარებას აღნიშნავს.¹² იგი უკიდურესად ინტენსიური, ერთბაშად წამოჭრილი და სწრაფად წარმავალი ემოციაა, რომელიც განსაზღვრულ მომენტში ეუფლება პიროვნებას და წარმართავს მის ქცევას. აფექტი აძნელებს შექმნილი მდგომარეობის სიტუაციურ გაცნობიერებას, რის გამოც ადამიანი ჩვეულებრივ მიზანშეუწონელ, შეუკავებელ, ქაოსურ რეაქციას იძლევა. აფექტი მნიშვნელოვანწილად მოიცავს ადამიანის ცნობიერებას. ცნობიერება ვიწროვდება და მასში იზღუდება სივრცე რაიმე სხვა განცდებისათვის. აფექტის დროს ადამიანს არ შეუძლია სრულფასოვანი მსჯელობა, მოცემული პირობების ან თავისი ქცევის საღი შეფასება. ადამიანი კარგავს საკუთარი მოქმედების სრული შეგნებული რეგულაციის უნარს. მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება. მას ფეთქებადს უწოდებენ, რადგან უცბად წარმოიშობა და ასევე უცბად გაივლის. ჩვეულებრივ, აფექტს ახლავს მკვეთრი სხეულებრივი გამოვლინებანი: ადამიანი ფითრდება, წითლდება, ლურჯდება, უხშირდება გულის ცემა, სუნთქვა, მკვეთრად ეცვლება მიმიკა და სხვა. აფექტს წარმოადგენს, მაგალითად, ძლიერი რისხვა, რომელიც იპყრობს ადამიანს და შესაძლოა ისეთი რამ ჩაადენინოს, რასაც იგი შეგნებულად არასდროს მოიმოქმედებდა. აფექტს ყოფენ ორ ნაირსახეობად: სთენიურ (რისხვის) და ასთენიურ (შიშის) აფექტებად.¹³ ფსიქომეტრიულ ჩარევას საჭიროებს იმის დადგენა, რისხვის აფექტით მოქმედებდა პირი თუ შიშის, ვინაიდან რისხვა შურისძიებასთან ასოცირდება, ხოლო შიში თავდაცვასთან.¹⁴

¹² **ჭაბაშვილი მ.**, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ. : გამომცემლობა განათლება, 1989., გვ. 63.

¹³ **იმედაძე ი.**, ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი., გამომცემლობა მწიგნობარი., 2007., გვ. 247; **Reid Griffith Fontaine**, Disentangling the Psychology and Law of Instrumental and Reactive Subtypes of Aggression, 13 Psychol. Pub. Pol'y & L. 2007., 143.

¹⁴ გამოყენებულია ჩემსავე ნაშრომში, კოლოქვიუმი I- ში.

ადამიანები სხავადსხვაგვარად აღიქვამენ გარესამყაროში მიმდინარე პროცესებს. ეს პროცესები ადამიანის ფსიქიკაზე აისახება. ემოციური პროცესების ინტენსიურობა დამოკიდებულია ადამიანის ხასიათზე, ტიპზე, ტემპერამენტზე და სხვა.

აფექტის დროს ადამიანის ფსიქიკა მოითხოვს ამ განცდის შედეგად აღძრული ვნების დაკმაყოფილებას და, მისი დაკმაყოფილების კვალობაზე, ადამიანის ემოციური მდგომარეობა სტაბილურობას უბრუნდება. აფექტის დროს ქმედება იმპულსის დაკმაყოფილებას ემსახურება, მაგრამ ქმედების ღირებულება ზუსტად ამ ლტოლვაში ვლინდება. იმისათვის, რომ ადამიანს განუვითარდეს ფიზიოლოგიური აფექტი, აუცილებელია , რომ არსებობდეს გარკვეული ფაქტები ან პირობები. მაგრამ როდის ან რამდენად იმოქმედებენ ისინი, ეს ადამიანის თავისებურებაზეა დამოკიდებული. ამას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი ტემპერამენტი.

როგორც ვიცით, ფსიქოლოგიაში, ტემპერამენტს მისი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით ოთხ ტიპად ყოფენ: მელანქოლიკი, სანგვინიკი, ქოლერიკი და ფლეგმატიკი. ამათაგან ერთ შემთხვევაში, მაგალითად, ქოლერიკული ტემპერამენტის სუბიექტს აფექტის მდგომარეობა შეიძლება წარმოეშვას თითქმის ავტომატურად, რადგან მისთვის დამახასიათებელია გრძნობების დიდი ალგუნებადობა; გრძნობები ადვილად აღმოცენდებიან. ეს ტიპი ადვილად ინთება და ასე შემდეგ. სხვა შემთხვევაში, მაგ. მელანქოლიკის ან ფლეგმატიკის აფექტირებული მდგომარეობა, შეიძლება წარმოიშვას გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ფლეგმატიკს ახასიათებს გრძნობების სუსტი ალგუნებადობა. ე.ი. ამ ტიპის ადამიანში გრძნობათა გამოწვევა ძნელია. ეს არის მშვიდი, გულგრილი ადამიანი. მისთვის უცხოა აფექტები, გრძნობები აღმოცენდებიან ნელა, გვიან და ძნელად აღწევენ აფექტის ინტენსივობას. მელანქოლიკური ტემპერამენტი გრძნობების ალგუნებადობის

მხრივ წააგავს ფლეგმატიკურს; მას ახასიათებს სანგვინიკთან და ქოლერიკთან შედარებით უფრო ძნელად აგზნებადი და სუსტი, მოდუნებული გრძნობები.¹⁵ ვფიქრობთ, რომ დაზარალებულის არამართლზომიერ ქცევასა და ძლიერ სულიერ აღელვებას შორის (რომელიც შემდგომ განაპირობებს ბრალდებულის ყოფაქცევას), შეიძლება იყოს წყვეტა დროში, რომლის განმავლობაშიც ფორმირდება, ყალიბდება აფექტირებული მდგომარეობა. სამართალმზომელობით ოპერაციებს საჭიროებს როგორც დამნაშავის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები, ისე გალიზიანების ხარისხი, რის შემდეგაც უნდა დადგინდეს თანაფარდობა ამ ორ მაჩვენებელს შორის. აფექტის მდგომარეობაში მკვლევლობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ჩადენის იარაღსაც, – იგი არ შეიძლება განხორციელდეს წინასწარ მომზადებული იარაღით. ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მყოფი სუბიექტი უეცრად აღძრული განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იყენებს იმ იარაღს, რომელზეც მას ხელი მიუწვდება; ეს შეიძლება იყოს სკამი, უთო, ქვა, ბოთლი და სხვ. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ დამნაშავემ გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღიც, რომელსაც იგი უკანონოდ ატარებდა, თუმცა ამ დროს შესასწავლია დამნაშავის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ის ემოცია რასაც მას იარაღის ტარება ანიჭებს.¹⁶

ქცევის ფსიქოლოგიური ბუნების გასაგებად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოტივისა და მიზნის თავისებურებებს. ქცევათა კლასიფიკაცია, პირველ რიგში, ამ თავისებურებათა მიხედვით უნდა წარიმართოს. ისინი, გარკვეულ მომენტებში, ერთ საერთო ბუნებას იზიარებენ და მხოლოდ ერთმანეთთან მიმართებაში ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს. გადაწყვეტილებას ყოველთვის

¹⁵ ტემპერამენტთა კლასიფიკაცია მოგვცა ძველი საბერძნეთის მოაზროვნემ ჰიპოკრატემ (ძვ. წ. 460 – ძვ. წ. 370).

¹⁶ გამოყენებულია ჩემსავე ნაშრომში, ხელმძღვანელობით განხორციელებულ კვლევაში.

რაიმე მოტივი განსაზღვრავს. მოტივი ეს არის საფუძველი განზრახვი ქმედების ჩასადენად. გონებრივი აქტი მხოლოდ ადამიანის მისწრაფებათა და მოთხოვნილებათა სისტემაში ჩართვის შემდეგ ხდება გადაწყვეტილების მოტივი, ყოველივე ამას ეწოდება მოტივაციის პროცესი.¹⁷ როგორც ვიცით, ნებელობითი ქცევა გულისხმობს უნარს, საკუთარი ქცევის აზროვნების მიხედვით მართვისა. აზროვნება კი- ესაა ობიექტივაციის ნიადაგზე წარმოებული ფსიქიკური აქტივობა, რომელიც აღძრული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება.¹⁸ თუ ადამიანს აფექტირებული მდგომარეობაში აღმოუცნდება მისი გამღიზიანებლის დაზიანების ან მოკვლის სურვილი და მას ამ დროს რაიმე დაბრკოლება შეექმნება სურვილის დაკმაყოფილებაში, იმპულსური ქცევის მიხედვით, მისი სურვილი უნდა გაქრეს, იმპულსური ქცევა უნდა ვუწოდოთ ისეთ ქცევას, რომელიც სუბიექტის დარღვეული წონასწორობის აღდგენისკენაა მიმართული და, მაშასადამე, მოცემული მომენტის მოთხოვნილების იმპულსით განისაზღვრება.¹⁹ იმპულსური ქცევის მოტივს გრძნობა წარმოადგენს, მის საფუძველზე ხდება სუბიექტის მიერ იმპულსური ქცევის აქტების მიღება ან უკუგდება. თუმცა თუ აფექტი ნებელობით ქცევას ეკუთვნის, მაშინ ადამიანში დაიწყება ობიექტივაციის პროცესი, რაც გულისხმობს აზროვნების ამოქმედებას, რომ ქცევის წარმატებით გაგრძელების შესაძლებლობა მოიპოვოს. ამ დროს იწყება თეორიული ქცევის პროცესი, რა დროსაც სუბიექტი აანალიზებს დაბრკოლებას და იწყებს ქმედითი საშუალების მოძიებას მისი სურვილის დასაკმაყოფილებლად.

¹⁷ ნათაძე რ., ფსიქოლოგია., გამომცემლობა სახელგამი. 1948., გვ.198-199.

¹⁸ უზნაძე დ., „განზოცობის ფსიქოლოგია“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2009., თბ., გვ.157.

¹⁹ ჩხარტიშვილი შ., ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა., თბილისი., 1958., გვ.105.

როგორც ვიცით, აფექტი არის იმწუთიერი, უცრად წარმოშობილი და სწრაფად წარმავალი, ამიტომ, უთუოდ არც თუ ადვილი დასასაბუთებელი იქნება, იგი ნებელობით ქცევას მივაკუთვნოთ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, აუცილებელია სპეციალური სახელწოდება მოვნახოთ იმ ქცევისთვის, რომელიც აზროვნების პროცესებსაც მოიცავს, შემჭიდროვებულ ფორმატში და თავიდან ბოლომდე აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს ეფუძნება. დასადგენია რამდენად შეიძლება განზრახვა ქმედების გაცნობიერების გარეშე არსებობდეს, თუ აფექტირებული დანაშაულის ჩადენის დროს ქმედების გასაცნობიერებლად საკმარისია ფაქტობრივი გარემოებების უბრალო აღქმა და არა მათი სიღრმისეული გააზრება. ე.წ. რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენება დაგვეხმარება იმის გაგებაში, განზრახვასთან უფრო გვაქვს საქმე, გაუფრთხილებლობასთან თუ ბრალის რაიმე ახალ ფორმასთან.²⁰ აფექტის დროს სახეზე გვაქვს „შეზღუდული განზრახვა“, ის არის უკიდურესად შემჭიდროვებული და „დაპრესილი“, დროში ელვისებური სისწრაფით განვითარებული ინტენსიური პროცესი, რაც მიზეზობრივად გამოწვეული არის მსხვერპლის მხრივ ისეთი ქმედებით, რომლის მიმართ მისი ემოციური მდგომარეობა ხდება უაღრესად ფაქიზი.²¹

1.1 აფექტის დადგენისა და შეფასების პრაქტიკული ანალიზი

აფექტი, ეს გახლავთ ემოციის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელიც წარმოადგენს ძალიან ძლიერ ემოციურ აფეთქებას. აფექტი წარმოიშობა ექსტრემალურ ვითარებაში და გამოიხატება პირის აქტიური ქცევით. იგი

²⁰ რეტროსპექტიული მეთოდის შესახებ დაწვრილებით იხ. **უგრეხელიძე მ.**, პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ფენომენოლოგია, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი - სამართალი და მსოფლიო, 2017., N7, გვ.30.

²¹ **უგრეხელიძე მ.**, გაუფრთხილებლობის მასშტაბი ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში., ჟურნალი "საბჭოთა სამართალი," 1967., N4, გვ.42.

შესამჩნევ გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევაზე, უეცარ და ძლიერ მატრავმირებელ სიტუაციებში. აფექტის გამოწვევაში დიდ როლს ასრულებს ფსიქიკის მდგომარეობა, წინასწარგანწყობის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების არსებობა, გამლიზიანებლის ძალა და მისი ინდივიდუალური სოციალური მნიშვნელობა კონკრეტული სუბიექტისთვის.²²

აფექტის აღმოცენებას განაპირობებს ნერვული სისტემა და როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ტემპერამენტის თავისებურებანი, შესაბამისად აფექტირებულ მდგომარეობაში უფრო ხშირად შესაძლებელია აღმოჩნდნენ ქოლერიკული და მელანქოლიკური ტემპერამენტის მქონე ტიპები, ასევე მაღალი და არასათანადოდ მდგრადი თვითშეფასების მქონე პირები, ვინაიდან ისინი ავადმყოფურად რეაგირებენ სხვების მიერ შეფასებასა და შენიშვნებზე. ასევე გასათვალისწინებელია აფექტის წინარე პერიოდი, მაგალითად დაღლილობა, უძილობა და სხვა, რაც იწვევს აფექტის აღმოცენებისათვის ხელსაყრელი ფსიქოფიზიოლოგიური გარემოს შექმნას.²³ აფექტი შესაძლებელია აღმოცენდეს როგორც კონფლიქტური სიტუაციის ერთჯერადი შექმნით, ისე ძლიერი ემოციური განცდების დაგროვებით, რა დროსაც უკანასკნელი კონფლიქტური შემთხვევა კონკრეტული პირისათვის ხდება ემოციების მწვერვალი.

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აფექტის დადგენის საკითხს დამოუკიდებლად წყვეტდნენ იურისტები ან საქმე გამოსაკვლევად გადაეცემოდა ფსიქიატრიულ ექსპერტიზას, რაც ორივე შემთხვევაში არასწორ და არაკომპეტენტურ დასკვნებს იძლეოდა. ვინაიდან შესაძლებელია პირი ფსიქიკურად არ იყოს აშლილი, თუმცა დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდეს აფექტირებული მდგომარეობაში. ფიზიოლოგიური აფექტი წარმოადგენს პირის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც არ სცილდება

²² Izard CE., Levels of Emotion and Levels of Consciousness. Behav. Brain Sci., 2007b., 30:96–98.

²³ მერაბიშვილი გ., ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია., გამომცემლობა „psycho Arsi“. 2016., გვ.212.

ნორმის ფარგლებს, შესაბამისად ფსიქიატრი თავისი კომპეტენციით ვერ დაადგენს ფსიქიკურად არაავადმყოფი პირის მდგომარეობას, ის უნდა შეაფასოს ფსიქოლოგმა.

შესაბამისად, პირის აფექტირებული მდგომარეობა დგინდება სასამართლო-ფსიქიატრიული ან ფსიქოლოგიური ექსპერტიზით, რომელსც ატარებენ შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტები და მხოლოდ მათი დასკვნის შემდეგ იღებს მოსამართლე კონკრეტულ გადაწყვეტილებას. ფსიქოლოგიური ექსპერტიზა არ უნდა დაინიშნოს ფსიქიატრიული ექსპერტიზის პარალელურად, იგი უნდა ჩატარდეს მას შემდეგ, რაც ფსიქიატრიული ექსპერტიზით დადგინდება გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური ჯანმრთელობა, ან მისი ჯანმრთელობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ექსპერტიზა ტარდება გამომძიებლის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე. ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვთ ბრალდებულს, დაზარალებულსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამომძიებელმა ან სასამართლომ უნდა დაასაბუთოს უარის თქმის მიზეზი და მოტივი. განჩინებასა და დადგენილებაში უნდა იყოს ასახული ექსპერტიზის დანიშვნის მოტივი, საქმის ფაბულა და გადასაჭრელი კითხვები.

1.1.1 აფექტის სასამართლო - ფსიქიატრიული მხარე

ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება მაშინ არის საჭირო, თუ არსებობს საფუძველი პათოლოგიური აფექტის არსებობისა. ამის მიხედვით უნდა მოხდეს სასამართლოში გამოსაკვლევი პირის შერაცხადობა - შეურაცხადობის საკითხის დადგენა. სასამართლო - ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების წესი დარეგულირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2008 წლის ბრძანებით.

აფექტირებული მდგომარეობა (ფიზიოლოგიური აფექტი) წარმოადგენს ფსიქიკის არაავადმყოფურ ცვლილებას, რომელიც არ გამორიცხავს პირის შერაცხადობას, ამ არაავადმყოფურ ცვლილებას კი იწვევს ძლიერი სულიერი მღელვარება. ასეთი ფსიქიკური აშლილობა არ ექვემდებარება სასამართლო - ფსიქიატრიულ შეფასებას, მაგრამ საჭიროებს სასამართლო ფსიქიატრების მხრიდან მისი მსგავსი ფსიქიკის ავადმყოფური აშლილობისაგან დიფერენცირებას, როგორცაა პათოლოგიური აფექტი, რომელიც იწვევს სასამართლოში პირის შეურაცხადად ცნობას. პათოლოგიური აფექტის დროს პირის ცნობიერება მთლიანად არის დაბინდული და შეუძლებელია მან გაანალიზოს ჩადენილი ქმედება და შედეგი, ხოლო ფიზიოლოგიური აფექტის დროს, ადამიანს შესუსტებული აქვს თვითკონტროლისა და ქმედების ხელმძღვანელობის უნარი.²⁴

პათოლოგიური აფექტის დროს სახეზე გვაქვს სამი (პირობითი) ფაზა: მოსამზადებელი, აფეთქების და დასკვნითი.

მოსამზადებელ ფაზაში ფსიქიკური გამღიზიანებლის ზემოქმედებით ხდება აფექტური დამაბულობის მკვეთრი ზრდა და ყველა ფსიქიკური ფუნქცია მიმართულია ამ გამღიზიანებელზე. ამ მომენტში უბრალოდ შეუძლებელი ხდება კრიტიკულად შეფასების უნარი და მომხდარის გააზრება.

აფეთქების ფაზაში წარმოშობილი აფექტური ემოციები დაკავშირებულია ცნობიერების ღრმა დაბინდვასთან და აგრესიულ მოძრაობით აგზნებასთან, რომელიც არის უმიზნო და ავტომატური. ამ ფაზას თან ახლავს მწვავე ვეგეტატიური აშლილობები (სახის გაფერმკთალეა ან გაწითლეა, სუნთქვისა და გულისცემის სიხშირის ცვლილება და სხვ.).

²⁴ **Датий А.В.**, Учебник - Судебная медицина и психиатрия . Москва., РИОР ., 2011., 193.

დასკვნით ფაზაში სახეზე გვაქვს პიროვნების ემოციური და ფიზიკური გამოფიტვა, რასაც თან ახლავს გულგრილი დამოკიდებულება გარშემომყოფებისა და ჩადენილის მიმართ ან ძილი. მომხდარი პირს ან აღარ ახსოვს, ან ფრაგმენტულად შეუძლია მომხდარის გახსენება.

პათოლოგიური აფექტისაგან განსხვავებით, ფიზიოლოგიურ აფექტს არ ახასიათებს ზემოაღნიშნული ფაზების თანმიმდევრული ცვლა და იგი არ სრულდება პროსტრაციით ან ძილით.²⁵ პათოლოგიური აფექტი შესაძლოა ფსიქიკურად სრულიად ჯანსაღ ადამიანშიც აღმოცენდეს, ამ დროს აფექტურ აშლილობას აქვს წინარე პერიოდი და გარკვეული ემოციების დაგროვების პიკზე ხდება აფექტური აფეთქება. ამის მაგალითად კი შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი შემთხვევა:

„რ.(მ), 26 წლის, რომელსაც ბრალად ედება სიმამრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც მოჰყვა მისი გარდაცვალება.

რ. მსახურობდა სამართალდამცავ ორგანოებში და ამავდროულად სწავლობდა იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელ პროგრამაზე. სამსახურში ხასიათდებოდა მხოლოდ დადებითად. პიროვნულად იყო მორიდებული, შთაბეჭდილებადი, ეჭვიანი და მოუსვენარი ადამიანი. ჰყავდა ცოლი და შვილი. ცხოვრობდა ცოლის მშობლებთან ერთად.

სამართალდარღვევის წინა პერიოდში რ. სამუშაოს უთავსებდა საკურსო გამოცდებისათვის მზადებას. ამიტომ გვიან ღამემდე უჯდა სახელმძღვანელოებსა და კონსპექტებს, მართალია ძალიან გადაღლილი იყო, მაგრამ მაინც აიძულებდა თავს სწავლის გაგრძელებას.

²⁵ **Датий А.В.**, Учебник - Судебная медицина и психиатрия . Москва., РИОР ., 2011., 307.

შემთხვევის დღეს სიმამრი , დაახლოებით შუადღისას მოვიდა, როგორც ყოველთვის მთვრალ მდგომარეობაში. ამ დროს რ. მეცადინეობდა. სიმამრმა შეურაცხყო სიძე, უწოდებდა მას „ნაგავს“, „ძალს“, რომელიც იჭერს მშრომელებს და ართმევს მათ საშუალებას, გამოიმუშაონ სასმლისთვის. ამის შემდეგ დაუწყო ცემა სიდედრს, რომელიც ხმაურზე და ყვირილზე გამოვიდა მეორე ოთახიდან. როცა სიდედრმა დაიყვირა: „მკლავენ მიშველეთ“, რ. წამოხტა სკამიდან , მიირბინა სიმამრთან (რომელიც ფეხებით ურტყამდა უკვე წაქცეულ სიდედრს) და რამდენჯერმე დაარტყა თავში ტაბურეტი. ცოლის სიტყვებით, რ. იყო ძალიან აგზნებული და ფერმკრთალი, მისი გამოხედვა „არაბუნებრივი და ჭკუიდან გადასული“. მან აღერსიანად დაიყოლია რ. და გამოართვა ტაბურეტი. რ. თითქოსდა გამოფხიზლდა , გაკვირვებულმა დახედა იატაკზე მყოფ სიმამრს. ცოლმა რ. გაიყვანა მეორე ოთახში სადაც ის მოვიდა გონს და იგრძნო ძლიერი სისუსტე. ცოლმა ლოგინში დააწვინა რ. და მასაც მაშინვე დაეძინა.

სასამართლო - ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით , რ.- ს პიროვნული მნიშვნელობის მწვავე, ფსიქოგენურად განმაპირობებელი ტრავმის ზეგავლენით განუვითარდა ტრანზიტული ფსიქოზი და აფექტური დამაბულობის პერიოდში მოხდა ცნობიერების დაბინდვა, რომლის სტრუქტურაში, გარდა მოძრაობითი აგზნებისა , დომინირებდა ცალკეული მხედველობითი ჰალუცინაციები, დაკავშირებული ფსიქოგენიის შინაარსთან, შემდგომი ფიზიკური და ფსიქიკური გამოფიტვით და ღრმა ძილით. რ. - ს განუვითარდა ამნეზია ჩადენილის მიმართ, მეხსიერებაში დარჩა ქმედების მხოლოდ ცალკეული მოგონებები, ფსიქოზს წინ უსწრებდა გადაღლა და უძილობა. აფეთქების ფაზის დროს მას აღენიშნებოდა ვეგეტატიური დარღვევები. რ. ცნობილ იქნა შეურაცხადად, როგორც ინკრიმინირებული ქმედების ჩამდენი პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში. მას მიეცა

მეთვალყურეობის და ფსიქიატრთან მკურნალობის რეკომენდაცია უწყებრივ პოლიკლინიკაში.“²⁶

ასევე ნიშანდობლივია პათოლოგიური აფექტის კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც 1920 წელს საქართველოში მოხდა, კერძოდ - ს.ა. სტოლერმანის საქმე.

ქალაქ თბილისში, ცნობილმა დირიჟორმა სამუელ სტოლერმანმა, 1920 წლის 15 იანვარს, რევოლვერის ორი გასროლით მოკლა მძნარე მეუღლე. ბრალდებულს ბრალი ედებოდა განზრახ მკვლელობაში, იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, რაც ითვალისწინებდა 15 წლიან პატიმრობას. ბრალდებულს იცავდა ადვოკატი, შალვა მესხიშვილი, რომელმაც დაამტკიცა პირის პათოლოგიური აფექტი და შესაბამისად ბრალდებულს ჩადენილი ქმედება დანაშაულად არ შეერაცხა. საქმის დეტალები კი ასეთი იყო:

ბრალდებული ს.ა. სტოლერმანი და მისი მეუღლე თხუთმეტი წელი ცხოვრობდნენ ერთად, თუმცა მათ მუდმივი უთანხმოება და დამაბული ურთიერთობა ჰქონდათ. ამის მიზეზი იყო ცოლის უხეში ხასიათი, რომელიც ქმრისაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. იგი ერეოდა ქმრის სადირიჟორო საქმიანობაში, ხშირად სცემდა, აყენებდა შეურაცხყოფას საჯაროდ, ემახდა იდიოტს, ქეციან ურიას, ვინაიდან ის ებრაელი იყო. ამას ყოველივეს ადასტურებენ მოწმეები, ვინც არაერთხელ შეესწრო ძალადობის ფაქტებს. ბრალდებულმა სცადა მეუღლეს დაშორებოდა და წავიდა სახლიდან, თუმცა ცოლმა მიაკითხა ახალ საცხოვრებელში და აურზაურისა და შეურაცხყოფის შიშით ბრალდებული იძულებული გახდა ეცხოვრა მასთან.

²⁶ სამსონიძე გ., ნაწიშივილი გ., ზურაბაშვილი დ., ბერია ზ., ხარებავა თ., ბაზდაძე თ., სასამართლო ფსიქიატრია., გამომცემლობა „თბალისი“, 2006., გვ. 421.

ბრალდებული თბილისის სახელმწიფო თეატრში პირველი დირიჟორის ადგილს იკავებდა, იგი ბოლო პერიოდი ყველასათვის ცნობილ ოპერაზე, „აბესალომ და ეთერი“-ზე მუშაობდა, რომელზეც მალე უნდა ედირიჟორა და მისი პარტიტუდა ხელით ჰქონდა დაწერილი. გარდაცვლილი ვერ იტანდა ქართულ ნაწარმოებებს და მეუღლეს მათზე მუშაობა აუკრძალა. 1920 წლის 14 იანვარს, სამსახურიდან შინ დაბრუნებულ სტოლერმანს მეუღლემ მორიგი სკანდალი მოუწყო, ეჩხუბებოდა და სცემდა იმის გამო, რომ დიდ ფულს ვერ შოულობდა, შემდეგ საძინებელი ოთახიდან გამოაგდო თვითონ კი დაწვა დასაძინებლად. დილით ადრე გაღვიძებულ სტოლერმანს უნდოდა ესარგებლა მეუღლის ძილით და „აბესალომ და ეთერი“-ს პარტიტურაზე ემუშავა, როდესაც გადაშალა ნაწარმოები ნახა, რომ მასში ფურცლები ამოხეული და დახეული იყო. გახელებულმა ბრალდებულმა აიღო რევიოლვერი, რომელსაც ჯიბით ატარებდა, შევიდა გარდაცვლილთან საძინებელში და ორი გასროლით მოკლა იგი. შემდეგ გამოვიდა მისაღებ ოთახში და იქ იმყოფებოდა იქამდე სანამ მერძევე ქალმა, კარზე კაკუნით არ გამოაფხიზლა სრული აპათიიდან.²⁷

აღნიშნულ საქმეს იხილავდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელმაც სასამართლოზე ადვოკატის, შალვა მესხიშვილის, დაცვითი სიტყვის მოსმენის შემდგომ, ბრალდებული გაამართლა. სტოლერმანი ცნობილ იქნა შეურაცხადად მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს, უფრო კონკრეტულად, იგი იმყოფებოდა პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, რაც სასამართლო ექსპერტებმაც დაადასტურეს.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, თუ დანაშაული ჩადენილია ფსიქიკური ავადმყოფობის ფაზებს შორის - ინტერმისიის მდგომარეობაში, და პროვოცირებას არ გამოუწვევია პათოლოგიური აფექტი, ასეთი ბრალდებული,

²⁷ შალვა-ალექსი მესხიშვილი., სტოლერმანის საქმე., საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი“ ., N2 2013., გვ. 70-74.

მიუხედავად მისი ფსიქიკური პრობლემებისა, მიიჩნევა შერაცხადად და მსუბუქი აფექტირებული აშლილობა გათვალისწინებული იქნება სასჯელის დანიშვნის დროს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ შერაცხადობა - შეურაცხადობის საკითხის გადაწყვეტის დროს გასათვალისწინებელია გარკვეული სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების ზუსტი თანაფარდობა, ვინაიდან რომელიმე მათგანის გადაჭარბება, გამოიწვევს არასწორ შეფასებას. ექსპერტ - ფსიქიატრებმა გამოკვლევის დროს უნდა გაითვალისწინონ, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ფაქტორები და თავიანთი დასკვნა უნდა შეუსაბამონ სამედიცინო და იურიდიული კრიტერიუმების ერთობლიობას. აქედან გამომდინარე კი, პირებს, რომლებსაც გამოხატული აქვთ ფსიქიკური აშლილობა, არ გამოერიცხებათ შერაცხადობა თუ შენახულია კრიტიკული, ნებელობითი თვისებები და არ აღინიშნება გამოხატული ინტელექტუალური უკმარისობა.²⁸

1.1.11 აფექტის სასამართლო - ფსიქოლოგიური ბუნება

ფსიქოლოგებთან კონსულტაციის შედეგად, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას საქართველოში აფექტის დადგენის საკითხებში და ზოგიერთი მათგანი სასამართლო ფსიქოლოგადაც მუშაობს (ქეთევან ჩიგოგიძე, ციცო სამსონიძე, ვახტანგ ნადარეიშვილი), გაირკვა, რომ აფექტის დადგენა მაინც ვარაუდის დონეზე ხდება, ვინაიდან ასპროცენტიანი სიზუსტით ვერცერთი ფსიქოლოგი ვერ იქნება დარწმუნებული, რომ ბრალდებული ნამდვილად ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის მომენტში. თუმცა მათთვის გარკვეული კითხვების დასმითა და არსებული დეტალების სიღრმისეული შესწავლით, ექსპერტ - ფსიქოლოგები მაინც ახერხებენ აფექტის კვალის დადგენას. იმისათვის, რომ არ მოხდეს აფექტისა და აფექტის მსგავსი სულიერი აღელვების ერთმანეთში არევა, საჭიროა

²⁸ **Ткаченко А.А.**, Судебная психиатрия : консультирование адвокатов ., Изд ., Погос ., 2004., 127.

წვრილმანებზე ორიენტირებულობა, ვინაიდან მათ შორის განხვავება ემოციების ხარისხშია.

ექსპერტ - ფსიქოლოგების მიერ აფექტის კვალის დასადგენად გამოყენებადი კვლევის მეთოდებია:

1. სიტუაციის ანალიზი , რომელმაც მიიყვანა პირი კანონსაწინააღმდეგო ქმედებამდე.
2. ბრალდებულის ინდივიდუალური თავისებურებების ანალიზი , რაც დგინდება მოწმეთა ჩვენებებიდან, ბრალდებულის დახასიათების გამოთხოვით სასწავლებლიდან ან სამუშაო ადგილიდან, უშუალოდ ბრალდებულთან გასაუბრებით და გარკვეული ტესტური ამოცანების შესრულებით.
3. გამოსაკვლევი სუბიექტის ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობის ანალიზი დანაშაულის ჩადენის დროს (სომატური დაავადებები , დაღლილობა, უძილობა და სხვ.).
4. ბრალდებულის ქცევის ანალიზი დანაშაულის ჩადენის მომენტში (ქმედებათა თანმიმდევრობა , მიზანშეწონილობა და სხვ.).
5. საკვლევი პირის ქცევის ანალიზი დანაშაულის ჩადენის შემდგომ.
6. ბრალდებულის პოსტკრიმინალური ემოციური განცდის ანალიზი.

აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე, ექსპერტები სარგებლობენ სასამართლო - საგამომიებო მასალებით, ესწრებიან დაკითხვებს, თვითონაც შეუძლიათ კითხვა დაუსვან დასაკითხ პირებს და სხვა. თანაც მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ რეტროსპექტულად. შესაბამისად გამომძიებლის ფსიქოლოგიურ ცოდნაზე, ინტელექტსა და უნარზეა დამოკიდებული სასამართლო - ფსიქოლოგიური ექსპერტიზის შედეგები. ვინაიდან სწორად ის ატარებს არა მხოლოდ ბრალდებულის, არამედ მოწმისა და დაზარალებულის გამოკითხვა/დაკითხვას, აღწერს ექსპერტისათვის აუცილოებელ მონაცემებს, როგორცაა - ბრალდებულის ქცევა

ფსიქომატრავმირებელ სიტუაციაში და საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენისას.

მიზანშეწონილი არ არის სასამართლო - ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება წინასწარი გამოძიების ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ დროს მასალა შედარებით მწირია. ინფორმაციის სიმცირე კი ზრდის მცდარი დასკვნების გაკეთების ალბათობას.

სასამართლო - ფსიქოლოგიური ექსპერტიზის კვლევით ნაწილში გამოყოფენ შემდეგ ასპექტებს :

- საქმის ფაბულა.
- მონაცემები გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური განვითარების შესახებ; მისი აღზრდის შესახებ ინფორმაცია; ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა სიტუაციაში გამოვლენილი ინდივიდუალურ - ფსიქოლოგიური თავისებურებები.
- კვლევის მიმდინარეობა და შედეგი.
- ჩატარებული გასაუბრების მონაცემები.
- რეტროსპექტული ფსიქოლოგიური ანალიზი ექსპერტიზის გადასაჭრელი საკითხების რაკურსში.

ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე მიღებული დასკვნები უნდა იყოს მოკლე და კონკრეტული. ის უნდა იყოს მტკიცებითი ან უარყოფითი. დაუშვებელია ორაზროვანი ან განუსაზღვრელი დასკვნის გაკეთება. თუ გამოძიება ან სასამართლო არ დაეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას შესაძლებელია დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა, რომელსაც ჩაატარებს ან ახალი ექსპერტი, ან საექსპერტო კომისია. სასურველია ექსპერტებად მოწვეულ

იქნან სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტებსა თუ სასწავლო კათედრებზე მომუშავე პროფესიონალი ფსიქოლოგები.²⁹

აფექტის კვალის დასადგენად ძალიან საინტერესო მეთოდს იყენებდნენ საბჭოთა კავშირში. 1920 წელს ა. ლურას მიერ შეიქმნა სიცრუის დეტექტორი, რომელიც გამოიყენებოდა მკვლევლობებსა და ქურდობებთან დაკავშირებულ საქმეებზე. დეტექტორს უკეთებდნენ დასაკითხ პირს და ჩამოუთვლიდნენ სიტყვებს, რომელზეც მას ნებისმიერი სიტყვათა ასოციაცია შეეძლო ეპასუხა და ამავდროულად მარჯვენა და მარცხენა ხელით დაეჭირა სპეციალურ მოწყობილობაზე. გაჟღერებულ სიტყვაზე წარმოქმნილი ემოცია ფიქსირდებოდა როგორც ხმაში, ისე მოძრაობაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მარცხენა ხელის მოძრაობას საკვანძო სიტყვების მოსმენისას, ვინაიდან მარცხენა მხარეს განაგებს ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის ემოციურ ნაწილზე.

აღნიშნულმა მეთოდმა ძალიან დიდი ასახვა ჰპოვა სასამართლო პრაქტიკაში, მას იყენებდნენ ბრალდებულში აფექტის კვალისა და პათოლოგიური აფექტის დასადგენად. ექსპერიმენტის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საკვლევ პირში ნებისმიერი გზით გამოეწვიათ აფექტირებული მდგომარეობა და ამის ფონზე დაკვირვებოდნენ დეტექტორზე დაფიქსირებულ მის ემოციებს. ამასთანავე ასეთ ვითარებაში, ექსპერტებს შეეძლოთ ობიექტურად დაკვირვებოდნენ საკვლევ პირს აფექტირებულ მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, ექსპერიმენტის დროს აფექტი გამოწვეული უნდა ყოფილიყო კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული გამღიზიანებლის მსგავსი მეთოდით, რამაც უშუალოდ

²⁹ მერაბიშვილი გ., ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია., გამომცემლობა „psycho Arsi“., 2016., გვ. 195.

დანაშაულის დროს გამოიწვია პირის აფექტირებული მდგომარეობა.³⁰

ასოციაციური ექსპერიმენტის ერთ - ერთი ფუძემდებელი გახლდათ კარლ იუნგი , რომლის მიმდევრებსაც მიაჩნდათ , რომ აფექტის დროს ადამიანს ერღვევა ასოციაციური კავშირი და თუ ეს ემოცია ძალიან ძლიერია, შეუძლებელიც კი ხდება მაპროვოცირებელ სიტყვაზე აცოსიაციის დასახელება. აფექტირებული დანაშაულის დროს ადამიანის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმ დონეზე იცვლება, რომ შეუძლებელია, ის არ ტოვებდეს რაიმე კვალს ფსიქიკაზე. აქედან გამომდინარე, ექსპერიმენტის დროს ნამდვილად შესაძლებელია ექსპერტ - ფსიქოლოგმა კონკრეტული ასოციაციური კითხვებით აღმოაჩინოს ის კვალი, რაც ადამიანის ფსიქიკაზე დარჩა. თუ სახეზე არ გვექონია აფექტირებული დანაშაული, შესაბამისად ბრალდებულში შეუძლებელი იქნება კვალის აღმოჩენა. ამის საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ რამდენიმე ექსპერიმენტს, რომელსაც ზემოხსენებული ლურის სიცრუს დეტექტორით ამოწმებდნენ.

მაგალითად, ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს , სადაც ქმარმა ცოლი მოკლა ექვიანობის ნიადაგზე, ბრალდებულს უსახელებდნენ სიტყვებს , რომელთაგან უმრავლესობა არაფერ კავშირში არ იყო საქმესთან და მას ასოციაციურად უნდა ეპასუხა ნებისმიერი სიტყვა, რასთანაც აკავშირებდა ნახსენებ სიტყვას. როდესაც ექსპერტი გადავიდა მაპროვოცირებელ სიტყვებზე და უხსენა სიტყვა ექვიანობა, საცდელი სუბიექტი ძალიან აღელდა და პასუხი არ გაუცია, თუმცა თავდაპირველად მიცემული მითითება , რომ მარცხენა ხელის ორი თითი სპეციალურ მოწყობილობაზე უნდა დაეჭირა, ავტომატურად განახორციელა, მარჯვენა ხელი კი ნერვიულად უკანკალებდა. მოწყობილობაზე მისი ემოციური სიხშირე შეადგენდა ოცდაათს, როცა სხვა, ინდეფერენტული სიტყვების დროს

³⁰ **Лурья А. Р.**, Сопряженная моторная методика и ее применение в исследовании аффективных реакций. — В кн: Проблемы современной психологии, 1928., т. 3. М., с. 46.

სიხშირე მერყეობდა 0- დან 8 - მდე. აღნიშნული რეაქციით კი შესაძლებელი გახდა აფექტის კვალის დადგენა.

მეორე შემთხვევაში ბრალდებულმა გაგუდა ცოლი. მკვლელობის პროცესში ცოლმა უკბინა ქმარს ხელზე, ხოლო დანაშაულის დასრულების შემდგომ ბრალდებულმა სისხლიანი ხელი პირსახოცით გადაიხვია. სწორედ ამ პირსახოცის წყალობით დადგინდა, რომ დანაშაული მისი ჩადენილი იყო. ასოციაციური ექსპერიმენტის დროს, როდესაც საცდელს უხსენეს სიტყვა პირსახოცი, მან ძალიან მშვიდი ტონით, უპასუხა ტილო, მისი ხელის მოძრაობა ნორმის ფარგლებში იყო და იგივე რეაქცია გამოიწვია, რაც სიტყვაზე - წიგნი, რომელზეც უპასუხა თეთრი. წიგნზე ბრალდებულის ემოციური სიხშირე წარმოადგენდა 7.2 - ს, ხოლო პირსახოცზე - 7.3 - ს. ამ მაგალითით ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს პირი არ იმყოფებოდა აფექტირებულ მდგომარეობაში.

ამ მეთოდის წარმატება იმით არის განპირობებული, რომ იგი მხოლოდ ასოციაციურ ტესტზე კი არ არის დაფუძნებული, რომლითაც რთულია დაადგინო, პირველად რა ასოციაცია გაუჩნდა ცდის პირს ნახსენებ სიტყვაზე, არამედ ტესტი ამასთანავე შერწყმულია სიცრუის აპარატთან, რომელიც საცდელის მოტორიკულ ფუნქციებს აჯერებს ემოციურთან. როდესაც პირმა პასუხის გაცემისთანავე ხელი უნდა დააჭიროს აპარატს და ეს ჩვევაში გადადის რამდენიმე პასუხის შემდეგ, მისი მოტორიკა ავტომატურად მუშაობს და თუ მაპროვოცირებელი სიტყვა მასში გამოიწვევს რაიმე ასოციაციას, თუნდაც არ გააჟღეროს ვერბალურად, ის მაინც დააჭერს ხელს აპარატს. ეს ყოველივე კი შესაძლებელს ხდის აფექტის კვალი მეტი სიზუსტით დადგინდეს და არ იყოს ცდომილება მსგავსი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარების დროს.³¹

³¹ **Лурья А. Р.**, Диагностика следов аффекта ., — В кн: Психология эмоций. Тексты / Под ред. В. К. Вилюнаса, Ю. Б. Гиппенрейтер., Изд-во Моск., 1984., с. 288.

ძალიან საინტერესოა ასევე 1984 წლის, სასამართლო - ფსიქოლოგიური ექსპერტის, ტარიელ შოთაძის, დასკვნა. აღნიშნული დასკვნა ეხება 1983 წლის 5 ოქტომბერს, ი.მ. - ს მიერ ჩადენილ მკვლელობას, უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე. ბრალდებულმა იხილა მეუღლე მეზობელ მამაკაცთან ერთად საწოლში მძინარე, შიშველ მდგომარეობაში. აღნიშნული ფაქტის დანახვამ გამოიწვია მისი აფექტირებული მდგომარეობა და ადგილზევე მოუსპო ორივეს სიცოცხლე არაერთგზისი, ნაჯახით მიყენებული, ჭრილობებით. ფიზიოლოგიური აფექტის დასადგენად შესრულდა შემდეგი სასამართლო - ფსიქოლოგიური საექსპერტო მოქმედებები:

1. ბრალდებული პიროვნების ინდივიდუალურ - ფსიქოლოგიური თავისებურებების გამოკვლევა;
2. ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სოციალურ - ფსიქოლოგიური შეფასების ანალიზი;
3. ბრალდებულის დანაშაულებრივი მოქმედების ფსიქოლოგიური ანალიზი და ემოციური მდგომარეობის დიაგნოსტიკა.

ბრალდებული გამოკვლეულ იქნა ე.წ. მრავალფაზოვანი ტესტი კითხვარით (MMPI) და თემატიკური აპერცეფციის ტესტით (თატ.). ასევე ბრალდებულის ფსიქოლოგიურ დახასიათებაში აისახა მისი პიროვნების სამსახურეობრივი და საზოგადოებრივი შეფასებები; საექსპერტო გასაუბრებისა და დაკვირვების მონაცემები. დადგინდა, რომ ბრალდებული „მარტივი“ ფსიქიკური წყობის პიროვნებაა: გულუბრყვილო, თავდაჯერებული, ეგოცენტრული, თავმოყვარე, ჯიუტი, მგრძნობიარე, გულჩვილი, მზრუნველი, ემპათიური, მოსიყვარულე. ამჟღავნებს ემოციური დაძაბულობისა და შფოთვის მიმართ მიდრეკილებას. მისთვის ყველაზე ღირებული სფეროებია: ოჯახი, შვილები, შვილების მომავალი, სამსახური, პატიოსნება, ერთგულება.

ბრალდებულის სოციალური წრის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ გარემო სადაც ის და მისი ოჯახი ცხოვრობდა უდიდეს შეურაცხყოფად თვლიდა ლალატს და ამ სირცხვილის ჩამორეცხვის ერთადერთ გზად მკვლელობას მიიჩნევდა. ვინაიდან ბრალდებული ემოციური პიროვნება იყო და მის მთავარ ღირებულებას ოჯახური ერთგულება და პიროვნული ღირსება წარმოადგენდა, უახლოეს სოციალურ წრეში დამკვიდრებულმა შეხედულებებმა და ტრადიციებმა მოახდინა მისი ქცევის დეტერმინაცია, ბრალდებულში აფექტის აღმოცენებას, ემოციურ აფეთქებას შეუწყო ხელი.

ბრალდებულთან საექსპერტო გასაუბრებით დადგინდა, რომ მას დანაშაულის ჩადენის მომენტში ცნობიერება შევიწროვებული ჰქონდა, ხედავდა მხოლოდ მისი მეუღლისა და მეზობლის სახეებს. სასიკვდილო ჭრილობებიც სწორედ სახის არეში მიაყენა, რაც მეტყველებს აფექტირებულ მდგომარეობაზე, ვინაიდან ცნობიერების უკიდურესად შევიწროვების დროს ბატონდება მხოლოდ აფექტური ემოციის გამომწვევი საგნები და მთლიანად ამ საგნებით არის პირი მოცული ვიდრე არ დაიცლება აფექტური ემოციებისაგან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, გაბატონებულ საგნებს მეუღლისა და მეზობლის სახეები წარმოადგენდა. აფექტირებულ მდგომარეობაზე მეტყველებს ასევე დანაშაულის ჩადენის შემდგომ ბრალდებულის ფრაგმენტული მეხსიერება. მას არ ახსოვს როგორ ჩაიდინა მკვლელობა, ახსოვს მხოლოდ სახეები, რამდენიმე ნივთი ოთახში და შემდგომ სისხლის დიდმა რაოდენობამ გამოაფხიზლა. აფექტირებულ მდგომარეობაზე მიუთითებს ასევე დანაშაულის ჩადენის შემდგომი ქცევა და ბრალდებულის პოსტკრიმინალური ემოციური განცდა. დანაშაულის ჩადენის შემდგომ ბრალდებული გრძნობდა სინანულს და სტანჯავდა დანაშაულის განცდა ადამიანის მოკვლის გამო. ითხოვდა შველას და ჰქონდა თავის მოკვლის სურვილი. ბრალდებულის დაკავებიდან თორმეტი საათის განმავლობაში ჩვენების მიღება შეუძლებელი იყო, ვინაიდან იგი განიცდიდა მძიმე ემოციურ ალელვებას და დაკარგული

ჰქონდა ლოგიკური მეტყველების უნარი.³² ჩვეულებრივი განზრახვი დანაშაულისგან განსხვავებით, რომლის ჩადენის შემდგომ პოსტკრიმინალური ემოციური განცდა კმაყოფილებაა, აფექტირებული დანაშაულის შემთხვევაში ის შეიძლება იყოს კმაყოფილება ან სინანული, ვინაიდან აფექტის დროს სახეზე გვაქვს „დაპრესილი“ განზრახვა და პირი ვერ ახდენს ქმედების სრულად გაცნობიერებას და არც დამდგარ შედეგზე აქვს ნაფიქრი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო - ფსიქოლოგიური ექსპეტიზის დასკვნის მიხედვით ბრალდებული იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

I.II. ემოციური განცდა მხატვრულ ლიტერატურაში

კვლევის მეთოდების ვრცელი ნუსხიდან, ერთ-ერთი და საკმაოდ მნიშვნელოვანი გახლავთ ლიტერატურული პარალელებისა და პარადიგმების მეთოდი, რაც გულისხმობს ლიტერატურულ პერსონაჟებთან პარალელების გავლების გზით შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. ჩვენს შემთხვევაში მისი მიზანია სამართალსა და ლიტერატურას შორის ისეთი კავშირის წარმოჩენა, რომელიც ჯერ გააადვილებს, შემდგომ კი ნათელს გახდის ემოციური მდგომარეობის ადგილს, როლსა და მნიშვნელობას აფექტირებული დანაშაულის შესწავლისა და სამართლებრივი შეფასების პროცესში.

ვინაიდან აფექტი ემოციური განცდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა, სწორედ ამ მიმართულებით გვმართებს ყველაზე მეტად პარალელების მოძიება მხატვრულ ლიტერატურასა და სამართალს შორის. ამისათვის კი დაგვჭირდება ლიტერატურული პარალელებისა და

³² მეფარიშვილი გ., ცხოვრება და კანონი., გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი., 2008., გვ. 153 – 179.

პარადიგმების მეთოდი. ყოველივე ზემოაღნიშნულის ნათელი გამოვლინებაა მაგალითად, როსტევეანის შერმადინზე განრისხება „ვეფხისტყაოსანში“; ხევისბერი გოჩას განრისხება ონისეზე ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ - ში; ივან გროზნის რისხვა , რომელიც მის შვილს დაატეხა თავს; მატეო ფალკონეს შემთხვევა პროსპერ მერიმესთან და სხვა მრავალი. მაგრამ არაფერი ისე წონადი და ფასეული არ არის ამ მიმართულებით, როგორც ვაჟა - ფშაველას „აზრი და გრძნობა“.

ზემოხსენებული ნაწარმოების შინაარსს თუ განვიხილავთ ჩვენთვის საინტერესო რაკურსით, ის ასეთი იქნება: როდესაც ადამიანს უჩნდება გარკვეული მოთხოვნილება, იმპულსი, იგი იწყებს მოქმედებას მის დასაკმაყოფილებლად, თუმცა, საკმარისია ამ პროცესში რაიმე დაბრკოლებას წააწყდეს, რაც მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში შეუშლის ხელს, მასში იწყება ობიექტივიზაციის პროცესი³³: ადამიანი იწყებს აზროვნებას და თეორიულად აგრძელებს მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზების განხილვას. ამ დროს ადამიანში მოქმედებს როგორც აზრი, ისე გრძნობა. გრძნობას სურს ვნების დაკმაყოფილება ყველა შემთხვევაში, აზრი კი განიხილავს იმ შესაძლო შედეგებს, რაც ვნების დაკმაყოფილებას მოჰყვება. შესაძლოა აზრი და გრძნობა ერთ მხარეს დადგეს, მაგრამ თუ ვნების დაკმაყოფილებას შესაძლო მავნე შედეგები მოჰყვება, მაშინ ისინი სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდებიან. შემდგომ საქმეში, ერთგვარ ნებელობა, რომელმაც თეორიულ ფიქრებს პრაქტიკული გამოხატულება უნდა მისცეს და გადაწყვიტოს, იმოქმედოს გრძნობების მიხედვით და დაიკმაყოფილოს ლტოლვა, თუ გაჩერდეს და უარი თქვას მის დაკმაყოფილებაზე. სხვა სიტყვებით და უფრო ზუსტად თუ გამოვხატავთ სათქმელს, ნაწარმოები აგებულია დაპირისპირებულობათა ბრძოლისა და ერთიანობის

³³ უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგია, გამომცემლობა საქართველოს მაცნე, თბ., 2009., გვ. 157.

დიალექტიკური კანონზე. ჰეგელმა ყველაზე განვითარებული ფორმით წარმოაჩინა დიალექტიკური მოძღვრება სინამდვილის შესახებ, რომლისთვისაც დიალექტიკის მთავარი თემა ერთდროულად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო იდეის დაშვებაა, რაც სულის განვითარების შინაგან იმპულსებად აღიქმება. სწორად ასეთი პროგრესირებადი შინაგანი პროცესები იწვევს აზროვნების განვითარებას და ჭეშმარიტებასთან უსასრულო მიახლოებას.³⁴ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებში კი, აზრი და გრძნობა, ზუსტად ის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსია, რომელთა გაერთიანება ბადებს ჭეშმარიტებას, ახალ აზრს, და ეს ხდება „ინისა“ და „იანის“ შერწყმით.

ჩვეულებრივ, როდესაც ემოციური აქტივობის აღწერა მხატვრულ ლიტერატურაში ხდება, ძნელია ზუსტი პარალელები დაიძებნოს ლიტერატურული გმირებისა და ფსიქიკური ფუნქციების აქტივობას შორის. როგორც ჩანს, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ ცოდნის რა მარაგით წარმოდგება ჩვენს წინაშე შემოქმედი. ვინაიდან ვაჟა-ფშაველას საფუძვლიანი ჰუმანიტარული განათლება აქვს მიღებული პეტერბურგის უნივერსიტეტში, მისი ცნობილი ლექსი „აზრი და გრძნობა“ ლამის ქრესტომატიულ მაგალითს იძლევა ადამიანის ფსიქიკური ფუნქციების, მეტადრე ემოციურ და ინტელექტუალურ ფუნქციათა შორის ურთიერთქმედებისა. შეიძლება იფიქრო, რომ ეს ლექსი სპეციალური მეცნიერული კვლევის საბოლოო შეჯამებას, მის მხატვრულ გაფორმებას წარმოადგენს.

ნაწარმოების მიხედვით, აზრი და გრძნობა ერთგვარად სრულიად დამოუკიდებელი ლიტერატურული „პერსონაჟებია“. დასაწყისში ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ, თუმცა, დროთა განმავლობაში, მათი აქტივობის ურთიერთპარამონიულობა ირღვევა. გრძნობა ნაკლებად ექვემდებარება

³⁴ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია., თბილისი., 1978., ტ.3. გვ. 496 – 500.

გონივრულ კონტროლსა და თვითკონტროლს. იგი უზარმაზარ, მომხიბლავ სივრცეში, მთის წალკოტში ოპერირებს და ლაღად გრძნობს თავს.

ამასობაში აზრის აქტივობა შეზღუდულია, მისი დინამიკა წინმსწრებ ხილვებთან, მოლოდინებთან და გათვლებთან არის მითანადებული. ამდაგვარმა ურთიერთგათიშულობამ სულ მალე შესაბამისი შედეგი გამოიღო, როგორც ხალხში იტყვიან, „აირია მონასტერი“ . უარ და უარ მიდის ქვეყნის საქმე, „ბუნებამ ფერი იცვალა“, ხოლო ცხოვრებამ - იერი. ბუნებას ერთგვარად მოსწყინდა „ლოიალობა“. დაზამთდრდა. ეს დაზამთრება ნაწარმოებში ისე ჟღერს და გამოიყურება, როგორც სასჯელი. და აქ იწყება სანეტარო გარდატეხა მოვლენათა მსვლელობაში, რომლის ერთადერთი სათავე უდაოდ გახდა აზრისა და გრძნობის ერთმანეთთან დაბრუნება.

„აზრი შემოჰხვდა გრძნობასა -

ბაღს თაგ-პირ ჩამომტირალსა,

გუშინ, გუშინ- წინ მოლხინარს,

პეპელასავით მფრინავსა.

....

„აბა რას ჰფიქრობ, დობილო?“-

ეუბნებოდა გრძნობასა:

„აქ უნდა მოვილოდინოთ

ახალ-წელსა და შობასა? “

....

„გრძნობა უარობს, აზრი კი

წყრება და ჯავრობს დიდადა“

რთულდება შეთანხმების მიღწევა, ამიტომ:

„ გაჯავრდა აზრი, აღელვდა
ფრთა გაკრა სილად ყბაშია
გაიგდო წინ და ერთ წუთას
ჩამოიყვანა ბარშია.
და რა იხილა ორივემ
თვის სამფლობელო ძველია,
წარმოიდგინა მთას ყოფნით
რა ცოდვა ჩაუდენია.“

საბედნიეროდ აზრმა შეძლო საბოლოოდ დაეჯაბნა, დაეთრგუნა გრძნობა.

„გაერთხნენ ადამიანთა
ძველებრივ გულსა, გონშია,
დაიდვეს უკვდავი ბინა
ადამიანთა ტომშია.“

ჰო და სულ შეიცვალა ქვეყანა. შედგა აზრისა და გრძნობის ერთგვარი
„ტანდემი“.

„გრძნობა ცეცხლს ანთებს
აზრი კი შეშისა არის მშოვნელი.“

....

„აზრმა დაბლუჯა ძარღვები
ადამიანის ტვინისა,

ეჯაჯგურება რაც ძალუმს

მავთულებს ვნებათ ჟინისა.

ასწავლის გრძნობას ვნებიანს,

სმა როგორ უნდა ღვინისა,

მოაწესრიგებს გლოვასა , -

საზღვარი იცის ღვინისა.

გზის მიმცემია გრძნობისგან

მოწონებული ძილისა.“

და შემაჯამებელი ფრაზა -

„სჭარბობენ ერთი მეორეს

როგორ აჯობონ ვინ ვისა.“³⁵

სხვათაშორის, აქ ისეთი ძალისხმევაა გამოვლენილი, რომ ფსიქიკის ყველაზე აქტიური პრაქტიკული ფუნქცია, ნებელობაც უთუოდ ნაგულისხმევაა.

თამამად შეიძლება ითქვას, ვაჟა-ფშაველას ეს ლექსი, ღამის დასრულებული ფსიქიოლოგიური ნარკვევია, ჩამოყალიბებული საოცარი ექსპრესიული ფორმით. აქედან უმნიშვნელოვანესი დასკვნები გამომდინარეობს, რომელთაგან მთავარი ჩვენთვის საინტერესო საქმის არსს შეეხება, კერძოდ:

- ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია ემოციური სფეროს კონტენტანალიზი, თანაც მრავალმხრივი, ურომლისოდაც სამართალი თავის

³⁵ ვაჟა-ფშაველა., ტომი II, ლექსები 1904 -1915., „აზრი და გრძნობა“., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964., გვ. 89.

რეგულაციურ ფუნქციას ვერც დაგეგმავს და ვერც გააკონტროლებს: უფრო ზუსტად, სამართალი ვერ მიაღწევს თავის რეგულაციურ მიზანს.

- არსებობს არაერთი კლასიკური ნიმუში შემეცნების დიალექტიკური მეთოდის ჯერ პოეზიაში, შემდეგ კი - სამართლებრივ კვლევაში, ლიტერატურული პარალელებისა და პარადიგმების შემოქმედებითი მომარჯვებისა. მათ შორისაა ვაჟა-ფშაველას „აზრი და გრნობა“.
- შესაბამისად, ჩვენს ხელთაა შესაძლებლობა, სასწავლო პროგრამის გამდიდრებისა, ქართული მეცნიერული და მხატვრული აზროვნების შესანიშნავი შემოქმედებითი ნიმუშით.
- ზოგადად ის ლამის მოგვიწოდებს და მოითხოვს, რომ უნდა მოხდეს სწავლების მეთოდებისა და კულტურის ამღობვა, რათა იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული არ იყოს მშრალი „კანცელარული“ აზროვნების იმედად და გაბედულად განავითაროს შემოქმედებითი ფანტაზია.
- კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით იგი აადვილებს იმის წარმოდგენას, თუ რა ხდება აფექტირებული დანაშაულის დროს, რა უძღვის წინ და რა მოზღვევს კვალში ფსიქიკურ ფუნქციათა შორის ურთიერთქმედებას; როგორია, მისი ინტენსივობა და სპეციფიკა, აგრეთვე, სხვა ნიშნები, რაც ახლავს პროცესს თავიდან ბოლომდე.³⁶

³⁶ წირქვაძე თ., „ფსიქიკურ ფუნქციათა ურთიერთქმედების ერთი ლიტერატურული პარალელის სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ“., ჟურნალი „იურიდიული მაცნე“., 2021., N3., გვ. 52.

II. აფექტირებული დანაშაულის შეფასება სოციალური ეთიკის კრილში

ძალიან მნიშვნელოვანია დავადგინოთ საზოგადოების შეხედულებები აფექტირებულ დანაშაულთან დაკავშირებით. რამდენად ეთიკურად ან არათიკურად მიიჩნევა მას უმრავლესობა. ამისთვის შევადგინეთ კითხვარი, რომელიც თერთმეტი კითხვისაგან შედგება და რომლის შინაარსი ასეთია:

1. ასაკი
2. სქესი
3. დაბადების ადგილი (თბილისი / ქალაქი / სოფელი)
4. საცხოვრებელი ადგილი (თბილისი / ქალაქი/ სოფელი)
5. განათლების საფეხური (მოსწავლე / საშუალო განათლება/ სტუდენტი /მაგისტრანტი/დოქტორანტი/ დოქტორი)
6. სპეციალობა (იურიდიული / ფსიქოლოგია / სხვა სპეციალობით უმაღლესი განათლება / სხვა სპეციალობით პროფესიული განათლება)
7. უნდა გამოირიცხავდეს თუ არა აფექტირებული მდგომარეობა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას?
8. უნდა იყოს თუ არა აფექტირებული მდგომარეობა პასუხისმგებლობის მაპრივილეგირებელი გარემოება?
9. უნდა განსხვავდებოდეს თუ არა მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებითა და გასაკიცხი ქმედებით გამოწვეული აფექტირებული დანაშაულების სასჯელები ერთმანეთისაგან? (მაგ. გაუპატიურების ნიადაგზე წარმოშობილი აფექტირებული მდგომარეობის დროს ჩადენილი დანაშაული და ცოლ-ქმრული ღალატის ნიადაგზე წარმოშობილი აფექტირებული მდგომარეობის დროს ჩადენილი).
10. უნდა გამოირიცხოს თუ არა თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება მაპრივილეგირებელი აფექტის გამომწვევი მიზეზებიდან ? (მაგ. ცოლ-ქმრული

ღალატი; არასრულწლოვანი შვილის თავისუფალი სქესობრივი ცხოვრებით გამოწვეული მშობლის აფექტური მდგომარეობა და ა.შ) ?

11. უნდა გამოირიცხოს თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს, თუ სახეზეა ასევე აფექტირებული მდგომარეობა?


მარტივი შემთხვევითი კვლევის გზით გამოიკითხა სხვადასხვა სოციაური წრის წარმომადგენლები, როგორც იურიდიული ფაკულტეტის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების, ბიზნესის, ჟურნალისტიკის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, მევენახეობა - მეღვინეობის, ტურიზმისა და მედიცინის პროგრამების სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პროფესორები; სკოლის მოსწავლეები; საშუალო განათლების მოქალაქეები; ჩატარდა როგორც ქალაქში, ისე რაიონებში მცხოვრები და დაბადებული მოქალაქეების გამოკითხვა. გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენდა 1 000 - ს. გამოკითხვის შედეგები დაყოფილია ასაკობრივი კატეგორიის; განათლების დონის; სპეციალობის; საცხოვრებელი ადგილისა და სქესის მიხედვით.

გამოკითხულთა 74 პროცენტი მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები არიან, ხოლო 26 - მამრობითი. პასუხები გადანაწილდა შემდეგი სტატისტიკით: კითხვაზე - უნდა გამოირიცხავდეს თუ არა აფექტირებული მდგომარეობა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, 50 - მა პროცენტმა უპასუხა, რომ იმ შემთხვევაში უნდა გამოირიცხავდეს, თუ იგი გამოწვეულია მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, 35.5 - მა პროცენტმა უარი, ხოლო - 14.5 - მა დადებითად გასცა პასუხი ზემოაღნიშნულ კითხვას. რაც შეეხება კითხვას - უნდა იყოს თუ არა აფექტირებული მდგომარეობა პასუხისმგებლობის მაპრივილეგირებელი გარემოება, 73 - მა პროცენტმა დადებითად უპასუხა, ხოლო დანარჩენმა უარყოფითი პასუხი გასცა. თითქმის იგივე შედეგი იყო კითხვაზე - უნდა განსხვავდებოდეს თუ არა მსხვერპლის

მართლსაწინააღმდეგო ქმედებითა და გასაკიცხი ქმედებით გამოწვეული აფექტირებული დანაშაულების სასჯელები ერთმანეთისაგან, 71 - მა პროცენტმა დადებითად უპასუხა , დანარჩენმა უარყოფითად. კითხვაზე - უნდა გამოირიცხოს თუ არა თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება მაპრივილეგირებული აფექტის გამომწვევი მიზეზებიდან, 58 - მა პროცენტმა უპასუხა, რომ არ უნდა გამოირიცხოს, ხოლო 42 - მა დადებითი პასუხი გასცა. რაც შეეხება ბოლო კითხვას - უნდა გამოირიცხოს თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების დროს, თუ სახეზეა ასევე აფექტირებული მდგომარეობა, 61.5 - მა პროცენტმა დადებითად უპასუხა, 38.5 - მა უარყოფითად.


აღნიშნულ სტატისტიკას უფრო დეტალურად შემოგთავაზებთ შესაბამისი დიაგრამების სახით, რომელშიც პასუხები დაყოფილია ასაკის, სქესის, განათლების დონის , დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილისა და სპეციალობის მიხედვით. შემდგომ კი წარმოგიდგენთ თითოეული სტატისტიკის შედეგების მოკლე ანალიზს.

პირველ რიგში დავიწყოთ კითხვით - უნდა იყოს თუ არა აფექტირებული მდგომარეობა პასუხისმგებლობის მაპრივილეგირებული გარემოება? როგორც უკვე მოგახსენეთ, აღნიშნულ კითხვაზე დადებითად უპასუხა 73 % - მა, ხოლო მისმა დეტალურმა ანალიზმა არანაირი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ შეიძინა. ვინაიდან დარჩენილ 27 % - ში, რომლებმაც უარყოფითი პასუხი გასცეს კითხვა, პროცენტულად დაახლოებით ერთნაირად იყვნენ, როგორც განათლების სხვადასხვა დონის მქონე, ისე - სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები. საერთო მაჩვენებლით კი - შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმრავლესობა აფექტს თვლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.




სურ .1

იგივე შეიძლება ითქვას კითხვაზე - უნდა განსხვავდებოდეს თუ არა მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებითა და გასაკიცხი ქმედებით გამოწვეული აფექტირებული დანაშაულების სასჯელები ერთმანეთისაგან? აქაც 71 % - მა დადებითად უპასუხა ხოლო კონკრეტული ნიშნით დაყოფა არ გვექონია.




სურ. 2

დანარჩენ კითხვებში გამოიკვეთა გარკვეული მახასიათებლებით სხვაობა. პირველი ეს გახლავთ კითხვა - უნდა გამორიცხავდეს თუ არა აფექტირებული



სურ . 3

სურათ 3 - ში გარკვევით ჩანს, რომ აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი მხოლოდ 2 ასაკობრივ კატეგორიაში სჭარბობს. ესენია : 16 - დან 20 წლამდე და 21- დან 25 წლამდე ასაკის პირები. დანარჩენ შემთხვევაში, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში მეტია პასუხი - უნდა გამოირიცხავდეს, თუ აფექტი გამოწვეულია მართლსაწინააღმდეგო ძალადობით.




სურ. 4

ასაკობრივი ნიშნით თუ შევადარებთ, დაახლოებით იგივე შედეგი გვაქვს კითხვაზე - უნდა გამოირიცხოს თუ არა სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს, თუ სახეზეა ასევე აფექტირებული მდგომარეობა? სურათ 4 - ში ჩანს , რომ ყველა ასაკობრივ კატეგორიაში მეტია კითხვაზე დადებითი პასუხი. მხოლოდ 16 - დან 20 წლამდე კატეგორიაში სჭარბობს უარყოფითი პასუხი.


ყოველივე აღნიშნული მიგვანიშნებს იმაზე , რომ დაბალი ასაკის პირებს მეტად უჭირთ სიღრმისეულად ჩაწვდნენ აფექტირებული მდგომარეობის არსს და გაიაზრონ, რამდენად სერიოზულ გავლენას ახდენს ის ადამიანის ფსიქიკაზე , რომ ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვასაც იწვევდეს. თუმცა, ასაკთან ერთად, ადამიანის განვითარებაზე შესაბამისი განათლებაც ახდენს გავლენას და ამის საილუსტრაციოდ N5 -სურათს შემოგთავაზებთ.



სურ. 5

აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხები იზრდება განათლების საფეხურის ზრდასთან ერთად. საშუალო განათლების მქონე გამოკითხულთა 50 % ფიქრობს, რომ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს , თუ სახეზეა ასევე აფექტირებული მდგომარეობა. იგივეს ფიქრობს გამოკითხულ ბაკალავრთა


56%, დოქტორანტთა 60 % და მაგისტრთა 66 %. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით, სწავლის საფეხურების ზრდასთან ერთად იზრდება პრობლემის არსში წვდომისა და გაანალიზების უნარი. კიდევ უფრო დეტალურად კი - აღნიშნული კითხვის დაყოფას შემოგთავაზებთ სურათ N6 - ში.



სურ . 6

აღნიშნულ სურათზე ჩანს, რომ გამოკითხულთა 95 %, რომლებსაც ფსიქოლოგიური განათლება აქვთ, კითხვაზე დადებითად უპასუხეს და მხოლოდ 5 % -მა გასცა უარყოფითი პასუხი. აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ფსიქოლოგები ბევრად უკეთ ერკვევიან ადამიანის ფსიქიკაში, ვიდრე ნებისმიერი სხვა პროფესიის წარმომადგენლები და, შესაბამისად, მათ ყველაზე უკეთ იციან, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანზე აფექტი, და რომ მართლსაწინააღმდეგო ძალადობის მსხვერპლს ვერ მოთხოვ, აფექტირებულ მდგომარეობაში აკონტროლოს მისი ქცევის დეტალები.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სურათ 7 - ში აღნიშნული სტატისტიკა კიდევ ერთ ახალ დასკვნას გვკარნახობს.



სურ. 7

მართალია გამოკითხული ფსიქოლოგების 95 % ფიქრობს, რომ აფექტირებული მდგომარეობა გარკვეულ შემთხვევებში უნდა გამოირიცხავდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ როგორც სურათ 7 - ში ჩანს, აღნიშნულ შემთხვევებს თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება არ მიეკუთვნება. მეტიც, გამოკითხულთა 62 % , რომლებსაც ფსიქოლოგიური განათლება აქვთ, თვლიან , რომ თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება, მაგალითად ცოლ-ქმრული ღალატი, უნდა გამოირიცხოს მაპრივილეგირებული აფექტის გამომწვევი მიზეზებიდან.

ჩემი აზრით, ფსიქოლოგების ზემოაღნიშნული დამოკიდებულება განპირობებულია მაპროვოცირებული სუბიექტის განზრახვითა და მიზნით. თავისუფალი სქესობრივი ცხოვრების დროს პირი ეხება მხოლოდ საკუთარ უფლებებს, გადაწყვიტოს, ვისთან და როდის ჰქონდეს სქესობრივი კავშირი. ადიულტერის შემთხვევაში , მის განმხორციელებელ პირს შესაძლოა საერთოდ არ ჰქონდეს განზრახვა და მიზანი მეუღლის პროვოცირებისა. დაახლოებით მსგავს მოსაზრებას ავითარებს პროფესორი მზია ლეკვეიშვილი, რომელიც თვლის, რომ ადიულტერის შემთხვევაში ადგილი არ აქვს ღირსების განზრახ დამცირებას, ქმედება არ არის კანონსაწინააღმდეგო, მაგრამ მას მაინც

შეურაცხყოფად მიიჩნევენ.³⁷ მითუმეტეს, აფექტირებულ მდგომარეობაში პირმა შესაძლოა მოკლას ან მძიმედ დააზიანოს მესამე პირი, რომელმაც არ არის გამორიცხული, საერთოს არ იცოდეს, რომ მასთან სქესობრივ ურთიერთობაში მყოფ პირს, მეუღლე ჰყავს, და ეს ქმედება აფექტირებულს შემამსუბუქებელ გარემოებად შეერაცხება.

აღნიშნული პოზიციის საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებს პროფესორი ტარიელ ლემონჯავა, რომელიც მიიჩნევს, რომ შესაძლოა დაზარალებული პირდაპირი განზრახვით არ მოქმედებდეს ნაღალატევი პირის ღირსების შელახვის მიმართ, მაგრამ ასეთ დროს სახეზეა ევენტუალური განზრახვა. მოღალატე მხარე უშვებს იმ შესაძლებლობას, რომ მისი მეუღლისათვის ცნობილი გახდება ღალატის ფაქტის შესახებ, თუმცა გულგრილად ეკიდება ამ საკითხს. პროფესორი ლემონჯავა ასევე ეხება ადიულტერის აფექტის მოტივად ჩათვლის საკითხს და თვლის, რომ ასეთ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეუღლეთა ღალატამდელ ურთიერთობას, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათ ერთმანეთის სქესობრივ ცხოვრებაზე. ამის გათვალისწინებით კი შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ხარისხით შეურაცხმყოფელი ადიულტერის სამი ჯგუფის გამოყოფა: პირველი - ნაღალატევი პირს ეგონა, რომ არ ღალატობდნენ, ჰქონდა მყარი ოჯახი და თავადაც იყო სანიმუშო მეუღლე. როდესაც ასეთი პირი წაასწრებს მეუღლეს ღალატის ფაქტზე მისი აფექტირებული მდგომარეობა სავსებით მისაღებია. მეორე- ნაღალატევი ეჭვი ჰქონდა მეუღლის ღალატის შესახებ, მაგრამ არ იყო დარწმუნებული და მოულოდნელად წააწყდა ადიულტერის ფაქტს. პროფესორი ლემონჯავას აზრით ასეთ დროს ჩადენილი მკვლელობაც უნდა ჩაითვალოს აფექტში ჩადენილად. და მესამე - ნაღალატევი იცოდა, რომ სისტემატიურად ღალატობდა მას მეუღლე და ცდილობდა მისი საქციელის შეცვლას. თუ ასეთ

³⁷ **ლევკვიშვილი მ.**, მკვლელობა ჩადენილი ძლიერი აღელვების საფუძველზე., ჟურნალი საბჭოთა სამართალი., 1976., N5., გვ.14.


ვითარებაში წაასწრებს მეუღლეს ღალატის ფაქტზე და მოკლავს მას , მკვლელობა არ უნდა ჩაითვალოს აფექტის ნიადაგზე ჩადენილად.³⁸ ვფიქრობ გარდა ღალატის ფაქტის ცოდნისა, აუცილებლად გასათვალისწინებელია მეუღლეების ურთიერთობის სხვა ასპექტები. თუ ერთი მეუღლე ღალატობს მეორეს, მას აღარ აქვს მორალური უფლება შეურაცხყოფილად იგრძნოს თავი საპასუხო ღალატზე და შესაბამისად მისი ემოციური ფონი არ უნდა იწვევდეს მაპრივილეგირებელ აფექტირებულ მდგომარეობას. ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მეუღლეებს ერთმანეთთან, ხომ არ იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ეპიზოდები, გულგრილი ან ღირსების შემლახველი ქმედებები და სხვა. მხოლოდ ამ ყოველივეს სიღრმისეულად შესწავლის შემდგომ უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია თუ არა მაპრივილეგირებელ აფექტირებულ მდგომარეობაში.

მართალია, საქართველოში, საზოგადოების უმრავლესობისათვის თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება ამორალურ საქციელად ითვლება , და ამას მოწმობს ზემოაღნიშნულ კითხვაზე საერთო სტატისტიკა, სადაც 58 %- მა უპასუხა, რომ სხვისი თავისუფალი სქესობრივი ცხოვრებით გამოწვეული აფექტირებული მდგომარეობა უნდა დარჩეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, მაგრამ ეს არც ისე დიდი სხვაობაა , რომ არ შეიძლებოდეს მისი დეტალებისთვის გადახედვა. ვისთვის რა შეიძლება იყოს ამორალური, ეს ფართო განსჯის საგანია და მას ვერ დავეყრდნობით, ვინაიდან, როგორც სტატისტიკიდან ჩანს, გამოკითხულ ფსიქოლოგთა უმრავლესობა არ თვლის მძიმე ამორალურ ქმედებად თავისუფალ სქესობრივ ცხოვრებას. დემოკრატია კი, თანამედროვე გაგებით, გულისხმობს უმრავლესობის მმართველობას უმცირესობათა უფლებების დაცვის აუცილებელი

³⁸ ლემონჯავა ტ., აფექტის მიზეზად ადიულტერის ჩათვლისათვის., ჟურნალი საბჭოთა სამართალი., 1978., N3., გვ.47-49.

გათვალისწინებით. შესაბამისად, აუცილებელია გავითვალისწინოთ უმცირესობათა ინტერესები, და გავყვეთ ლიბერალიზაციის გზას, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები ადგას. ზემოაღნიშნული სტატიის ბოლოს, პროფესორი ლემონჯავა წერს - „სანამ არ შეცვლილა საზოგადოების ზნეობრივი სახე, აფექტის დროს ჩადენილი მკველობის ასეთად მიუჩნევლობა და სასჯელის სიმკაცრე ოდნავადაც არ შეამცირებს დასახელებულ დანაშაულთა რიცხვს.“³⁹

ცხადია 1978 წლის შემდგომ ბევრი რამ შეიცვალა და ამას მოწმობს სწორად აღნიშნული კვლევის შედეგები. საზოგადოება თითქმის თანაბრად არის გაყოფილი ზნეობრივი სახის ცვლილების მხრივ. შესაბამისად, დღესდღეისობით სასჯელის გამკაცრება ნამდვილად მოგვცემს შედეგს ფემიციდური დანაშაულების შემცირების მხრივ. ვისთვის რა ითვლება მძიმე ამორალურ საქციელად, ამაზე სტატისტიკის ამსახველი მე - 8 და მე - 9 სურათებით უკეთ ვიმსჯელებთ.




სურ. 8

ზემოთ მოყვანილ სურათ 8 - ზე ჩანს, რომ დადებითი და უარყოფითი პასუხები იცვლება სხვადასხვა სოციუმში მცხოვრები პირების მიხედვით. მაგალითად, თბილისში მცხოვრებ გამოკითხულთა 44 % ფორქრობს , რომ თავისუფალი

³⁹ ლემონჯავა ტ., აფექტის მიზეზად ადიულტერის ჩათვლისათვის., ჟურნალი საბჭოთა სამართალი., 1978.,N3., გვ.49.

სქესობრივი ცხოვრება უნდა გამოირიცხოს აფექტის გამომწვევი მიზეზებიდან და ეს გარემოება არ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას. იგივეს ფიქრობს სხვა ქალაქში მცხოვრებ გამოკითხულთა 35 % , სოფელში მცხოვრებთა - 29 % და მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებთა 15 %. აღნიშნულის მიხედვით, ყველაზე ამორალურად თავისუფალ სქესობრივ ცხოვრებას მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები გამოკითხული პირები თვლიან, შემდეგ სოფელში მცხოვრებნი და მერე სხვა ქალაქში მცხოვრები პირები. რაც შეეხება თბილისში მცხოვრებლებს , გამოკითხულთა უარყოფითი და დადებითი პასუხების მაჩვენებლებს შორის სხვაობა მხოლოდ 12 % - ს შეადგენს, ანუ აქ თითქმის თანაბრად ფიქრობენ თავისუფალ სქესობრივ ცხოვრებაზე. შემდეგი სურათის მიხედვით გაგაცნობთ სქესობრივი ნიშნით პასუხების სხვაობას.



სურ. 9

სურათ 9 - ზე ვხედავთ , რომ გამოკითხული მამაკაცების 77 % ფიქრობს , რომ თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება მძიმე ამორალურია საქციელია და ამ ნიშნით გამოწვეული აფექტი უნდა იწვევდეს ბრალის შემსუბუქებას. რა თქმა უნდა ქვეყანაში არსებული სტატისტიკის მიხედვით, ასეთი შემთხვევების მსხვერპლნი მხოლოდ ქალები არიან. არ არსებობს საქართველოში შემთხვევა, სადაც ადიულტერის ნიადაგზე გამოწვეული აფექტირებული მდგომარეობით,

ცოლს მოეკლას ქმარი. ქვეყანაში არსებული ტრადიციების მიხედვით, ასეთ დროს მხოლოდ ქმარს ელახება ღირსება ისე რომ ამან შეიძლება აფექტირებული მდგომარეობა გამოიწვიოს, ხოლო ცოლები, ძირითადად, ჩვეულებრივ მოვლენად თვლიან ქმრის ღალატს და ნორმის ფარგლებში ჯდება, არათუ აფექტირებული მდგომარეობის გამოძწევად. იგივე შეგვიძლია ვთქვათ მშობლის აფექტურ მდგომარეობაზე, რომელიც გამოწვეულია არასრულწლოვანი შვილის სქესობრივი ცხოვრებით. ერთ - ერთ საქმეზე, რომელსაც შემდეგ თავში განვიხილავ უფრო ვრცლად, მამის აფექტური მდგომარეობა გამოიწვია მისი არასრულწლოვანი ქალიშვილის სქესობრივმა აქტმა არასრულწლოვან ბიჭთან.⁴⁰ ჩემი აზრით, აღნიშნულ ვითარებაში მამას თავისი არასრულწლოვანი ბიჭი რომ ენახა, ეს არ გამოიწვევდა მასში აფექტურ მდგომარეობას. ამით მინდა ვთქვა, რომ მსგავსი მიდგომით ხელს ვუწყობთ დისკრიმინაციულ ჩაგვრას გენდერული ნიშნით და, ვინაიდან დღესდღეისობით ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ქალთა და ბავშვთა უფლებებს, აღნიშნული ტენდენცია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაზეც უნდა გავავრცელოთ. ჯერ კიდევ 2002 წელს ევროპის საბჭომ გასცა რეკომენდაცია, რომ ადიულტერი გამორიცხულიყო ოჯახური ძალადობის გამამართებელი მიზეზებიდან,⁴¹ რაც იმპლიციტურად გულისხმობს ცოლქმრული ღალატის გამორიცხვას ძლიერი სულიერი აღელვების გამომწვევი მაპრივილეგირებელი მიზეზებიდან, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ის შესაძლებელია გახდეს ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება და მოსამართლემ გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნის ეტაპზე. გარდა ამისა, 2013 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ფემიციდის შესახებ, რომელიც მოუწოდებს წევრ ქვეყნებს მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, ქალებისა და გოგოების გენდერული ნიშნით მკვლელობების

⁴⁰ საკასაციო საჩივარი №293აპ-17, თბილისი, 4 ოქტომბერი, 2017.

⁴¹ Council of Europe, Committee of Ministers, Plenary., “Committee on Ministers- on the protection of women against violence”, 2002., p.73.

აღმოსაფხვრელად. 2016 წლის 15-19 თებერვალს, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ დუბრააკა სიმონოვიჩი, რომელმაც ისაუბრა გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების პრევენციაზე და ამ მიზნით ქვეყანას მოუწოდა შეექმნათ გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობებზე ზედამხედველობის, იგივე ფემიციდის მონიტორინგის სისტემა. გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წლის 25 ნოემბერს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით, ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის შექმნის თაობაზე მზადყოფნა განაცხადა.⁴²

მიუხედავად ამისა, გამოკითხულ ქალთა მხოლოდ 42 % ფიქრობს, რომ თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება არ უნდა იწვევდეს მაპრივილეგირებულ აფექტირებულ მდგომარეობას. ეს ყოველივე კი მიგვანიშნებს, რომ ქალების უმრავლესობას არ სურს დაიცვას საკუთარი უფლებები, იმდენად ღრმად არის მათში გამჯდარი მორალური, ზოგჯერ - სტერეოტიპული, შეხედულებები და ტრადიციები. მაგრამ ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებისაგან, დაცვას საკუთარი მოქალაქეების უფლებები. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციამ, იგივე სტამბოლის კონვენციამ, რომელიც 2011 წელს მიიღეს და საქართველოსთვის 2017 წლის პირველ სექტემბერს შევიდა ძალაში, პრეამბულაშივე აღიარა, რომ ქალები და გოგონები ხშირად ხდებიან ისეთი სერიოზული ფორმის ძალადობის მსხვერპლნი, როგორცაა ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილი დანაშაული. ეს დანაშაული ქალზე ძალადობის უკიდურეს ფორმად ითვლება და აღნიშნავს ქალებისა და გოგონების

⁴² საქართველოს სახალხო დამცველი., ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში., 2018., გვ. 5.

მკვლელობას, რომელიც სექსიზმითაა განპირობებული და ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმით ხასიათდება.⁴³ სტამბულის კონვენციის 42-ე მუხლში პირდაპირ წერია:

„მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი აქტის ჩადენასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის პროცესის დროს კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიციები ან ეგრეთ წოდებული „ღირსების საკითხი“ არ ჩაითვალოს ასეთი აქტების გასამართლებელ მიზეზად. აქ იგულისხმება, კერძოდ, ისეთი განცხადებები, რომ მსხვერპლმა დაარღვია შესაბამისი ქცევის კულტურული, რელიგიური, სოციალური ან ტრადიციული ნორმები ან ადათ-წესები.“⁴⁴

ღირსება უკავშირდება მორალური წესების ერთობლიობას, რაც დამკვიდრებულია საზოგადოებაში და იმ სოციალურ წრეში, რომელშიც ესა თუ ის პირები აღიზარდნენ. შესაბამისად ყველა ადამიანის ღირსება ინდივიდუალურია და განისაზღვრება მის გარშემო არსებული სოციუმის მიხედვით. ამ შემთხვევაში ღირსების დანაშაული ძლიერ პატრიარქალურ საწყისებს ეფუძნება და დაკავშირებულია ქალის მიმართ მესაკუთრულ დამოკიდებულებასთან. ქალმა, რომელმაც გაბატონებული ნორმების დარღვევა გაბედა, იწვევს მამაკაცისა და ოჯახის შერცხვენას, და ამან შესაძლოა გამოიწვიოს მამაკაცში აფექტური მდგომარეობა. თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნე, ღირსების შელახვის გამო ჩადენილი ფემიციდური დანაშაული, კონვენციის მიხედვით, არ შეიძლება ჩაითვალოს ქმედების მაპრივილეგირებელ გარემოებად. შესაბამისად თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება, რომელიც

⁴³ მესხი მ., ღირსების სახელით ჩადენილი ფემიციდი., თსუ იურიდიული ფაკულტეტის მოხსენებები., 2019., გვ.69.

⁴⁴ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია., 2011., მუხლი 42.

ფემიციდური მკვლელობის გამომწვევი მიზეზია, უნდა ამოირიცხოს აფექტის გამომწვევი მაპრივილეგირებული გარემოებებიდან.

III. აფექტირებული ქმედების დასჯადობის სფერო

აფექტირებული ქმედების დასჯადობას გამართლება ეძებნება იმით, რომ აფექტური მოქმედება არ განეკუთვნება ქმედებათა წრეს, რომლის დაძლევაც შეუძლებელია. აფექტი ბოლომდე არ გამორიცხავს ადამიანის გააზრებულ კონტროლს, არამედ მხოლოდ ამცირებს მას. აფექტირებული დანაშაული მოგვაგონებს მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევას, რომელიც გამორიცხავს ფაქტობრივ გაუფრთხილებლობას, მაგრამ გულისხმობს სამართლებრივ გაუფრთხილებლობას; გამორიცხავს განზრახვას, თუმცა არ გამორიცხავს ქმედების ობიექტური მხარის ცნობიერად (შეგნებულად) განხორციელებას კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სურვილის გარეშე.

მოჩვენებითი მოგერება, ისევე როგორც აფექტი, განიხილება ბრალის ეტაპზე. მოჩვენებითი მოგერიების დროს მომგერიებელი მის ქმედებას აღიქვამს, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებას, თუმცა რეალურად მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა საერთოდ არ არსებობს და ის მხოლოდ მომგერიებლის წარმოსახვაშია. ამ დროს სახეზე გვაქვს სამართლებრივი სახის შეცდომა - „შეცდომა აკრძალვაში“. თუ არ არსებობს შესაძლებლობა ამგვარი სახის შეცდომის თავიდან აცილებისა, მაშინ ბრალი გამორიცხულია, მაგრამ თუ ობიექტურად არსებობს მისი თავიდან აცილების შესაძლებლობა, გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, შემცირდება ბრალის ხარისხი, ხოლო ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გამორიცხება განზრახვა და შესაძლებელი იქნება მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობა. მოჩვენებითი მოგერიების დროს პირი შეცდომას უშვებს მართლწინააღმდეგობის ეტაპზე, რომელიც

ბრალის ეტაპზე გამორიცხავს განზრახვას. მსგავსი შემთხვევა შესაძლოა გვექნოდეს აფექტირებული დანაშაულის დროსაც, როდესაც სახეზეა „მოჩვენებითი პროვოკაცია“. მაგალითად პირმა შეცდომით იფიქრა, რომ მეუღლე ღალატობდა, რაც რეალურად არ გვაქვს სახეზე და მხოლოდ აფექტირებული პირის წარმოსახვაში ხდება. ამ დროსაც სახეზე გვექნება სამართლებრივი შეცდომა, თუმცა არა „შეცდომა აკრძალვაში“, არამედ შეცდომა - ქმედების შემადგენლობის შემამსუბუქებელ გარემოებებში. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ზეგავლენას არ ახდენს ქმედების შემადგენლობის შემამსუბუქებელი გარემოების შესახებ შეცდომა, შესაბამისად, აფექტირებული დანაშაულის დროს, თუ პირი ცდება დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოების არსებობასთან დაკავშირებით და სახეზე გვაქვს „მოჩვენებითი პროვოკაცია“, მისი ქმედება, თუკი მისატყვებელ შეცდომასთან გვექნება საქმე, მაინც პრივილეგიური შემადგენლობის იქნება. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ასეთ დროს დანაშაული კვალიფიცირდება 213-ე პარაგრაფის მეორე ნაწილით, კერძოდ - „სხვა ნაკლებად მძიმე შემთხვევად“, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ვფიქრობ ადნიშნული არ უნდა ჩაითვალოს მაპრივილეგირებელ აფექტირებულ მდგომარეობად, თუ სახეზე არ გვექნება „ფიქსირებული განწყობა“. მაგალითად თუ პირზე ძალადობდნენ, მას უყალიბდება ფიქსირებული განწყობა მოძალადის მიმართ და მომავალში მისმა დანახვამ შესაძლოა გამოიწვიოს აფექტირებული მდგომარეობა, თუნდაც მოძალადე აღარ აპირებდეს მართლასწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას. აფექტირებული პირის წარმოსახვაში ადგილი აქვს მოჩვენებით პროვოკაციას, მოჩვენებით მოგერიებას, რა დროსაც იგი ფიქრობს, რომ მოძალადე ისევ

აპირებს მასზე ძალადობრივი ქმედების განხორციელებას. „ფიქსირებული განწყობა“ იწვევს მისატევებელ კაზუსს, ანუ შეცდომას ხდის საპატიებელს და აღნიშნულ ვითარებაში განზრახი მკვლელობა დაკვალიფიცირდება 111 - ე ან 113 - ე მუხლით. სხვა შემთხვევაში, თუ ფიქსირებულ განწყობას არ ექნება ადგილი, საკითხი უნდა გადაწყდეს კეთილგონიერი კაცის პრინციპით, სხვა იმავე მახასიათებლების პიროვნება რას იზამდა იგივე გარემოებებში, და ქმედება დაკვალიფიცირდეს მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევის მსგავსად, როდესაც განზრახი დანაშაული კვალიფიცირდება გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულად, რაც სამართლებრივ ფიქციას წარმოადგენს. ხოლო თუ აუცილებელი მოგერიების ნიშნები არ იკვეთება და აფექტირებული მდგომარეობა გამოწვეულია მძიმე შეურაცხყოფით ან სხვა მძიმე ამორალური ქცევით, მაშინ, განზრახ მკვლელობად (108,109).

აფექტირებული ქმედების დროს დამნაშავე ხედავს მსხვერპლს, იარაღს და სურს მსხვერპლის დაზიანება თუ სიკვდილი, სხვა შემთხვევაში შედეგი არ დადგება. აქედან გამომდინარე, აფექტში ჩადენილმა დანაშაულმა შესაძლოა გამორიცხოს ბრალუნარიანობა და არა განზრახვა. სწორედ ამიტომ აღნიშნული პრობლემა უნდა განვიხილოთ ბრალში და არა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე. პირის პასუხისმგებლობის შემსუბუქება ემყარება არა უმართლობის, არამედ ბრალის შემცირებულ ხარისხს. აფექტირებული დანაშაული არის შემცირებული ანუ შეზღუდული შერაცხადობის ნაირსახეობა.⁴⁵ მაშასადამე, აფექტირებული დანაშაულის ჩადენის დროს ხდება ქმედების ფაქტობრივი გარემოებების ზედაპირული აღქმა და არა მათი სიღრმისეული გააზრება.

⁴⁵ **Roxin.**, Strafrecht., Allgemeiner Teil. I., 4th Edition., C.H. Beck, München, § 10, ns. 88 ff; **2006.**, pg. 501.

აფექტირებული დანაშაული გამოწვეულია დაზარალებულის პროვოკაციული ქმედებით. ამიტომ იგი მოიხსენიება როგორც პროვოცირებული დანაშაული, რამაც გამოიწვია აფექტური მდგომარეობა. შესაბამისად, აფექტირებული დანაშაულის დროს ადგილი აქვს ორმაგ მიზეზობრიობას. ერთი ეს არის მაპროვოცირებელი სუბიექტის მოქმედებასა და პროვოცირებული დამნაშავის ქცევას შორის მიზეზობრივი კავშირი, ხოლო მეორე ეს არის დამნაშავის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი.

აქედან გამომდინარე, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აფექტში ჩადენილი დანაშაულის ვიქტიმოლოგიურ ანალიზს, რაც გულისხმობს მსხვერპლის როლს მის მიმართ ჩადენილ დანაშაულში; ამის გენეზისსა და ეტიოლოგიას.

ვიქტიმოგენური სიტუაციის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება მდგომარეობს დანაშაულის გენეზისში სუბიექტური ფაქტორის სიჭარბეში. პროვოცირებული დანაშაულის შემთხვევაში კი სახეზე გვაქვს ორი დამოუკიდებელი ქცევის სუბიექტი და ობიექტი, რაც კიდევ უფრო ამრავლებს სუბიექტურ ფაქტორებს, ეს კი ართულებს ვითარებას, რადგან სუბიექტური ფაქტორები ძნელად ექვემდებარება პროგნოზირებას. ასეთ ვითარებაში დამნაშავე და მსხვერპლი დანაშაულის ობიექტებიც არიან და სუბიექტებიც, გააჩნია რომელ ამპლუაში განვიხილავთ მათ. ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ურთიერთკავშირის დასადგენად კი აუცილებელია დამნაშავისა და მსხვერპლის პიროვნებისა და ქცევის შესწავლა.⁴⁶

ვიქტიმიზაციის პროცესს წარმოაჩენს დამნაშავის პიროვნული თვისებების

⁴⁶ **Ugrekheldze M.**, Structure, Content Analysis and Dimensiology of a Victimogenic Situation., Scientific Journal Law and the World., 2020., N 14. Pg 7- 13.

გამოვლენა, რაც მისი ვიქტიმოლოგიური დახასიათებისას აუცილებელი პირობაა. ვიქტიმოგენურ სიტუაციაში სხვადასხვა დამნაშავე სხვადასხვა უნარს ამჟღავნებს, წინ აღუდგეს, გაუძლოს ან დაექვემდებაროს კონკრეტული ვითარებისა და მსხვერპლის ვიქტიმოგენურ ზემოქმედებას, ამ უნარს პროფესორმა, მ.უგრეხელიძემ, პირობითად ვიქტიმომედეგობა უწოდა.⁴⁷

ვიქტიმოგენურ სიტუაციაში მსხვერპლის ქცევა ისევე სიღრმისეულად უნდა შეისწავლებოდეს, როგორც დამნაშავეს, თუმცა ამ შემთხვევაში ბრალი არ წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს. შესაბამისად, მსხვერპლის ქცევა შესაძლოა იყოს ვიქტიმური ან არავიქტიმური, და ბრალეული ან არაბრალეული. ქცევა არავიქტიმურია, თუ მას არ გამოუწვევია დანაშაულის ჩადენა, ვინაიდან ჩვენ პროვოცირებულ დანაშაულზე ვსაუბრობთ, არავიქტიმური ქცევა არ გვექნება სახეზე. თუმცა თუ პროვოცირებულ დანაშაულში დადგინდა მსხვერპლის ბრალეული ქმედება, ეს გავლენას მოახდენს დამნაშავეს ბრალის ხარისხსა და პასუხისმგებლობის საკითხზე. აფექტირებული დანაშაულის დროს, მსხვერპლის ვიქტიმური ქცევა შესაძლოა იყოს სარისკო, მორალურად გასაკიცხი (ღალატი, შეურაცხყოფა...) ან საზოგადოებისთვის საშიში (თავდასხმა, ფიზიკური დაზიანება, გაუპატიურება...), მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ძალზედ მნიშვნელოვანია მსხვერპლის პასუხისმგებლობის საკითხისათვის, ვინაიდან სარისკო და მორალურად გასაკიცხი ვიქტიმური ქცევისათვის პირს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებენ.⁴⁸

მართალია კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში, რომელსაც საქართველოც ეკუთვნის, აფექტირებული დანაშაული, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, ცალკე შემადგენლობის სახითაა აღწერილი (Delictum sui

⁴⁷Ugrekheldze M., Structure, Content Analysis and Dimensiology of a Victimogenic Situation., Scientific Journal Law and the World., 2020., N 14. Pg. 7- 13.

⁴⁸ იქვე.

generis), მაგრამ უმჯობესი იქნებოდა მისი კიდევ უფრო დეტალიზაცია. ვფიქრობ ზემოაღნიშნული გამიჯვნის ხარჯზე უნდა მოხდეს დამნაშავის პასუხისმგებლობის განხილვაც და საქართველოს კანონმდებლობაში ისინი, ერთი მუხლის, ერთიდაიმავე პუნქტის ქვეშ არ უნდა მოიაზრებოდეს.

მსხვერპლის ვიქტიმური ქცევა შესაძლოა გასცდეს აწმყოს ფარგლებს და წარსულში ჩადენილმა ვიქტიმურმა ქმედებამ გამოიწვიოს დამნაშავის პროვოცირება აწმყოში. ვიქტიმოგენეზისა და ვიქტიმოგენური სიტუაციის შესწავლას მართო შემეცნებითი კი არა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. არსებობს განვრცობითი და შეზღუდვითი, იმპლიციტური და ექსპლიციტური თეორიები, სხვანაირად მაქსიმალისტური და მინიმალისტური თეორიები. ვინაიდან ძრითადი ამოცანა მაინც დამნაშავის პასუხისმგებლობის გონივრული ლიბერალიზაციაა, რის საფუძველსაც იძლევა ფსიქიკის განსაკუთრებული მდგომარეობა პროვოცირებული და აფექტირებული დანაშაულის დროს, უფრო სწორი იქნება თუ მაქსიმალისტურ თეორიას დავუჭერთ მხარს. მით უფრო, რომ ევროკავშირი მოგვიწოდებს სისხლის სამართლის ლიბერალიზაციისაკენ, შესაბამისად, უმჯობესია გამოვიყენოთ განვრცობითი განმარტება, ჰერმენევტიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით. სახელდობრ, ვიქტიმური ქცევა უნდა შევისწავლოთ ნებისმიერ სოციალურ ნორმებთან მისი მიმართების ფართო კონტექსტში, და არა მხოლოდ ზნეობრივ და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაში.⁴⁹ ამ შესწავლის შედეგად გამოიკვეთება, რამდენად აცდენილია ესა თუ ის სოციალური ჯგუფი საზოგადოებრივ რეალობას. რის შემდეგაც, მოხდება გარკვეული ზომების შემუშავება, ამ სოციუმის შეხედულებებისა და ქცევის

⁴⁹ წირქვაძე თ., სასჯელის ლიბერალიზაცია და საპატიმრო სასჯელების ჰუმანიზაცია საქართველოში., სამეცნიერო ჟურნალი „იუსტიცია“, 2022., N3(3)., გვ.88.

წესების დასაახლოვებლად , მიმდინარე სამართლებრივ და სოციალურ რეალობასთან.⁵⁰

განვრცობითი განმარტების ფარგლებში ვიქტიმური ქცევის შესწავლა გულისხმობს მის ყველა მხრიდან დეტალურად გაანალიზებას. შესაძლებელია კანონმდებლობა არ ითვალისწინებდეს ამა თუ იმ ქცევის ვიქტიმურობას, მაგრამ განვრცობითი განმარტების ფარგლებში ჩვენ შეგვიძლია გავცდეთ დაწერილ ტექსტს და ვიმსჯელოთ მის მიღმა. ამისათვის კი დაგვჭირდება ჰერმანევტიკა, რომლის რამდენიმე სახე არსებობს, ესენია: ავთენტური; ლეგალური; სასამართლო და მეცნიერული განმარტება. ამ უკანასკნელს არ აქვს სავალდებულო ძალა, თუმცა ჩვენს შემთხვევაში, ჯერჯერობით მხოლოდ ეს შეგვიძლია გამოვიყენოთ ე.წ. „რბილი ძალის“ სახით. ამის საშუალებას იძლევა ის, რომ განსხვავდება განმარტებათა სახეები მათი მოცულობის მიხედვით, ჩვენს შემთხვევაში სახეზე გვაქვს შემთხვევა, როდესაც კანონის ტექსტი უფრო მოკლეა, აზრი კი უფრო ვრცელი. ამ შემთხვევაში იყენებენ ე.წ. „პროგრუსტეს სარეცელს“, როგორც ლიტერატურულ პარადიგმას, რაც გულისხმობს მოსამართლის მიერ, საჭიროებისამებრ, კანონის ტექსტის მორგებას კანონის აზრთან.

ერთმანეთისაგან განსხვავდება ასევე განმარტების ხერხები, ესენია: გრამატიკული; ლოგიკური; სისტემური; ისტორიული და ტელეოლოგიური. მოცემულ შემთხვევაში დაგვჭირდება ტელეოლოგიური განმარტების ხერხი, რაც გულისხმობს ნორმის დანიშნულებისა და მიზნის შესწავლას და ამის მიხედვით განვრცობას კონკრეტულ ქმედებებზე.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროვოცირებულ დანაშაულში, როგორცაა აფექტირებული დანაშაული, სუბიექტური და ობიექტური

⁵⁰ **Ugrekheldize M.**, Structure, Content Analysis and Dimensiology of a Victimogenic Situation., Scientific Journal Law and the World., 2020., N 14. Pg. 7- 13.

ელემენტები ძალიან რთულად არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვული. დამნაშავე ქმედების სუბიექტიცაა და ობიექტიც, ისევე როგორც მსხვერპლი. ამიტომ ძნელია დაადგინო, სად მთავრდება მსხვერპლის ვიქტიმურობა და იწყება დამნაშავეს ბრალი.

ყოველივე ამის დასადგენად აუცილებელია სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი როგორც დამნაშავეს, ასევე მსხვერპლის, ნიშან-თვისებები, სოციალური წრე, ოჯახი, ხასიათი, ფსიქიკური მდგომარეობა, გუნება-განწყობა და სხვა, და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს შეფასება მათ ქმედებებს.

ზემოაღნიშნულის შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია ბრალის ხარისხისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის, და ვინაიდან ქვეყანა დგას ლიბერალიზაციის გზაზე, აუცილებელია გამოვიყენოთ ისეთი თეორიები და მექანიზმები, როგორებიცაა განვრცობითი განმარტების თეორია და ჰერმანევიტიკა.

სისხლის სამართლის კოდექსის დასახვეწად კი, რეკომენდაციის სახით შესაძლებელია შემუშავდეს 111-ე და 121-ე მუხლების მეტი დეტალიზაცია და დიფერენციაცია მსხვერპლის ვიქტიმური ქცევის მიხედვით.⁵¹

III.1. აფექტირებული დანაშაულის სამართლებრივი დიფერენციაცია მაპროვოცირებელი ქმედების მიხედვით

საქართველოს კანონმდებლობით განსხვავდება აფექტის გამომწვევი მიზეზები, ისინი ჩამოთვლილია სსკ-ის 111-ე მუხლში, კერძოდ: მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, მძიმე შეურაცხყოფა ან სხვა მძიმე ამორალური ქმედება, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი

⁵¹ წირქვაძე თ., „აფექტირებული დანაშაული, როგორც ვიქტიმოლოგიური პრობლემა“, ჟურნალი კრიმინოლოგი., 2020., N15., გვ. 160 -167.

მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმა. ეს კატეგორიები აუცილებელ დიფერენციაციას საჭიროებენ.

მართლსაწინააღმდეგო ძალადობა სისხლისსამართლებრივი დანაშაულია და მასზე რეაგირება, საკუთარი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, არ წამოადგენს დანაშაულს, თუ პირი არ გადააცილებს ნორმით დადგენილ ფარგლებს. შეურაცხყოფა გულისხმობს პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირებას, რომელიც გამოხატულია სიტყვიერი ძალადობის მეშვეობით (გინება, სალანძღავი სიტყვა და სხვ.). შესაბამისად ეს ყოველივე უნდა იყოს მძიმე ფორმის, რომ სახეზე გვექონდეს მაპრივილეგირებული აფექტირებული მდგომარეობა. რაც შეეხება მძიმე ამორალურ ქმედებას, ვფიქრობ, ეს ძალიან საკამათო საკითხია. რა შეიძლება იყოს მორალური ან ამორალური?

კანონის ინტერპრეტაციის დროს მისი ლეგიტიმაციის საფუძველი აწმყოშია, ანუ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს დღეს გაბატონებული წარმოდგენების შესაბამისად. ამის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა ისეთი განუსაზღვრელი ცნების ინტერპრეტაცია, როგორც არის მაგალითად „ამორალურის“ განმარტება. ის ისტორიულად ცვალებადი შეხედულებების ერთობლიობაა, რომლებიც მისაღები იყო სამართლებრივი საზოგადოების წევრებს შორის, გარკვეულ სოციალურ ურთიერთობებში, და რომლებიც დროსთან ერთად განიცდის შინაარსობრივ ცვლილებებს.⁵²

მორალურობა ფასეულობათა და რწმენათა ერთიანი სისტემაა, რომელიც თავმოყრილია ინდივიდში. მისი საფუძველია ინდივიდის მორჩილება საზოგადოებრივ ნორმებთან. ყველა ადამიანს საკუთარი მორალის ჩარჩოები

⁵² ციპელიუსი რ., 2006., იურიდიული მეთოდების მოძღვრება., მეათე გადამუშავებული გამოცემა., გამომცემლობა ბეკი, მიუნხენი., გერმანიიდან ქართულად თარგმნა ლევან თოთლაძემ., 2009., გამომცემლობა gtz., გვ.31.

აქვს და არ არის აუცილებელი უმრავლესობის მსოფლმხედველობით იყოს განპირობებული ინდივიდების მორალი. მორალურობა და მისი კვლევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ფსიქოლოგიაში.⁵³ სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა სტანდარტი და კრიტერიუმი არსებობს იმის შესაფასებლად, თუ რა არის მორალურად გამართლებული ან ამორალური.⁵⁴ ეს კონკრეტული მახასიათებელი მოსამართლეს აძლევს საშუალებას, საკუთარი მორალური სტანდარტების მიხედვით გადაწყვიტოს, შეუმსუბუქდეს თუ არა პირს პასუხისმგებლობის ხარისხი. ანუ, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ კონკრეტული „პროვოცირება“ მძიმე ამორალური ქმედებაა და დამნაშავეს აფექტირებული მდგომარეობა გამოიწვია, შეუმსუბუქებს სასჯელს. მაგალითად, სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეში, პირმა შეუსწრო საკუთარ არასრულწლოვან ქალიშვილთან სექსუალური ხასიათის ურთიერთობაში მყოფ არასრულწლოვან ბიჭს და მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება. მოსამართლემ აღნიშნული ქმედება დააკვალიფიცირა , როგორც აფექტირებული მდგომარეობაში ჩადენილ სხეულის მძიმე დაზიანებად, ანუ არასრულწლოვნების სქესობრივი ურთიერთობა მძიმე ამორალურ ქმედებად ჩათვალა.⁵⁵ რამდენად ლოგიკური და სამართლიანია ეს ყოველივე, თუ ამით სხვა ადამიანების უფლებები იზღუდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, - სქესობრივი თავისუფლება. შესაბამისად, ძალიან საკამათოა, რა შეიძლება იყოს მორალური ან ამორალური, ამიტომ აღნიშნული ფაქტორი უნდა ამოვიღოთ ძლიერი სულიერი აღელვების იმ კატეგორიებიდან, რომლისთვისაც ამსუბუქებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის ხარისხს. ასევე უნდა შეიცვალოს ამორალურობა ბოლო წინადადებაშიც - „მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური

⁵³ გერიგი რ., ზიმბარდო ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება., ქართულად თარგმნა ჩიტაშვილი მ., მირიანაშვილი მ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა., 2009., გვ. 754.

⁵⁴ **Matsumoto D.**, The Handbook of Culture and Psychology. Oxford University Press, New York., 2001 ., p.61.

⁵⁵ საკასაციო საჩივარი №293აპ-17, თბილისი, 4 ოქტომბერი, 2017.

ტრავმა“ და დადგინდეს ის შემდეგი სახით - „მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან შეურაცხმყოფელი ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმა.“⁵⁶

როდესაც ადამიანის წინააღმდეგ მართლსაწინააღმდეგოდ ძალადობენ, როდესაც ის ფიზიკური ზეწოლის მსხვერპლია, რატომ უნდა გამოირიცხოს, რომ იგი ჩავარდეს აფექტირებული მდგომარეობაში ? ეს შეიძლება ვრცელდებოდეს ადამიანზე, რომელიც მის წინააღმდეგ მიმართული მორალურად გასაკიცხი ქმედების გამო ვარდება აფექტში, ან ადამიანზე, ვინც ფსიქიკური ძალადობის მსხვერპლია, ვინაიდან შესაძლებელია აფექტირებულ მდგომარეობამდე მისვლამდე ევალეობდა გარკვეული სამართლებრივი ზომების მიღება ყველაფრის თავიდან ასაცილებლად, თუმცა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლს, ამ ძალადობის განხორციელების პროცესში, მოსთხოვო, აკონტროლოს თავი უშუალოდ აფექტირებულ აფეთქებამდე, ძალიან არარეალისტური მოთხოვნაა.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის დროს პირს აქვს აუცილებელი მოგერიების უფლება, ანუ შეუძლია თავის დასაცავად მოკლას ან ჯანმრთელობა დაუზიანოს თავდამსხმელს, და არ არის ვალდებული გაქცევაზე და თავის დაღწევაზე იზრუნოს, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას ასეთ დროს აფექტური აშლილობის უფლება, ანუ რატომ უნდა მოეთხოვებოდეს პროვოკაციის მსხვერპლს ფსიქიკური გაწონასწორებულობა, როდესაც მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. შესაბამისად, ასეთ დროს აფექტირებული აშლილობა უნდა ითვლებოდეს ბრალის გამომრიცხავ გარემოებად. თუ პათოლოგიური აფექტი ბრალის გამომრიცხავია, და პათოლოგიური აფექტი ნიშნავს, რომ ფსიქიურად გაუწონასწორებელი პირი ისეთ მდგომარეობაში

⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999., მუხლი - 111., 121.

ვარდება აფექტის დროს, რომ სრულად ეკარგება კონტროლი, მაშინ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის, მართლსაწინააღმდეგო ძალადობის, მსხვერპლის აფექტირებული მდგომარეობაც უნდა იყოს მისატევებელი და სრულად გამორიცხავდეს მის ბრალეულობას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი გვაქვს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების ინტენსიურ ექსცესზე, როდესაც პირი მოქმედებს სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, თუმცა მისი ქმედება იწვევს იმაზე მეტ ზიანს, ვიდრე ეს საჭირო იყო. ეს გარემოება ამცირებს როგორც უმართლობის, ისე ბრალის ხარისხს, ვინაიდან სახეზე გვაქვს ორმაგი მიზეზობრიობა. მსხვერპლის წინარე ქცევამ გამოიწვია დამდგარი შედეგი, რაც დაგმობის ღირსია, ეს კი ამსუბუქებს დამნაშავის უმართლობას. რაც შეეხება ბრალის ხარისხის შემსუბუქებას, დამნაშავე მოქმედებდა სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, შესაბამისად მისი გასაკიცხაობა შემცირებულია. აფექტირებული მდგომარეობის შემთხვევაშიც მცირდება ბრალისა და უმართლობის ხარისხი. ვინაიდან დანაშაული პროვოცირებულია მსხვერპლის მიერ, დამნაშავე მოქმედებს განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობაში და, ამასთანავე, სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.⁵⁷

ამ საკითხზე განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს პროფესორი ალექსანდრე გიორგიძე, რომელიც თვლის, რომ აფექტირებული მდგომარეობა მხოლოდ ბრალის ხარისხს ამცირებს და არა უმართლობას. ვინაიდან აფექტში ჩადენილი მკვლელობა და შურისძიების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა ობიექტური მხრივ ერთი და იგივე უმართლობაა, თუმცა განსხვავდება ბრალის ხარისხით.⁵⁸ ვფიქრობ ეს საკითხი დაზუსტებას საჭიროებს, ვინაიდან აფექტირებული დანაშაული შესაძლოა პირმა ჩაიდინოს როგორც რისხვის და

⁵⁷ ცქიტიშვილი თ., სასჯელი და მისი შეფარდება., გამომცემლობა მერიდიანი., 2019., გვ. 211.

⁵⁸ გიორგიძე ა., შეზღუდული შერაცხადობა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი. 2014., გვ.165.

შურისძიების მოტივით, ისე შიშით და დაბნეულობით. ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს აფექტირებული მდგომარეობა, სთენიური(რისხვის) და ასთენიური (შიშის). თუ დამნაშავე აფექტირებულ მდგომარეობაში მოქმედებს ინტენსიური ექსცესის დროს, ანუ სამართლებრივი სიკეთის დაცვის მომენტში და ამ დროს აცილებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, სახეზე გვექნება როგორც ბრალის, ისე უმართლობის შემცირება, ვინაიდან იგი შესაძლოა მოქმედებს არა შურისძიების, არამედ თავის დაცვის მოტივით. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, როდესაც სახეზე გვაქვს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი დანაშაული აფექტირებულ მდგომარეობაში, ქმედება უნდა შეფასდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად.⁵⁹

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება მაქვს. ვფიქრობ, რომ როდესაც სახეზე გვაქვს ისედაც შემცირებული უმართლობა და ბრალი, და ის დამატებით მცირდება განსაკუთრებული გარემოების გამო, დამნაშავის პასუხისმგებლობა საერთოდ უნდა გამოირიცხებოდეს, ვინაიდან ინტენსიური ექსცესიის დროს აფექტირებული პირი ვერ განსაზღვრავს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და მიყენებული ზიანის ხარისხს. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს დამნაშავე ნაწილობრივ უფლების ფარგლებში მოქმედებს, თუმცა არ აქვს უფლება გამოიყენოს თავდაცვის არაპროპორციული ზომა,⁶⁰ სწორად ამ პროპორციული ზომის განსაზღვრა არის შეუძლებელი, როდესაც ზემოხსენებულ შემთხვევაში, დამატებით აფექტირებული მდგომარეობაც გვაქვს სახეზე. იმავე მოსაზრება აქვს პროფესორ ოთარ გამყრელიძეს, რომელიც მიიჩნევს, რომ ქმედება აუცილებელ მოგერიებად

⁵⁹ შავგულიძე, თ. გ., *Аффект и уголовная ответственность*, издательство "Мецниереба", Тбилиси., 1973., с.180-181.

⁶⁰ შავგულიძე თ., *დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ*, 1980., თბ., გვ.288.

უნდა დაკვალიფიცირდეს, თუ აფექტირებულ მდგომარეობაში მყოფი პირი მოძალადეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების დასრულებამდე დააზიანებს.⁶¹

მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, მძიმე შეურაცხყოფა ან სხვა მძიმე ამორალური ქმედება, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმა, ეს ყოველივე ის მიზეზებია, რომელთა გამოც გამოწვეული აფექტირებული მდგომარეობა ხდება ქმედების მაპრივილეგირებელი გარემოება, თუმცა ბრალის ხარისხი, როგორც ვიცით, ყოველთვის განსხვავებულია და საჭიროებს გარკვეულ გაზომვით ოპერაციებს, ლეგიმეტრიულ მეთოდებს. დანაშაულის სიმძიმის მიხედვით ხდება კოდექსში შესაფერისი სანქციების განსაზღვრა, შესაბამისად, კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპი. ვინაიდან ზემოთ ჩამოთვლილი აფექტის გამომწვევი მიზეზები განსხვავებულია და სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს მოსამართლე დამატებით ძალიან ბევრ ფაქტორს ითვალისწინებს, სწორედ ამიტომ არის კოდექსში მითითებული სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი. თუმცა, თუ სსკ-ის 111-ე მუხლის პირველ ნაწილს შევადარებთ სსკ-ის 113 -ე მუხლთან, ვნახავთ, რომ ორივე მათგანი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 - დან 3 წლამდე.

ძლიერი სულიერი აღელვების დროს ჩადენილი მკვლელობა მხოლოდ იმ დროს შეგვიძლია შევადაროთ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილ მკვლელობას, როდესაც სახეზე გვაქვს მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, როგორც მაპროვოცირებელი ქმედება. შესაბამისად, აფექტის გამომწვევი დანარჩენი მიზეზები არ გახლავთ აუცილებელი მოგერიების წინაპირობა და არ გვადლევს

⁶¹ გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი., დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ., 2002., თბ., გვ.64.

მართლწინააღმდეგობის გამორიცხვის საფუძველს. პირი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობისათვის ისჯება იმის გამო, რომ მისი ქმედება აშკარად შეუსაბამო იყო მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. მაგალითად, თუ ერთ პირს სცემს მეორე და მსხვერპლს აღმოაჩნდება იარაღი. ცემის პროცესში ამოიღებს და ფეხში ესვრის მოძალადეს, რითიც გააჩერებს მას, სახეზე გვექნება აუცილებელი მოგერიება, მაგრამ თუ მსხვერპლი ამოიღებს იარაღს და თავში ესვრის მოძალადეს და აშკარა იყო, რომ მოკვლის გარეშეც შეეძლო თავის დაცვა, სხვა სათანადო პირობების არსებობისას სახეზე გვექნება მოგერიების ფარგლებს გადაცილება. ახლა იგივე, რომ წარმოვიდგინოთ აფექტირებული მდგომარეობაზე. თუ პირი ცემის პროცესში ჩავარდა აფექტში, შესაძლებელია თუ არა მას მოვთხოვოთ, რომ, გაითვალისწინოს, სად ესროლოს და როგორ მოძალადეს. შესაძლებელია, იარაღის დანახვაზე მოძალადე საერთოდაც გაჩერდეს და გაქცევაც უნდოდეს, მაგრამ აფექტირებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მსხვერპლს ამის გაანალიზებას და შეფასებას ვერ მოვთხოვთ, ვინაიდან მისი ცნობიერება ისედაც შევიწროვებულია და ძნელად წარმართვადი, არადა ეს ყველაფერი თავად მოძალადემ გამოიწვია. მაშინ რატომ უნდა იყოს ამ ორივე დანაშაულის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის ერთი და იგივე ზღვარი, თუ აფექტირებული მდგომარეობა დამატებითი მაპრივილეგირებული ფაქტორია? აფექტირებული ქმედების დროს პირი ჩადის განზრახ დანაშაულს, კერძოდ, ეს არის განზრახვის განსაკუთრებული, ერთგვარად „შეკუმშული“, „დაპრესილი“ მდგომარეობა „შეზღუდული განზრახვა“, ხოლო აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების დროს - გაუფრთხილებლობით ან არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების დროს, როდესაც ის გაუფრთხილებლობით ხდება, დამნაშავეს არ აქვს გაცნობიერებული, რომ მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, ვინაიდან მის თავდაცვას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ ფაქტორად მიიჩნევს.

შესაბამისად, არც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას ითვალისწინებს. თუნდაც უშვებდეს მოგერიების დროს თავდამსხმელის სიკვდილს, მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ვითარებაში მკვლელობა არ გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ვინაიდან მისი გამომრიცხავი გარემოებაა სახეზე, კერძოდ აუცილებელი მოგერიების უფლება. როგორც მოჩვენებითი მოგერიების დროს, ბრალდებული უშვებს სამართლებრივ შეცდომას - „შეცდომა აკრძალვაში“, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროსაც თუ არ არსებობს შესაძლებლობა ამგვარი სახის შეცდომის თავიდან აცილებისა, მაშინ ბრალი გამორიცხულია, მაგრამ თუ ობიექტურად არსებობს მისი თავიდან აცილების შესაძლებლობა, გამოირიცხება განზრახვა და შესაძლებელი იქნება მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობა. ამ დროს სახეზე გვაქვს დაუდევრობა, რაც გულისხმობს, რომ დამნაშავეს არ აქვს გაცნობიერებული წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება და არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, თუმცა მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ ამის გათვალისწინება. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს პირს ევალებოდა გაეთვალისწინებინა, რომ მისი თავდაცვითი ქმედება იყო თავდასხმის შეუსაბამო და ამით აცილებდა მოგერიების ფარგლებს. მაგალითად როდესაც ერთი პირი სცემს მეორეს და ის თავდაცვის მიზნით დანას ჩაარტყამს გულში თავდამსხმელს და მოკლავს. თუ ჩავთვლით, რომ დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდა მისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, იცოდა, რომ თავდაცვა აშკარად შეუსაბამო იყო თავდასხმასთან და შეეძლო თავდამსხმელის მოკვლის გარეშე მოგერიებინა იგი, სახეზე გვაქნება შურისძიების მოტივით ჩადენილი მკვლელობა, ვინაიდან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში თავდაცვის მიზნით კი არ მოქმედებს დამნაშავე, არამედ გაცნობიერებული აქვს, რომ აცილებს მოგერიების ფარგლებს და გაბრაზების ნიადაგზე სამაგიეროს უხდის თავდამსხმელს მიყენებული ზიანისთვის. თუმცა თუ ასეთ დროს სახეზე

გვექნება არა რისხვის, არამედ შიშის და დაბნეულობის ემოციები, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება არაპირდაპირი განზრახვით აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს, დამატებითი ფაქტორი გვაქვს, აფექტირებული მდგომარეობა, უნდა გამოირიცხოს პირის პასუხისმგებლობა, ვინაიდან გაუფრთხილებლობით ჩადენილი აფექტირებული ქმედება არ შეიძლება იყოს დასჯადი. სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე და 121-ე მუხლის მიხედვით, განზრახვა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის აუცილებელი სტრუქტურული ელემენტია აფექტირებული დანაშაულის დროს. რაც შეეხება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას, და ამასთანავე დამატებით აფექტირებული მდგომარეობის არსებობას, ვფიქრობ ამ დროსაც უნდა გამოირიცხოს პირის პასუხისმგებლობა, ვინაიდან სახეზე გვაქვს ისედაც შემცირებული უმართლობა და ბრალი, და ის დამატებით მცირდება განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობის გამო, ორმაგ შეზღუდულ შერაცხაობას აქვს ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, ვფიქრობ 111-ე მუხლით გათვალისწინებული მაპროვოცირებელი ფაქტორი მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, ან საერთოდ უნდა გამოირიცხავდეს სასჯელს, ან უნდა გამოიყოს ცალკე ნაწილად, და სანქციის სახით არ უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას. შესაძლებელია ამისათვის დაინიშნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან შინაპატიმრობა.

111-ე მუხლის სანქციების მხრივ დამატებით გაურკვევლობას იწვევს ის ფაქტი, რომ თუ აფექტირებული მკვლელობის დროს კოდექსი სანქციის სახით ითვალისწინებს შინაპატიმრობასა და თავისუფლების აღკვეთას, აუცილებელი

მოგერიების ფარგლებს გადაცილების დროს შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებაც. აქედან გამომდინარე, 113 -ე მუხლი უფრო მსუბუქ დანაშაულად გამოიყურება, ვიდრე 111-ე, არადა, 111-ე მუხლი პირიქით, დამატებით შემამსუბუქებელ გარემოებასაც ითვალისწინებს ძლიერი სულიერი აღელვების სახით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მაისის განაჩენით ე.მ.-ს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შვილის ა.მ-ს მკვლელობისათვის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ ე.მ.-სა და მის მეუღლეს შვილი ხშირად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას (რამდენჯერმე მათთვის ცეცხლის წაკიდების მცდელობაც ჰქონდა). შემთხვევის დღეს ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფმა შვილმა ე.მ-სგან მოითხოვა გარკვეული თანხა. უარის მიღების შემდეგ, ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მამას, შემდეგ კი ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდა და დაზიანება მიაყენა დანით ყელის არეში. ე.მ. კონფლიქტისათვის თავის არიდების მიზნით სამზარეულოში გავიდა, თუმცა შვილი უკან გაჰყვა და კვლავ ცდილობდა დანის გამოყენებას, რა დროსაც ე.მ-მ მაგიდიდან აიღო დანა და მუცლის არეში დაარტყა შვილს. მიყენებული დაზიანებით ა.მ. ადგილზე გარდაიცვლა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ე.მ. ნამდვილად იმყოფებოდა თავდაცვის მდგომარეობაში, თავდასხმა ა.მ-ს მხრიდან იყო მართლსაწინააღმდეგო, რეალური და თავდაცვის მოქმედება ე.მ.-სგან იყო აუცილებელი. თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ გარდაცვლილისთვის მიყენებული დაზიანებების რაოდენობა (ოცდაერთი), რომელთაგან ოთხი

სიცოცხლისათვის სახიფათო იყო, ადასტურებდა ე.მ.-ს მხრიდან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას.⁶²

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ჭრილობების სიმრავლე მიუთითებს სწორედ აფექტირებულ მდგომარეობაზე. ანუ, აუცილებელი მოგერიების დროს მსჯავრდებული ჩავარდა აფექტირებულ მდგომარეობაში და ვეღარ განსაზღვრა, მისი სამართლებრივი სიკეთის (სიცოცხლის) დასაცავად რამდენი ჭრილობის მიყენება იქნებოდა თანაზომიერი და პროპორციული. აფექტირებულ მდგომარეობაზე მიუთითებს, ასევე, მსხვერპლის მიერ განხორციელებული არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ძალადობა მსჯავრდებულის მიმართ, რამაც გამოიწვია კუმულაციური აფექტი. მითუმეტეს ცნობილია, რომ კუმულაციური აფექტის მდგომარეობაში გაცილებით უფრო სასტიკი და გაშმაგებული ქმედებით ხორციელდება დანაშაული, ვიდრე ჩვეულებრივი აფექტის დროს, ვინაიდან ფსიქოტრამული ემოციების ხანგრძლივი დროით დაგროვება უფრო მძაფრ და უკიდურეს აგრესიას იწვევს. ამავდროულად ფიქსირებულ შიშის განწყობას აყალიბებს მოძალადის მიმართ. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ მსგავს გარემოებებში უნდა გამოირიცხოს დამნაშავის პასუხისმგებლობა და ქმედება შეფასდეს როგორც აუცილებელი მოგერიება.

დამატებით განხილვას მოითხოვს საკითხი, თუ რატომ იწვევს მაპრივილეგირებულ მდგომარეობას, მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ძალადობით გამოწვეული აფექტირებული მდგომარეობა და არა ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით პროვოცირებული აფექტი. მაგალითად ერთმა პირმა განზრახ წაუკიდა ცეცხლი მეორე პირის სახლს და ამ ქმედებამ გამოიწვია სახლის მესაკუთრის აფექტირებული მდგომარეობა, რის

⁶² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მაისის განაჩენი N1/6856-14.

საფუძველზეც დააზიანა დამნაშავე. ჩაითვლება თუ არა ეს შემამსუბუქებელ გარემოებად? ვფიქრობ ჩაითვლება , რადგან ქონების დაზიანება ეკონომიკური ძალადობის სახეა. შესაბამისად გვაქვს მართლსაწინააღმდეგო ძალადობა. ძალადობად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედება , რომელშიც გამოიკვეთება პირისათვის რაიმე ღირებულის განადგურების განზრახვა. შესაბამისად ვფიქრობ, მაპრივილეგირებულ აფექტირებულ მდგომარეობას უნდა იწვევდეს პირის ნებისმიერი ფორმით დაზიანება: ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, ეკონომიკურად, მორალურად. რაც შეეხება აფექტირებული დამნაშავის განზრახვას, ის წარმოადგენს პირდაპირი განზრახვის სპეციალურ სახეს , არაკონკრეტიზირებულს, განუსაზღვრელს, რადროსაც პასუხისმგებლობა დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა გადაწყდეს. არაკონკრეტიზირებული განზრახვის დროს მართლსაწინააღმდეგო შედეგი პირის შეგნებაში არ არის კონკრეტიზებული, სუბიექტი ზუსტად არ ითვალისწინებს მის ხასიათს და სიმძიმეს.⁶³ აფექტირებულ მდგომარეობაში პირი მოქმედებს ავტომატურად, ურტყამს იმას, რაც ხელში მოხვდება და იქ სადაც მოუხვდება. ასეთ დროს პირი არ გაჩერდება, სანამ ემოციებისაგან დაცლის სტადია არ დადგება, ან მესამე პირები არ შეაჩერებენ.⁶⁴ აქედან გამომდინარე აფექტირებულ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს დამდგარი შედეგის მიხედვით, მკვლელობად ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად.

აუცილებელ მოგერიებასა და აფექტირებულ დანაშაულზე თამაზ შავგულიძესაც აქვს ნამსჯელი. მას თავის ნაშრომში მოყვანილი აქვს ქეისი,

⁶³ **გამყრელიძე ო.**, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი. 2008., გვ. 105.

⁶⁴ **გიორგიძე ა.**, „სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ, აფექტში ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაციის ცალკეული საკითხები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „იურიდიული მაცნე“, 2018., N1., გვ.47.

სადაც პირს თავს დაესხა მისი თანამშრომელი, შეურაცხყოფას აყენებდა მას და შემდეგ ჩაართვა რკინის საგანი მხარში. პირმა შეძლო, წაერთმია ეს საგანი თანამშრომლისათვის და ჩაერთვა მისთვის თავში. მისი ქმედება დააკვალიფიცირეს აფექტში ჩადენილ დანაშაულად.⁶⁵ არ ვეთანხმები აღნიშნულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში აშკარად ჩანს აუცილებელი მოგერიების ნიშნები. და თუ სახეზე იყო მოგერიების ფარგლების გადაცილება და, ამასთან აფექტირებული მდგომარეობაც დადგინდა, მაშინ პირი უნდა გათავისუფლებულიყო სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. სწორად ასეთი შემთხვევების ამორიცხვაზეა ზემოთ საუბარი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის სფეროდან.

III.II. აფექტირებული დანაშაულის საკანონმდებლო რეგულაციისა და კვლევის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

აფექტირებული დანაშაულის კვლევის ისტორიას, რომ გადავხედოთ, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ნაშრომი ამ მიმართულებით არის თამაზ შავგულიძის სტატია, აფექტში ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, 1963 წელს გამოცემული და ამავე ავტორის სადისერტაციო ნაშრომი, აფექტი და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, 1973 წლის. აღნიშნულ ნაშრომებში საუბარია აფექტირებული ქცევის ფსიქოლოგიურ ბუნებაზე და ამ ქცევაზე სოციუმის გავლენაზე; აფექტირებული დანაშაულის სუბიექტურ მხარეებზე; მის გამამართლებელ გარემოებებზე; ძლიერი სულიერი აღელვებისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების მსგავსება და

⁶⁵ Шавгулидзе, Т. Г., аффект и уголовная ответственность, издательство "мецниереба", Тбилиси, 1973., с.193.

განსხვავებაზე და სხვა.⁶⁶ საბჭოთა კავშირში აღნიშნული მიმართილებით ასევე ვხვდებით **Сидоров Б .В .** -ის 1974 წლის ნაშრომს - **Аффект . Его уголовноправовое и криминологическое значение.** აქ საუბარია აფექტის წარმომავლობაზე, მის სოციალურ ბუნებაზე და აღქმაზე, ქცევის მოტივზე და პასუხისმგებლობის საკითხზე. უკვე თანამედროვე და დამოუკიდებელ საქართველოში აფექტირებული დანაშაული განხილულია 2011 წლის სისხლის სამართლის კომენტარებში, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მზია ლეკვეიშვილის, ნონა თოდუასა და გოჩა მამულაშვილის ავტორობით. მასში საუბარია ზოგადად აფექტის გამომწვევ მიზეზებზე, იმაზე, რომ შესაძლოა აფექტი არ იყოს იმწუთიერი და იგი დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ აღმოცენდეს.⁶⁷ შედარებით მოგვიანებით, 2018 წელს, ქვეყნდება ალექსანდრე გიორგიძის სტატია, სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ, აფექტში ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაციის ცალკეული საკითხები, რომელშიც საუბარია მაპროვოცირებელი სუბიექტის როლზე. თუმცა აქ არ არის განხილული მიზეზობრივი კავშირი მაპროვოცირებელი სუბიექტის ქმედებასა და დამნაშავის ქცევას შორის.⁶⁸

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობა განსხვავდება საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობისაგან. კერძოდ 111-ე მუხლი შედგება ორი ნაწილისაგან, ხოლო 106-ე მუხლი ერთნაწილიანი იყო. 111-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმავე ქმედებისათვის ორი ან მეტი პირის მიმართ, შესაბამისად, თუკი ორი ან მეტი

⁶⁶ **Шавгулидзе, Т. Г.**, *Аффект и уголовная ответственность*, Издательство "Мецниереба", Тбилиси., 1973., ст. 92.

⁶⁷ **ლევკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.**, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), გამომცემლობა მერიდიანი. 2011., გვ. 49.

⁶⁸ **გიორგიძე ა.**, „სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ, აფექტში ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაციის ცალკეული საკითხები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „იურიდიული მაცნე“, 2018., N1., გვ.38.

ადამიანი მოკლა აფექტირებული მდგომარეობაში მყოფმა, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 111-ე მუხლის მეორე ნაწილით. გარდა ამისა, 111-ე მუხლის პირველი ნაწილი აფექტის გამომწვევ გარემოებათა გაცილებით ფართო ჩამონათვალს იძლევა, ვიდრე ეს 106-ე მუხლში იყო. უფრო კონკრეტულად 106-ე მუხლით აფექტის გამომწვევი გარემოება იყო დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა, ხოლო 111-ე მუხლით დამატებულია სხვა მძიმე ამორალური ქმედება და ასევე ზემოხსენებული ქმედებები შესაძლოა განხორციელებულიყო როგორც დამნაშავეს, ასევე მისი ახლო ნათესავის მიმართ. 106-ე მუხლისაგან განსხვავებით 111-ე მუხლი აფექტის გამომწვევ გარემოებად მიიჩნევს „მართლსაწინააღმდეგო ძალადობას“ და არა „უკანონო ძალადობას“. „მართლწინააღმდეგობა უკანონობაზე უფრო ფართო ცნებაა იმის გამო, რომ სამართალი უფრო ფართოა კანონის ცნების მოცულობასთან შედარებით. როცა ლაპარაკია უკანონობაზე, სასამართლომ ზუსტად უნდა დაადგინოს რომელი კანონის საწინააღმდეგოდ იმოქმედა დამნაშავემ. მაშასადამე, აქ საქმე ეხება დაწერილ კანონს, ესე იგი პოზიტიურ ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალს. რაც შეეხება მართლწინააღმდეგობას, ეს ცნება გულისხმობს წინააღმდეგობას, დაწერილთან ერთად, დაუწერელი სამართლისადმიც.“⁶⁹

აფექტის გამომწვევ შემდეგ გარემოებად 111-ე მუხლის დისპოზიციაში მოხსენიებულია მსხვერპლის მიერ დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის „მძიმე შეურაცხყოფა“. 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი შეურაცხყოფას სისხლისსამართლოებრივ დანაშაულად მიიჩნევდა, ხოლო მოქმედი კოდექსი ამ დანაშაულის შემადგენლობას აღარ ითვალისწინებს. 1999 წ. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია შეურაცხყოფის კერძო შემთხვევები, ესენია: 366-ე მუხლი, რომლითაც ისჯება მოსამართლის და

⁶⁹ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გამომცემლობა „სამართლებრივი განათლების ასოციაცია“ თბილისი, 2002. გვ.60.

სახალხო მსაჯულის შეურაცხყოფა, და 387-ე მუხლი, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფისათვის.⁷⁰

აფექტირებული დანაშაული გამოწვეულია დაზარალებულის პროვოკაციული ქმედებით. ამიტომ იგი მოიხსენიება როგორც პროვოცირებული დანაშაული, რამაც გამოიწვია აფექტური მდგომარეობა. პროვოკაციის იდეას პირველად საფუძველი ჩაეყარა ინგლისის სასამართლოებში, მე-16 მე-17 საუკუნეში, როდესაც მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. ამოს გამო დადგა მკვლელობის კლასიფიკაციის საჭიროებაც, რომ დაყოფილიყო იგი მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულად. იმდროინდელ საზოგადოებაში აუცილებლობას წარმოადგენდა, კაცს დაეცვა საკუთარი ღირსება და შესაბამისად პასუხი მოეთხოვა იმისთვის, ვინც მას შეურაცხყოფას მიაყენებდა, და ეს პასუხისგება შესაძლოა მკვლელობითაც დასრულებულიყო, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილი გახდა პროვოცირებული მკვლელობის ცნების შემოტანა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო განსხვავებული დასჯადობა.⁷¹

მე-19 საუკუნეში საზოგადოებრივი წარმოდგენები შეიცვალა და შეურაცხყოფაზე ძალადობით პასუხი აღარ მიიჩნეოდა ღირსეული კაცის ეტალონად. მართალია, ამ დროს ადამიანმა შეიძლება მართლაც დაკარგოს თვითკონტროლი; ამიტომ პროვოკაცია მიიჩნეეს შემამსუბუქებელ გარემოებად და არა გამომრიცხავად. ხოლო მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში პროვოკაციის ცნება დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა, ვინაიდან მას მიიჩნევენ სოციალური ნორმების საწინააღმდეგოდ, იმ ნორმებისა,

⁷⁰ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გამომცემლობა „სამართლებრივი განათლების ასოციაცია“ თბილისი, 2002. გვ.60.

⁷¹ Lenny Roth., Lynsey Blayden., Provocation and self-defence in intimate partner and sexual advance homicides., Briefing Paper 3/07., New South Wales., 2012., p.178.

რომლის მიხედვითაც ადამიანმა უნდა გააკონტროლოს თავისი ქცევა, თუნდაც განრისხებულ მდგომარეობაში.⁷²

III.III. აფექტირებული დანაშაულის საკითხები საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა აფექტირებულ დანაშაულთან მიმართებით უაღრესად მნიშველოვანია პრაქტიკაში არსებული ხარვეზების წარმოსაჩენად, რაც გვიმარტივებს კვლევის ანალიზს. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშველოვანია იმის დასადგენად, თუ როგორია, პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ფენომენოლოგია უშუალოდ დანაშაულის დამთავრებისთანავე. ეს კი უფრო თვალსაჩინოს ხდის აფექტის ფსიქოლოგიურ ბუნებას და ჩადენილი ქმედების ხასიათს. განვიხილოთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან რამდენიმე ქეისი:

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოს 2000 წ. 21 მარტის განაჩენით ვ. ჯ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს 1960 წ. სსკ-ის 105-ე მუხლით დედის ო. ფ-ს მკვლელობისათვის. განაჩენის მიხედვით ო. ფ. ბევრს სვამდა და ამის ნიადაგზე მუდმივი უსიამოვნება ჰქონდა შვილთან - ვ. ჯ-თან. 1999წ. 28 მაისს ვ. ჯ. დაახლოებით ექვს საათზე მოვიდა სახლში. იყო ნასვამი, მოინდომა ჩაის დალევა. შაქარი ვერ იპოვა. მიხვდა, რომ დედამ დაუმალა. სთხოვა დედას, მოეტანა შაქარი. დედამ, რომელიც ასევე მთვრალი იყო, უარით უპასუხა. მათ შორის მოხდა ხმამაღალი წალაპარაკება, რაც სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. დედამ შვილს ფრჩხილებით სახე ჩამოკაწრა. ვ. ჯ-

⁷² Lenny Roth., Lynsey Blayden., Provocation and self-defence in intimate partner and sexual advance homicides., Briefing Paper 3/07., New South Wales., 2012., p.192.

მ ხელები წაუჭირა კისერში და დაუწყო მოხრჩობა. ო. ფ. გაითიშა და ბოლოს ამ მიზეზით გარდაიცვალა.

ვ. ჯ-მ სასამართლოზე აღიარა დედის მკვლელობა. თანაც ახსნა, რომ ეს მკვლელობა ჩაიდინა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რადგან დედამისმა გამოიყვანა ის წონასწორობიდან ლანძღვითა და ფიზიკური შეურაცხყოფით.

სასამართლომ დაადგინა, რომ შემთხვევის დღეს დედა იყო მთვრალი. უსიამოვნებაც მან წამოიწყო. დადგენილად მიიჩნია სასამართლომ აგრეთვე, რომ „ასეთ უსიამოვნებას სხვა დროსაც ჰქონია ადგილი“. მიუხედავად ამისა, განაჩენში ნათქვამია, რომ ეს არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, თითქოს ვ. ჯ-მ დედა მოკლა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ჯ-ს და მის დედას მოუვიდათ ჩხუბი და ამ დროს მან დედა მოკლა განაწყენების მოტივით.

სასამართლოს განაჩენი არ უნდა იყოს სწორი. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ დედამ შვილი მძიმედ შეურაცხყო და მის მიმართ მართლსაწინააღმდეგოდ იმოქმედა, რამაც შვილი ძლიერ აღელვა. ისიც დადგენილია, რომ დედის ძალადობრივი მოქმედებები შვილის მიმართ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, რამაც საბოლოოდ მოთმინებიდან გამოიყვანა შვილი და დედა მოაშთო. დედის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას უეცრად მოჰყვა ვ. ჯ-ს ძლიერი სულიერი აღელვება, რამაც დედის სიკვდილი გამოიწვია.

მეორე შემთხვევაში, ზ. დ-მ მოკლა შვილი ნ. დ. ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის 2000 წ. 2 ოქტომბრის განაჩენით ზ. დ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით. მამა-შვილს შორის ხანგრძლივი დროის მანძილზე არაჯანსაღი დამოკიდებულება იყო. ისინი

ხშირად ჩხუბობდნენ და ერთმანეთს შეურაცხყოფდნენ. ამის ძირითადი მიზეზი ნ. დ-ს ალკოჰოლისაკენ მიდრეკილება იყო. სიმთვრალეში ნ. ითხოვდა ბინის გაყიდვას და თანხის მისთვის მიცემას. მშობლები უარს ეუბნებოდნენ.

2000 წ. 15 მაისს დაახლოებით ექვს საათზე მამა-შვილმა იჩხუბა. ისინი სადარბაზოში ფიზიკურად შეეხენ ერთმანეთს. შვილმა მამა წააქცია და ფეხებით ცემა. შვილზე განერვიულებული ზ. შევიდა სახლში, აიღო დანა, დაბრუნდა უკან და შვილი დანით მოკლა.

აქ, როგორც ვხედავთ, ალელვება იყო, მაგრამ იყო თუ არა ის უეცარი საკამათო საკითხია. მამა ადგა, წავიდა ჩხუბის ადგილიდან, შევიდა ოთახში, გამოიტანა დანა და მოკლა შვილი. აფექტის დროს ადამიანი მოქმედებს იმწუთიერად თუ აქვს ემოციების გამოვლინების შესაძლებლობა, აღნიშნულ შემთხვევაში აფექტში ჩავარდნასა და დამდგარ შედეგს შორის გავიდა გარკვეული დრო. თუმცა ის, რომ მამა ადგა, შევიდა სახლში აიღო დანა და მოკლა შვილი, ბოლომდე არ გამორიცხავს მკვლელობას ძიერი სულიერი ალელვების ნიადაგზე, რადგან გასარკვევია, გააზრებულად და გამიზნულად აიღო მკვლელობის იარაღი, თუ რაც ხელში მოხვდა პირველი, ის აიღო და გამოიტანა, ასევე გასარკვევია, რა პერიოდი გავიდა აფექტში ჩავარდნასა და მკვლელობას შორის და მხოლოდ ამ ყველაფრის გააზრების შემდეგ შეიძლება უცდომელი, დამაჯერებელი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იყო აფექტირებული მკვლელობის მცდელობის ერთი ასეთი შემთხვევა: ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის 2000 წ. 7 მარტის განაჩენით კ. ტ.-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 106-ე მუხლებით (აფექტირებული მკვლელობის მცდელობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1960 წ. რედაქციით).

1999 წ. 21 ნოემბერს კ.ტ.-ს სტუმრად ეწვია მეზობლად მცხოვრები მისივე მეგობარი ვ.ს. მეუღლესთან ერთად. კ.ტ. და ვ.ს. მეუღლეებთან ერთად სუფრასთან ისხდნენ და ღვინოს სვამდნენ. ღამის თორმეტი საათისათვის ვ.ს.-ს მეუღლე წავიდა თავის სახლში, ხოლო კ.ტ.-ს მეუღლემ დაიძინა იქვე მდგარ საწოლზე. მამაკაცებმა გააგრძელეს სმა და დათვრნენ. როცა ვ.ს. გარეთ გავიდა, კ.ტ.-მაც დაიძინა. მაგრამ, როცა მას გამოეღვიძა, დაინახა, რომ მის მეუღლესთან - რ.შ.-სთან საწოლში იწვა ვ.ს. და ხელი მისი მეუღლის ფეხზე ედო.

კ. ტ.-მ იფიქრა, რომ ვ. ს-ს უნდოდა მისი მეუღლის გაუპატიურება. საშინლად აღელდა, აიღო ბორჯომის ცარიელი ბოთლი და დაარტყა ვ. ს-ს თავში; ბოთლი გატყდა; ამის შემდეგ კ. ტ-მ აიღო ბოთლის გატეხილი თავი და დაარტყა ვ. ს-ს გულში და ისე დააზიანა, რომ ის „მხოლოდ სამედიცინო პერსონალის დროული და კვალიფიციური ჩარევის წყალობით გადაურჩა სიკვდილს“. ვფიქრობ სასამართლომ არასწორად შეაფასა ეს ქმედება აფექტირებული მკვლელობის მცდელობად,⁷³ ვინაიდან სახეზე გვქონდა მოჩვენებითი მოგერიების ელემენტები, სადაც კ.ტ-მ მეუღლის ძალადობისაგან გადარჩენის მიზნით ჩაიღინა კონკრეტული ქმედება, შესაბამისად ბრალდებული სუბიექტურად თავს თვლიდა აუცილებელი მოგერიების პირობებში. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ სახეზე იყო ე.წ. „მოჩვენებითი პროვოკაცია“, როდესაც გამრუდებული იქნა დამნაშავის სუბიექტური აღქმა, თუ რა ირწმუნა მან კონკრეტულ შემთხვევაში; როგორ აღიქვამდა ის ერთად წოლის ფაქტს - მძიმე შეურაცხყოფად, თუ სხვა მძიმე ამორალურ ქმედებად. თუმცა სასამართლოს განაჩენი ყველა შემთხვევაში არასწორად მიმაჩნია. ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად , ან გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად, ან განხრახ მკვლელობის მცდელობად, კეთილგონიერი კაცის სტანდარტის

⁷³ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გამომცემლობა „სამართლებრივი განათლების ასოციაცია“ თბილისი, 2002. გვ.65.

შესაბამისად, თუ სხვა იმავე მახასიათებლების პიროვნება რას იზამდა იმავე გარემოებებში.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით ა. გ-ს, – ნასამართლობის არმქონის, – ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 121-ე მუხლზე და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ა. გ-ას ბრალად ედებოდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ა. გ-ამ 2016 წლის 8 ივნისს, დაახლოებით 16 საათზე, ფ-ში, -ას ქ. №--ში მდებარე თავისი საცხოვრებელი სახლის მისაღებ ოთახში, თავის მცირეწლოვან შვილთან – გ. გ-სთან – მოფერების დროს შეუსწრო ნაცნობს, არასრულწლოვან ჯ. ხ-ას, რომელსაც დანის გამოყენებით განზრახ მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება ხერხემლის მიდამოში გამავალი ნაკვეთი ჭრილობის სახით.

ფოთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 27 თებერვლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით პროკურორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 27 თებერვლის განაჩენის შეცვლას და ა. გ-ას დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის შემდეგი მოტივით: საქმეში არსებული მტკიცებულებებით

უდავოდ დასტურდება ის ფაქტი, რომ ჯ. ხ-ას ა. გ-ას ან მისი ქალიშვილის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, მძიმე შეურაცხყოფა ან სხვა მძიმე ამორალური ქმედება, რასაც შესაძლებელია, გამოეწვია ა. გ-ას უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვება, რაც აუცილებელი პირობაა ქმედების საქართველოს სსკ-ის 121-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის, არ ჩაუდენია.

საკასაციო საჩივრისა და საქმის შესწავლის შედეგად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ ა. გ-ამ ჯ. ხ-ას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, კერძოდ: სსიპ ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის 2016 წლის 10 ივნისის №- დასკვნით, ჯ. ხ-ას დაესვა დიაგნოზი: შოკი დაუზუსტებელი, ნაკვეთი ჭრილობა ხერხემლის არხში გავლით, TH7-TH8 მალთა დონეზე ზურგის ტვინის შეშუპება, მიელოპათია; დაზიანება განვითარებულია რაიმე მწხვლეტავ-მჭრელი თვისების მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო. მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის – მ. მ-ის ჩვენებით, ა. გ-ა ჩადენილი ქმედების დროს იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში. მოწმე შ. გ-ის ჩვენებით, „ა. გ-ას აზრი არ ეკითხებოდა... მოწმეთა ჩვენებები მსჯავრდებულ ა. გ-ას ჩვენების თანხვედნილია. მან სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ კარის შეხსნისას დაინახა, რომ ჯ. ხ. შარვალჩახდილი იდგა და ხელში სასქესო ორგანო ეჭირა, ხოლო მისი ქალიშვილი დივანზე იწვა; ამის დანახვაზე „ტვინი გადაეკეტა“ და რა გააკეთა, არ ახსოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს 1-ლი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების შეფასებას, რომ ა. გ. მოქმედებდა განსაკუთრებულ ფსიქიკურ სიტუაციაში უეცრად აღძრული

ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და ასეთი ქმედება პროვოცირებული იყო დაზარალებულის ქცევით.⁷⁴

ჩემი აზრით, ბრალდებული მართლა იმყოფებოდა აფექტურ, მაგრამ არა აფექტირებულ მდგომარეობაში, რადგან, რამდენად შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ აფექტის გამომწვევ ჩამონათვალს დაზარალებულის ქმედება, ეს შეფასების საკითხია. მცირეწლოვანი შესაძლოა იყოს 5 წლისაც და 13 წლისაც, შესაბამისად თუ 13 წლის მცირეწლოვანი სექსუალური ხასიათის მოქმედებით იყო დაკავებული 15 წლის არასრულწლოვანთან, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ეს მძიმე ამორალურ ქმედებად, შეფასების საკითხია.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ვ. ხ-ი, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ხ-მა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავის მიმართ მსხვერპლის მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე – მსხვერპლის არაერთგზისი ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2017 წლის 3 აგვისტოს, ღამის საათებში, ვ. ხ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ მეუღლე – ე. ხ-ი მას არაერთგზის დალატობდა. 2017 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით 13.10 საათზე, ყ-ს რაიონის სოფელ გ-ი, თავის საცხოვრებელ სახლში, ვ. ხ-მა განზრახ მოკვლის მიზნით, ყელსა და სხეულის სხვა ნაწილებში დანით მრავლობითი დაზიანებები მიაყენა მეუღლეს – ე. ხ-ს, რომელიც

⁷⁴ საკასაციო საჩივარი №293აპ-17, თბილისი, 4 ოქტომბერი, 2017.

მიყენებული დაზიანებების შედეგად მოგვიანებით გარდაიცვალა დაბა ს-ი მდებარე შპს „ყ-ს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრში“.

ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნული ქმედების ჩადენის დროს ვ. ხ-ი იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში (უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით დაცვის მხარე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 5 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანას და საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლის გათვალისწინებით, ვ. ხ-ისათვის მინიმალური სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას და ამ სასჯელის პირობით ჩათვლას იმ მოტივით, რომ მან ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული; აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას; არის მე-2 ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სამხედრო სავალდებულო სამსახურში მიღებული ტრავმის გამო; არ არის ნასამართლევ; ჰყავს 4 შვილი, რომელთაგან 2 არასრულწლოვანია; არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი; ხასიათდება დადებითად; თვითონ შეატყობინა პოლიციას მომხდარის შესახებ და ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას; არის მომხდარი ამორალური და ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლი.

საკასაციო პალატა სასჯელის სამართლიანობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად გაითვალისწინა მსჯავრდებულ ვ. ხ-ის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები და, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილით

გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, მას განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს და არ არღვევს სსკ-ის 54-ე მუხლის მოთხოვნას, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება.⁷⁵

ვფიქრობ, აღნიშნული სასჯელი შესაფერისია და საკასაციო პალატამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომ არ შეამცირა სასჯელი. გასარკვევია ის ფაქტი, რამდენად იყო გარდაცვლილი მეუღლის მიზანი მისი ქმრის პროვოცირება და საერთოდ, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ მათ ერთმანეთთან.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ვ--ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. ვ-ს მსაჯვრი დაედო მასზედ, რომ მან ჩაიდინა: განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს მიმართ მსხვერპლის მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ. მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2017 წლის 3 აგვისტოს, ღამის საათებში ვ--ისათვის ცნობილი გახდა მისი მეუღლე ე--ის მიერ მის მიმართ არაერთგზის განხორციელებული ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ. 2017 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით 13:10 საათზე, ყ-ში მდებარე ვ--ის საცხოვრებელ სახლში, ვ--მა განზრახ მოკვლის მიზნით, ყელის და სხეულის სხვა ნაწილებში, დანის გამოყენებით მიაყენა მრავლობითი დაზიანებები მის მეუღლეს ე--ს. მოგვიანებით, მიყენებული დაზიანებების შედეგად ე--ი გარდაიცვალა დ-ში მდებარე შპს „ყ-“. ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნული ქმედების ჩადენის დროს ვ-ი იმყოფებოდა

⁷⁵ საკასაციო საჩივარი, 2კ-129აკ.-18, # 180100117002260397, თბილისი, 26/07/2018.

ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში (უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა). განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ვ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ა--მა, რომელმაც მოითხოვა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მსჯავრდებულისათვის სასჯელის სახით 1 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა და დანიშნული სასჯელის ჩათვლა პირობით. აპელანტი სასჯელის შემცირების საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებებს, რომ მსჯავრდებულს არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, მან თვითონ აცნობა პოლიციას ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას. განიხილა რა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, პალატამ შეამოწმა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეაფასა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, მიიჩნია რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ვ--ის მიერ განხორციელებულ ქმედებას. ვ--ის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, გარდა მსჯავრდებულის ჩვენებისა, დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმე ი--ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი ცხოვრობს ყ--ში დედასთან ე--თან, მამასთან ვ--თან, ძმასთან ი--თან და დასთან ნ--თან. 2017 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით დღის 13:00 საათზე, სახლში დაბრუნდა დედა, ე--ი, რომელმაც ირ-სა და ნ--ს უთხრა, რომ თავი უნდა მოეკლა, მაგრამ ვერ შეძლო, ირმა და ნ-მა ლანძღვა დაუწყეს დედას, რათა გაოგნებულები იყვნენ დედის საქციელით, რათა წინა დღეს ე--მა უამბო შვილებს, რომ 2 წლის განმავლობაში ქმრის ნათესავთან, კ-ესთან ჰქონდა ურთიერთობა და ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ნ-მა დაურეკა მამას ვ--ს, რომ სახლში მისულიყო. 5 წუთის შემდეგ ვ--ი მივიდა სახლში და მაშინვე დაუწყო

ე--ს დარტყმა, აიღო წითელ ტარიანი დანა და დაარტყა დედას კისრის არეში, რის შემდეგაც იგი გამოვიდა სამზარეულოდან. ბ-მ მამა გამოიყვანა ოთახიდან, მან წყალი მიუტანა და ცდილობდა როგორმე მდგომარეობიდან გამოეყვანა, რადგან მამა უმართავი იყო და ასეთი განრისხებული მას ჯერ არ ენახა. მამამ ტელეფონო აიღო და დარეკა მის მეგობართან კ-თან, რომელიც არის საპატრული პოლიციის თანამშრომელი და უთხრა, რომ ცოლი მოკლა და მასთან მისულიყო. აღნიშნულის შემდეგ, მათ სახლში მივიდა კ--ი თანამშრომლებთან ერთად და მამა გაიყვანეს სახლიდან, ხოლო დასისხლიანებული დედა, რომელსაც ეტყობოდა ყელის არეში ჭრილობები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა გადაიყვანა საავადმყოფოში.⁷⁶

როგორც ვიცით, აფექტირებული მდგომარეობა მაშინ არის დანაშაულის მაპრივილეგირებელი გარემოება, როცა პროვოცირებაზე რეაგირება ხდება იმწუთიერად. აღნიშნულ შემთხვევაში, იმის შემდეგ რაც დამნაშავემ ცოლის ღალატის შესახებ გაიგო, 12 საათზე მეტი იყო გასული. ეს კონკრეტული შემთხვევა არის სწორად, ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილი ფემიციდი და ვფიქრობ, არ უნდა მოიაზრებოდეს პრივილეგიური დანაშაულის კატეგორიაში. ჩადენილია მკვლელობა ძლიერი განაწყენების საფუძველზე, შურისძიების მოტივით, ოჯახის წევრის მიმართ. ამიტომ დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამის მუხლებზე მითითებით, და არა როგორც მკვლელობა 111 - ე მუხლით.

⁷⁶ სააკელაციო საქმე #1/ზ-50-18., # 18-100117002260397., თბილისი., 05.02.2018.

III.IV აფექტირებული მდგომარეობის, როგორც მაპრივილეგირებელი გარემოების გავრცელება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებზე

ძლიერ სულიერ აღელვებას, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მხოლოდ ორი მუხლის დისპოზიციაში განიხილავს. ესენია : სსკ -ის 111 - ე და 121-ე მუხლები. სხვა დანაშაულების შემთხვევაში აფექტირებული მდგომარეობა შემამსუბუქებელ გარემოებად არ განიხილება. ვფიქრობ, აღნიშნული განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა , რომელიც გამოწვეულია მხოლოდ მსხვერპლის ბრალეულობით, სისხლის სამართლის კოდექსის 187 - ე (ნივთის დაზიანება ან განადგურება) და 366 - ე (სასამართლოს უპატივცემულობა) მუხლებზეც უნდა ვრცელდებოდეს და იწვევდეს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას აღნიშნული დანაშაულების განსაკუთრებულ ემოციურ მდგომარეობაში, ჩადენის დროს. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187 - ე მუხლის მიხედვით სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს იწვევს, დასჯადი ქმედებაა, რამაც სასჯელის სახით შესაძლოა ერთიდან სამ წლამდე ვადით პატიმრობაც გამოიწვიოს. თუ პირი მართლსაწინააღმდეგო ძალადობის მსხვერპლია და ძალადობამ გამოწვია მისი აფექტირებული მდგომარეობა, შესაძლოა დააზიანოს მოძალადის ნივთი, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მოძალადეს , მაგრამ ასეთ ვითარებაში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება აუცილებლად იმსახურებს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან გამორიცხვას. მაგალითად შვილი, რომელიც მუდმივი შეურაცხყოფის და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი იყო მშობლის მხრიდან, მორიგი კონფლიქტის დროს ჩავარდება აფექტირებულ მდგომარეობაში და გაანადგურებს ან დააზიანებს მშობლის არაერთ ძვირადღირებულ ნივთს, რაც ხელში მოხვდება. ან, მაგალითად, ქმარმა დაინახა

მისი მეუღლე სექსუალური სახის ურთიერთობაში სხვა პირის ავტომანქანაში და აფექტირებულ მდგომარეობაში სერიოზულად დააზიანა აღნიშნული პირის ავტომობილი. ვფიქრობ აღნიშნული გარემოებები ან საერთოდ უნდა გამოირიცხავდეს პასუხისმგებლობას ან იმდენად ამცირებდეს, რომ საპატიმრო სასჯელს არ ითვალისწინებდეს. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ 366 -ე მუხლს, სასამართლოს უპატივცემულობას, ვქირობ აფექტირებული მდგომარეობა აღნიშნულ მუხლზეც უნდა გავრცელდეს, როგორც ქმედების მაპრივილეგირებელი ფაქტორი. სასამართლოს უპატივცემულობა გულისხმობს სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფას, უშუალოდ სასამართლო დარბაზში, რაც იწვევს სასამართლო პროცესისათვის ხელის შეშლას. აღნიშნული ქმედებისათვის პირს შესაძლოა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოს, მაგრამ, თუ პირი აფექტირებულ მდგომარეობაში ჩავარდება სასამართლო პროცესის დროს, რადგან პროცესის სხვა მონაწილემ მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა მას, ან დაზარალებულში მოძალადის დანახვა გამოიწვევს ძლიერ სულიერ აღელვებას, და ასეთ დროს მიაყენებს პროცესის მონაწილეს შეურაცხყოფას, მისი პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შესაძლოა გამოვიყენოთ კიპრიანუს საქმე, რომელშიც კვიპროსის სასამართლოს მოსამართლემ 5 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ადვოკატ კიპრიანუს, სასამართლოს უპატივცემულობისათვის. ადვოკატი, პროცესის მსვლელობის დროს, გააღიზიანა მოსამართლის უსაფუძვლო შენიშვნებმა ჯვარედინი დაკითხვის წარმართვასთან დაკავშირებით. გაღიზიანებულმა ადვოკატმა, რომელსაც 40 წლიანი სანიმუშო პრაქტიკა ჰქონდა, უხეში ტონით მოუბოდიშა მოსამართლეს ჯვარედინი დაკითხვის გამო, და დასძინა: მაშინ როდესაც თავად მოსამართლეები ერთმანეთისათვის სამიჯნურო წერილების მიმოწერით იყვნენ დაკავებულები, რანირად გაიგებდნენ, აცდენილი იყო თუ არა მისი დაკითხვა მთავარ ხაზს. ამ ქმედების გამო მას მიესაჯა 5 დღიანი პატიმრობა, სასამართლოს

უპატივცემულობის მუხლით. აღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატმა კიპრიანუმ გაასაჩივრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც დიდმა პალატამ კვიპროსის მთავრობას 25 ათასი ევროს ოდენობის კომპენსაცია დააკისრა მოპასუხე კიპრიანუს სასარგებლოდ. ევროპული სასამართლოს განმარტებით აზრისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ძირითადი უფლებაა, ხოლო ადვოკატის დაკავებით კვიპროსის სასამართლომ დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, სასამართლოს მიუკერძოებლობა და ბრალდების მიზეზისა და არსის დეტალური განმარტება.⁷⁷

გარდა ყოველივე ამისა, ვფიქრობ, მაპრივილეგირებული აფექტირებული მდგომარეობა უნდა გავრცელდეს ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც გამოწვეულია დაზარალებულის არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, არამედ სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებითაც. მაგალითად თუ პირი გაუფრთხილებლობით მოუსპობს სიცოცხლეს ვინმეს და ამ შემთხვევის შემსწრე ხდება გარდაცვლილის მშობელი ან ახლო ნათესავი, შესაძლებელია მკვლელობამ გამოიწვიოს პირში ძლიერი სულიერი აღელვება და ამ განცდის ნიადაგზე სიცოცხლე მოუსპოს მისი შვილის მკვლელს. საკანონმდებლო მუხლის კონსტრუქციის, კერძოდ 111-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული ქმედება ვერ ჩაითვლება მაპრივილეგირებულ გარემოებაში ჩადენილად, მაგრამ აშკარად კანონის ხარვეზთან გვაქვს საქმე. თუ შეურაცხყოფა იწვევს მაპრივილეგირებულ აფექტირებული მდგომარეობას, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა რატომ არ უნდა იწვევდეს მაპრივილეგირებულ აფექტს? მართალია ამ დროს არ გვაქვს დამნაშავის განზრახვა, მაგრამ რამდენად სამართლიანია ამორალური ქცევით და შეურაცხყოფით გამოწვეულ აფექტირებულ მდგომარეობაში პირს დანაშაული შეუმსუბუქდეს, ხოლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებით (გარდა ძალადობისა)

⁷⁷ CASE OF KYPRIANOU v. CYPRUS, Application no. 73797/01., 15/12/2005.

გამოწვეულ აფექტირებულ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული, პირიქით, დამამძიმებელიც კი შეიძლება გახდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ 111-ე და 121-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით : „ უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ, მძიმე შეურაცხყოფამ, ან მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან შეურაცხმყოფელი ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ.“ აღნიშნული ცვლილება გააფართოვებს მაპრივილეგირებული აფექტირებული მდგომარეობის გავრცელების არეალს, რაც აღმოფხვრის მოქმედ საკანონმდებლო კონსტრუქციაში არსებულ ხარვეზს.

III.V. საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი აფექტირებული დანაშაულის ჭრილში

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე პარაგრაფი ითვალისწინებს მკვლელობას შემამსუბუქებელ გარემოებებში, რაც შეიძლება შევადაროთ საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებულ „მენსლოტერს“, რომელიც ნიშნავს მოკვდინებას და არა მკვლელობას, ვინაიდან ის დანაშაულის უფრო მსუბუქი ფორმაა. ისევე როგორც საერთო სამართლის ქვეყნებში, გერმანიაშიც არ არის კოდექსით ცალკე მუხლში გათვალისწინებული აფექტირებული დანაშაული, თუმცა ზემოაღნიშნული 213-ე პარაგრაფი შეგვიძლია შევადაროთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ 111-ე მუხლს, მკვლელობა ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც ქმედების მაპრივილეგირებული გარემოებაა. აღნიშნულ პარაგრაფში მოიაზრება, როგორც აფექტირებული დანაშაული, ისე აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის მიხედვით, ასევე ცალკე მუხლით რეგულირდება. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე პარაგრაფი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

თუ დამნაშავე პროვოცირებული იყო მსხვერპლის მხრიდან, და მას ამ პროვოკაციის გამოწვევაში ბრალი არ მიუძღვის, მის ან მისი ნათესავის მიმართ განხორციელებული სასტიკი მოპყრობით, ან მსხვერპლმა მიაყენა მას მძიმე შეურაცხყოფა, რის გამოც დაკარგა იმწუთიერად საკუთარ თავზე კონტროლი და ამ მდგომარეობაში ჩაიდინა მკვლელობა, ან სხვა ნაკლებად მძიმე შემთხვევების დროს, ქმედება სასჯელის სახით ითვალისწინებს პატიმრობას 1 დან 10 წლამდე ვადით.⁷⁸

აღნიშნული მუხლი ვრცელდება მხოლოდ მკვლელობის შემთხვევებზე და არა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაზე. სხვა ნაკლებად მძიმე შემთხვევებში მოიაზრება, მაგალითად, დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა, რომელსაც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე პარაგრაფი ითვალისწინებდა და გაუქმდა. ასევე აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება, თუ სახეზე არ გვაქვს 33-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მისატყვებელი გარემოებანი; მოჩვენებითი მოგერიება; მოჩვენებითი პროვოკაცია (როდესაც დამნაშავე მცდარად აღიქვამს პროვოკაციულ გარემოებებს.); შეზღუდული შერაცხაობა; ბრძანების შესრულება ...

იმისათვის, რომ მკვლელობა ნაკლებად მძიმე დანაშაულად ჩაითვალოს, აუცილებელია სახეზე გვქონდეს პროვოცირების ფაქტი დაზარალებულის მხრიდან და ამ პროვოკაციის გამოწვევაში დამნაშავეს ბრალი არ უნდა მიუძღვოდეს. კანონი განსაზღვრავს პროვოკაციის ორ შემთხვევას, რომლებიც ამსუბუქებენ ჩვეულებრივ მკვლელობას და აქცევენ მას „მენსლოტერად“,

⁷⁸ German Criminal Code., 1998., Section 213.

მოკვდინების ნაკლებად მძიმე შემთხვევად. ესენია - სასტიკი მოპყრობა და მძიმე შეურაცხყოფა, რომლებიც ჩადენილია უშუალოდ მსხვერპლის მიერ, დამნაშავის ან მისი ნათესავის მიმართ. პროვოკაციის დროს შესასწავლია მსხვერპლის საქციელი, ყველა ის გარემოება, რამაც გამოიწვია და განაპირობა მოვლენების ამგვარი განვითარება.⁷⁹ ამასთანავე, აუცილებელია პროვოკაციამ გამოიწვიოს დამნაშავის ძლიერი სულიერი აღელვება. გერმანული სისხლის სამართალი არ განასხვავებს აუცილებელი მოგერიების დროსა და აფექტირებული დანაშაულის დროს წარმოქმნილ ძლიერ ემოციებს ხარისხობრივად, მაგრამ განსხვავება დეტალებშია. ანუ გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, აფექტირებული მდგომარეობა შესაძლოა წარმოიშვას აუცილებელი მოგერიების დროსაც, თუმცა შესაძლოა საერთოდ არ გვექონდეს სახეზე ასეთ ვითარებაში აფექტირებული მდგომარეობა. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე პარაგრაფში გათვალისწინებულ სასტიკ მოპყრობად ფასდება მხოლოდ მნიშვნელოვანი ხელყოფა, თუმცა არ არის აუცილებელი ის მხოლოდ ფიზიკურ ძალადობაში გამოიხატებოდეს, სასტიკ მოპყრობად ჩაითვლება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, მორალური და ქონებრივი ძალადობა ასევე ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი ხელყოფა რაც პირისთვის ზიანის მიყენებას ითვალისწინებს. შესაბამისად აღნიშნულ ქმედებებში მოიაზრება მართლსაწინააღმდეგო ძალადობაც, რაც აუცილებელი მოგერიების გამომწვევი მიზეზია.

გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თუ სახეზე გვექნება ნორმათა კოლიზია, ვფიქრობ აღნიშნული მდგომარეობა შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს. ვიცით, რომ არსებობს აუცილებელი მოგერიების ინტენსიური და ექსტენციური ექსცესები. თუ სახეზეა ინტენსიური ექსცესი, ქმედება ჩაითვლება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად, ხოლო თუ

⁷⁹ Fischer T., Strafgesetzbuch., 68. Auflage., 2021., P.1523.

გვექნება ექსტენციური ექსცესის მდგომარეობა, მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს აფექტში ჩადენილ დანაშაულად , მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე მოქმედებს სთენიური (რისხვის) აფექტის პირობებში.⁸⁰ ექსტენსიური ექსცესის დროს, ასთენიური აფექტის მდგომარეობა უნდა დაკვალიფიცირდეს აუცილებელი მოგერიების ექსცესად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 213- ე პარაგრაფის პირველი ნაწილი , უკავშირდება უკვე დასრულებული პროვოკაციის ფაქტს , რომელიც მართალია იმ მომენტში მოხდა , მაგრამ უკვე დასრულებულია, და აღნიშნული პროვოკაციით გამოწვეულ რისხვის აფექტს. რაც შეეხება პროვოკაციის მეორე შემთხვევას, მძიმე შეურაცხყოფას, როგორც მკვლელობის შემამსუბუქებელ ფაქტორს, მასში მოიაზრება არა მხოლოდ ღირსების შელახვა, არამედ ნებისმიერი სახის ამორალური და დამამცირებელი მოპყრობა, რომელიც მძიმე ხასიათს ატარებს. ამასთანავე ქმედება უნდა შეფასდეს მძიმე შეურაცხყოფად ყველა არსებითი გარემოების საფუძველზე, ობიექტურად და არა მხოლოდ დამნაშავეს სუბიექტურ აღქმაზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანია როგორც დამნაშავესა და მსხვერპლის პიროვნული მახასიათებლები, ასევე ის სოციალური წრე სადაც აღნიშნული პირები მოღვაწეობენ და ასევე მათ შორის არსებული ურთიერთობა დანაშაულის ჩადენამდე. შეურაცხყოფა შესაძლოა არც ისე მძიმე იყოს კონკრეტულ ვითარებაში , მაგრამ დროში განგრძობადი, რეგულარული, ხასიათის გამო მან გამოიწვიოს დამნაშავეს აფექტირებული მდგომარეობა, რადგან ბოლო წვეთი აღმოჩნდა პროვოცირებულის ფსიქიკისათვის.⁸¹

სექსუალური ხასიათის დამამცირებელ მოპყრობასა და ცოლ-ქმრულ ღალატს ძალიან დიდი ადგილი უკავია მძიმე შეურაცხყოფის ჭრილში. თუმცა

⁸⁰ Fischer T., Strafgesetzbuch., 68. Auflage., 2021., P.1526.

⁸¹ Schneider., Überlegungen zur restriktiven Auslegung von 213 StGB., NStZ., 2001., 455 f.

სექსუალური ხასიათის მძიმე შეურაცხყოფა უნდა იყოს მოულოდნელი პარტნიორისათვის და ასეთი სახის პროვოცირება არ უნდა იყოს გამოწვეული პარტნიორული ურთიერთობების განმავლობაში თავად პროვოცირებულის მხრიდან განხორციელებული შეურაცხყოფელი ქმედებებით (მაგალითად ქმარი მუდმივად ღალატობს ცოლს, შეურაცხოფს... და ამის შედეგად ცოლის მხრიდან ღალატი არ უნდა ჩაითვალოს ქმედების მაპრივილეგირებელ გარემოებად). შესაბამისად მძიმე შეურაცხყოფის განხილვის დროს მნიშვნელოვანია მხარეებს შორის არსებული დამოკიდებულების საერთო შეფასება და არა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის დროს არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. დამნაშავის მიერ წარსულში ჩადენილი ქმედება, რამაც განაპირობა პროვოკაციის წახალისება, გამორიცხავს ქმედების მაპრივილეგირებელ გარემოებას თუ პროვოკაცია და მისი გამომწვევი მიზეზები ერთმანეთთან თანაზომიერ მდგომარეობაში არიან.⁸² გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლი, რომელიც „Actio libera in causa“-ს სახელითაა ცნობილი, უდანაშაულოდ ცნობს პირს, რომელიც ქმედების ჩადენის დროს ვერ ითვალისწინებდა მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობას ან შინაგანი რწმენით ფიქრობდა, რომ მართლზომიერად მოქმედებდა, ფსიქიკური აშლილობის, ცნობიერების ღრმა დარღვევის, ინტელექტუალური შეზღუდულობის ან სხვა სერიოზული ფსიქოლოგიური დარღვევის გამო. თუმცა თუ ზემოაღნიშნულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში პირი აღმოჩნდება საკუთარი თავისუფალი ნებითა და არჩევანით, მაშინ მისი ქმედების დანაშაულებრიობა აღარ გამოირიცხება.⁸³ აღნიშნულ მუხლში შეგვიძლია მოვიაზროთ პათოლოგიური აფექტირებული მდგომარეობა, რა დროსაც დამნაშავეს ფსიქიკის პათოლოგიური მდგომარეობის გამო, სრულად შეზღუდული აქვს საკუთარ

⁸² Fischer T., Strafgesetzbuch., 68. Auflage., 2021., P.1525.

⁸³ Hetinger M., Die “actio libera in causa” : strafbarkeit wegen Begehungstat trotz Schuldunfähigkeit? ., Duncker & Humblot GmbH, Berlin., 1988., p. 22.

თავზე კონტროლის უნარი. რაც შეეხება იმ დეტალების ფორმულირებას, როდის მიიყვანა საკუთარი ნებითა და განზრახვით დამნაშავემ თავი უკონტროლო მდგომარეობამდე, მაგალითად მიიღო ალკოჰოლი ან ნარკოტიკული ნივთიერება, რამაც გამოიწვია მისი ფქსიქიკის სრულად მოშლა და ა.შ., ამას გერმანიის სასამართლო პრაქტიკა უზრუნველყოფს და კანონმდებლობაში პირდაპირ არ არის გაწერილი.⁸⁴ თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ თუკი დამნაშავის ფსიქიკური დარღვევები გამოიწვია მსხვერპლის სოციალურად გასაკიცხმა ქმედებამ და აქედან გამომდინარე მისი საპასუხო რეაქცია სოციალური შეხედულებებისამებრ გამართლებულია, ეს მაინც არ უნდა გამორიცხავდეს პასუხისმგებლობას და ითვლებოდეს მხოლოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.⁸⁵ აღნიშნულში შესაძლებელია მოვიაზროთ როგორც პათოლოგიური, ისე ფიზიოლოგიური აფექტი, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, პათოლოგიური აფექტი არ ჩაითვალოს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად.

რაც შეეხება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლს, აქ საუბარია შეზღუდულ შერაცხადობაზე, როდესაც მე- 20 მუხლში გათვალისწინებული მიზეზების გამო პირს შეზღუდული აქვს ქმედების მართლწინააღმდეგობის გააზრება. აღნიშნული შემთხვევა ითვლება ქმედების შემამსუბუქებელ გარემოებად და შესაძლებელია სამუდამო პატიმრობა სამ წლამდე პატიმრობით შეიცვალოს.⁸⁶ ანუ როდესაც პირი, ფსიქიკური აშლილობის, ცნობიერების ღრმა დარღვევის, ინტელექტუალური შეზღუდულუნარიანობის ან სხვა სერიოზული ფსიქოლოგიური დარღვევის გამო, სრულად ვერ აცნობიერებს მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, ჩადენილი ქმედება შეუმსუბუქდება სასჯელის დანიშვნის ეტაპზე.

⁸⁴ **Susanne Beck.**, Neue Konstruktionsmöglichkeiten der actio libera in causa., Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik., ZIS 6/2018., 2018., p. 205.

⁸⁵ **Roxin.**, Strafrecht., Allgemeiner Teil. I., 4th Edition., 22 Rn. **2006.**, 142 f.

⁸⁶ **German Criminal Code.**, Section 213; 1998., 49 (1).

აღნიშნულ შინაარს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლიც. საინტერესო დებულებებს ითვალისწინებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე პარაგრაფი, რომელიც აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებას ეხება და აუცილებელი მოგერიების ექსცესის სახელით არის ცნობილი. აღნიშნულ მუხლში წერია, რომ თუ პირმა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადააცილა დაბნეულობის, შიშის ან გაოგნების გამო, მას არ უნდა დაეკისროს სასჯელი აღნიშნული ქმედების გამო.⁸⁷ ეს განპირობებულია დამნაშავეს განსაკუთრებული ემოციური მდგომარეობით, რომელიც გამოიწვია თავად მსხვერპლმა, და ასეთ მდგომარეობაში მისთვის შეუძლებელი ხდება კანონის ფარგლების გათვალისწინება.⁸⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აღნიშნულ ნორმას არ ითვალისწინებს, თუმცა პროფესორ ოთარ გამყრელიძეს ჰქონდა სისხლის სამართლის ალტერნატიული პროექტი მომზადებული, რომელშიც 38-ე მუხლის სახით ითვალისწინებდა გერმანული კოდექსის ნორმის ანალოგიურ შინაარს და ის შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „არ დაისჯება ის, ვინც აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადააცილებს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისაგან გამოწვეული დაბნეულობით, შიშით ან სხვა საპატიო გარემოების გამო“. აზრთა სხვადასხვაობის გამო კანონმდებელმა ალტერნატიული პროექტის პოზიცია არ გაითვალისწინა და კოდექსში არ შეიტანა.⁸⁹ გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აუცილებელი მოგერიების ექსცესი ბრალის გამომრიცხველ მისატევებელ გარემოებად ითვლება. ავტორთა ნაწილი მას შეურაცხაობის თემას უკავშირებს მომგერიებლის მიერ საკუთარი ნების კონტროლის ძლიერი დაქვეითების

⁸⁷ **German Criminal Code.**, 1998., Section 33.

⁸⁸ **Herman J.**, Causing the Conditions of One's Own Defense: The Multifaceted Approach of German Law., Brigham Young University Law Review., 1986., p. 761.

⁸⁹ **ტურავა მ.**, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება., პირველი წიგნი., გამომცემლობა მერიდიანი., 2011., გვ. 461.

გამო, ხოლო ავტორთა მეორე ნაწილი - მომგერიებლის განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობის გამო, მისატევებელი უკიდურესი აუცილებლობის გვერდით განიხილავს, რა დროსაც, აკრძალვაში შეცდომის გამო სახეზე გვაქვს ბრალის გამომრიცხველი მიტევების მომენტი. აუცილებელი მოგერიების ექსცესის დროს უმართლობის ხარისხი ისედაც შემცირებულია და თუ ამას დაემატება ასთენიური აფექტი, რა დროსაც მომგერიებელს შეზღუდული აქვს საკუთარი ნების კონტროლი, ეს იმდენად შეამცირებს ბრალის ხარისხს, რომ გამოიწვევს პატიებას.⁹⁰ ეს ყოველივე კი იმპლიციტურად გულისხმობს მართლწინააღმდეგო ძალადობის ნიადაგზე წარმოშობილი აფექტირებული დანაშაულის გამორიცხვას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან, რაზეც უკვე არაერთხელ გავამახვილე ყურადღება და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული ჩანაწერი და გერმანელი ავტორების პოზიციები ადასტურებს ჩემს მოსაზრებას. თუმცა, გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგო ძალადობის ნიადაგზე წარმოშობილი აფექტირებული დანაშაული მხოლოდ იმ შემთხვევაშია მისატევებელი, თუ სახეზე გვაქვს შიშის აფექტი. რისთვის აფექტის შემთხვევაში - ის მხოლოდ პასუხისმგებლობის შემსუბუქებას იწვევს.

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, აუცილებელი მოგერიების ექსცესი შესაძლოა მისატევებელი იყოს, როგორც ინტენსიური ექსცესის, ისე - დაგვიანებული ექსტენსიური ექსცესის დროს, ვინაიდან ამ უკანასკნელ ვითარებაშიც, მომგერიებელს ჰქონდა აუცილებელი მოგერიების უფლება, თუმცა საპასუხო რეაქცია დროში გადააცილა.⁹¹ ამასთანავე, გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, ინტენსიური ექსცესის დროს მნიშვნელობა არ აქვს პირი შეგნებულად გადააცილებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, თუ

⁹⁰ **Roxin.**, Strafrecht., Allgemeiner Teil. I., 4th Edition., 2006., Pg. 991.

⁹¹ **Heinrich B.**, Strafrecht., Allgemeiner Teil. I., 2 Edition., 2010.,Pg. 246.

შეუგნებლად, თუ მომგერიებლის ქმედება გამოწვეულია შიშით, დაბნეულობით ან ტერორით, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება მაინც მისატევებლად ჩაითვლება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც მოგერიება აშკარად არათანაზომიერი და შეუსაბამო იყო მიყენებულ ან მისაყენებელ ზიანთან.⁹² ვფიქრობ არანაირი განსხვავება არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ძალადობით გამოწვეულ აფექტირებულ დანაშაულსა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ აუცილებელი მოგერიების ექსცესს შორის, ვინაიდან ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს აუცილებელი მოგერიების პირობები და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა. ასეთი მდგომარეობა კი - იწვევს პირის ცნობიერების შეზღუდვას, ნების კონტროლის დაქვეითებას და შეუძლებელია განსაზღვროს ნორმის ფარგლები და მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა. საბოლოოდ, საქართველოსა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსები განსახილველ საკითხში ძალიან წააგავს ერთმანეთს, თუმცა არსებობს წვრილმანი განსხვავებები. ეს შეეხება მაგალითად აფექტირებული დანაშაულის ნორმის განმარტებას. ძლიერი სულიერი აღელვების მაპრივილეგირებელ პირობად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოითხოვს მართლსაწინააღმდეგო ძალადობას, მძიმე შეურაცხყოფას, ან სხვა მძიმე ამორალურ ქმედებას, ხოლო გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი - სასტიკ მოპყრობას და მძიმე შეურაცხყოფას. რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგო ძალადობით გამოწვეულ აფექტირებულ მდგომარეობას, როგორც უკვე აღვნიშნე, ის შეგვიძლია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ შემთხვევას

⁹² Kindhauser U., Strafrecht., Allgemeiner Teil. I., 4th Edition., 2009., Pg. 197.

შევადართ, მხოლოდ, ასთენიური აფექტის ჭრილში, რა დროსაც პირი სრულად თავისუფლდება სისხლისსამართებრივი პასუხისმგებლობისაგან.

III.VI. აფექტირებული დანაშაული საერთო სამართლის ქვეყნებში

საერთო სამართლის სისტემაში აფექტირებული დანაშაულის საკითხები, ჩვეულებრივ, დარეგულირებულია ე.წ. „მაკნათენის წესებით“. ეს წესები ინგლისში შემუშავდა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მკვლელობას უკავშირდება და რომლის შინაარსი ასეთია:

1848 წელს ვინმე **დანიელ მაკნათენმა** ნაცვლად პრემიერ მინისტრისა, რომლის მოკვლაც მას განზრახული ჰქონდა, შეცდომით მოკლა მისი მდივანი. განსასჯელის სულით ავადმყოფობის გამო, სწორად ამ საქმის განხილვისათვის სასამართლოს დასჭირდა მსგავსი შემთხვევებისათვის შესაფერისი წესების შემუშავება. განსასჯელი გაამართლეს შემთხვევების, სულით ავადმყოფობის საფუძველით. წესების მიხედვით, განსასჯელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ის შეპყრობილია გონებრივი დეფექტით, რაც სულით ავადმყოფობიდან წარმოდგება. ეს შეიძლება იყოს „ფსიქოზი“, „პარანოია“, „შიზოფრენია“ და სხვა. თუმცა „ფსიქოპათები“ და „ნევროზით“ შეპყრობილები არ განეკუთვნებიან ზემორე კატეგორიას. განსასჯელმა უნდა ამტკიცოს, აგრეთვე, რომ შემთხვევების გამო მას არ შესწევდა უნარი სცოდნოდა საკუთარი ქცევის „ბუნება და თვისება“, საერთოდ რას სჩადიოდა; ან ეს კი იცოდა, მაგრამ არ ესმოდა, რომ ასეთი საქციელი ცუდია. (მაგალითად, იცოდა რომ კლავდა, მაგრამ მკვლელობა ცუდია). თუ ნაფიცი მსაჯულები ჰპოვებენ, რომ ყოველივე ეს დასტურდება და ირწმუნებენ ამას, მაშინ გამოაქვთ ვერდიქტი „არაბრალეულია(უდანაშაულოა) შეურაცხაობის გამო“. ასეთ შემთხვევაში მას ჰოსპიტალში გაამწესებენ - სპეციალურ ჰოსპიტალში - ჩვეულებრივ „ბროდმურის“ ჰოსპიტალში. თუმცა არსებობს „შემცირებული პასუხისმგებლობის“ შემთხვევები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესოა, რადგან

საკვლელ თემას განეკუთვნება, მაგრამ იმ სისტემაში, სადაც არ არსებობს კოდიფიცირებული კანონმდებლობა, ისინი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული საქმის ინდივიდური თავისებურებებისა და გარემოებების მიხედვით გადაწყდება პრინციპით - case by case. აქ გაცილებით უფრო გამოსადეგია სხვა, ე.წ. „დაუძლეველი იმპულსის“ (Irresistible impuls) კონცეპტი, რომელიც არ განიხილება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად გამოცალკევებით და ვერც გამოიყენება საამისოდ, თუ არ მოიცვა „მაკნათენის წესებმა“, მაგრამ თავისუფლად შეიძლება გამოდგეს, რამდენადაც ის უნებლიე ქცევაა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მეტადრე პროვოკაციის შემთხვევებში. ეს კი უშუალოდ ჩვენ თემასთან გვაახლოებს, რადგან ვიკვლევთ აფექტირებული დროებითი აშლილობის შემთხვევებს, მანამდე კი საჭირო იქნება გავერკვეთ, რა იგულისხმება საერთო სამართლის ქვეყნებში „პროვოკაციის“ ქვეშ.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ პროვოკაცია აქ სრულიად დამოუკიდებელი კონცეპტია და ასევე დამოუკიდებლად გამოიყენება, თუმცა არც კომბინაციები შეიძლება გამოირიცხოს. ჩვეულებრივ „პროვოკაციას“ განმარტავენ, როგორც საქციელს(ქმედებას) ან სიტყვებს , რომლებმაც მავანს თვითკონტროლი დააკარგვინა. პროვოკაცია არ მიეკუთვნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ანუ გამამართლებელი გარემოებების კატეგორიას, თუმცა შეუძლია Murder ანუ მძიმე მკვლელობა Manslaughter - ობამდე დაიყვანოს. ის არც მკვლელობის მცდელობას ამართლებს.

პროვოკაციის ტესტია იმის შემოწმება, შეუძლია თუ არა მოცემულ ქცევას ან გამოთქმას მავანს თვითკონტროლი დააკარგვინოს და, თუ შეუძლია, გავრცელდებოდა თუ არა იგივე სხვა „კეთილგონერ კაცზე“ ასეთსავე მდგომარეობაში. ეს გახლავთ ფაქტის საკითხი (questio facti), რომელიც ჟიურიმ უნდა გადაწყვიტოს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ტესტის მიხედვით,

„კეთილგონიერი კაცი“ იმავე ასაკისა და სქესის უნდა იყოს, როგორცაა განსასჯელი და სხვა სპეციალურ მახასიათებლებსაც უნდა იზიარებდეს, მაგალითად, თუ განსასჯელი იმპოტენტია, მაშინ „კეთილგონიერი კაციც“ ასეთივე უნდა წარმოვიდგინოთ, რათა შესაძლებელი გახდეს შესატყვისი დასკვნის გამოტანა. ამიტომ, ჟიურიმ უნდა დაადგინოს, როგორი იქნებოდა „კეთილგონიერი იმპოტენტის“ მხრივ რეაქცია. სამაგიეროდ, არ შეიძლება „კეთილგონიერი კაცის“ როლში განიხილებოდეს ალკოჰოლიკი და ნარკომანი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ ერთიანი საკანონმდებლო ან თუნდაც დოქტრინალური კონსტრუქცია საერთო სამართლის სამშობლოში არც არასდროს ყოფილა და არც სადღეისოდ არსებობს, მაგრამ ის ელემენტები გამოიყენება, რომლებიც კონტინენტურ სამართალში მონაწილეობენ აფექტირებული დანაშაულის სპეციალურ შემადგენლობაში. მხედველობაში მიიღება ცალკეული შემთხვევების განხილვისას და ყოველივე ამის ხერხემალს წარმოადგენს „მაკნათენის საქმე“. იგი დიდი ხნის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების თეორიასა და პრაქტიკასაც ასაზრდოებდა კონცეპტუალურად. თუმცა დროთა განმავლობაში ის თანდათან მდიდრდებოდა ახალახალი ქეისებით. ასეთია მაგალითად მიურჰამის ქეისი (Durham Case, 1993).⁹³ საქმე ისაა, რომ საერთო სამართლის ტრადიცია დიდად ვერ შეცვალა ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებამ და მისი დებულებების მოქმედ კანონმდებლობაში დანერგვამ. ამიტომ უპირატესად ზემოთ მითითებული პრეცედენტული ქეისები კვლავ რჩება საერთო სამართალში ჩვენთვის

⁹³ Richard C. Donelly, Joseph Golgstein, Richard D. Schwartz., Criminal Law, Free Press of Glencol, Une., 1963., p.739.

საინტერესო თემაზე ინფორმაციისა და შემეცნების ძირითად წყაროდ;⁹⁴ ასევე სახელოვანი მეცნიერი⁹⁵ და პრაქტიკოსი ავტორიტეტების⁹⁶ გამონათქვამები.

როგორც უკვე აღინიშნა, აფექტირებული დანაშაულის საკითხი, საერთო სამართლის ქვეყნებში, რომლებსაც, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანებული სამეფო მიეკუთვნება, განიხილება როგორც პროვოცირებული დანაშაული, საქართველოში კი პროვოკაციას საერთოდ სხვა დატვირთვა აქვს და სსკ-ის 145-ე მუხლის მიხედვით, ეს ნიშნავს სხვის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნით. საერთო სამართლის ქვეყნებში პროვოკაცია არის ქმედების მაპრივილეგირებელი გარემოება, რაც გულისხმობს დანაშაულის შემსუბუქებას, როდესაც ის გამოწვეულია დაზარალებულის პროვოკაციული ქმედებით.

დღესდღეისობით გაერთიანებულ სამეფოში პროვოცირებული დანაშაულის საკითხი საკამათოა, ვინაიდან ის აყენებს ბრალდებულს შემამსუბუქებელ გარემოებაში, რაკი თავს უფლება მისცა აპყლოდა პროვოკაციას. აქედან გამომდინარე, დადგენილია უნივერსალური სტანდარტი ჩვეულებრივი, „კეთილგონიერი ადამიანისა“, რომელშიც გამოიწვევდა ესა თუ ის ქმედება პროვოცირებას. ინგლისის სისხლის სამართლის მიხედვით, თუ არსებობს მტკიცებულება, რომ მძიმე დანაშაულის ჩადენა გამოწვეულია ძლიერი პროვოკაციით, საკითხი გადაეცემა ნაფიც მსაჯულებს, რომლებმაც უნდა დაადგინონ, იყო თუ არა პროვოკაცია საკმარისი იმისათვის, რომ ეიძულებინა გონიერი ადამიანი მოქცეულიყო ისე, როგორც ბრალდებული მოიქცა. საერთო სამართლის მიხედვით, ადიულტერი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება პროვოკაციად, თუ ერთ-ერთი მეუღლე უშუალოდ გახდება ღალატის მოწმე.

⁹⁴ ქობალია გ., დანაშაულში თანამონაწილეობის სამართლებრივი ბუნება აშშ-ის სისხლის სამართალში, სამეცნიერო ჟურნალი „იუსტიცია“, 2023 N1 (4).

⁹⁵ Hall J., Yale Law Journal, 761, 773-774, 1956, v.65.

⁹⁶ The American Journal of Psychiatry, C XII, 1956, P. 651, 65-656.

თუმცა არ არის აუცილებელი, რომ პროვოკაციული ქცევა იყოს მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური. მაგალითად, სასამართლომ საქმეში R. v. Dought, მცირეწლოვანი ბავშვის ხმამაღალი ტირილი პროვოკაციად მიიჩნია და მამას, რომელმაც შვილის დაწყენარების მიზნით მას თავზე საბანი გადააფარა, რის შედეგადაც ბავშვი გაიგუდა, ჩადენილი დანაშაული შეუმსუბუქა⁹⁷. „დროებითი აშლილობა“ ან „ემოციური შეტევა“ არის ის ტერმინები, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გამოიყენება პროვოცირების შემდეგ ემოციური მდგომარეობის აღსაწერად, რომლის დროსაც მოქმედება განიხილება, სულ მცირე, თვითკონტროლის ნაწილობრივ დაკარგვად. შესაბამისად, ამ დროს ქმედება არ არის ბოლომდე გონებით წარმართული. საერთო სამართალში ემოცია შეიძლება გამოიხატებოდეს მრისხანებით, თუმცა ის ასევე შეიძლება მოიცავდეს შიშს ან რაიმე ძალადობით გამოწვეულ ძლიერ განცდას, რომელიც საკმარისია აზროვნების შესაზღუდად.⁹⁸

აშშ-ის კანონთა კრებულის თანახმად, არსებობს მძიმე და მარტივი მკვლელობები, რომლებიც ერთმანეთისაგან ბოროტი განზრახვის არსებობით განსხვავდება. მარტივი მკვლელობის სახეა - განზრახ მკვლელობა მოულოდნელი ჩხუბის დროს ან ძლიერი ემოციური მღელვარების მდგომარეობაში. ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, განზრახ მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ითვლება მარტივ მკვლელობად. ძლიერი სულიერი აღელვება არის სწორად ის მაპრივილეგირებული გარემოება, რომელიც მძიმე მკვლელობას აქცევს მარტივ მკვლელობად.⁹⁹ საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, კანადა, ა.შ.შ და ავსტრალიის რამდენიმე შტატი, პროვოცირებული

⁹⁷ დლონტი გ., კელენჯერიძე ი., დოლიძე თ., დლონტი ა., შედარებითი სისხლის სამართალი, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტი, 2022., გვ. 87-88.

⁹⁸ *Hanna v. Commonwealth*, 153 Va. 863, 149 S.E. 419 (1929).

⁹⁹ დლონტი გ., კელენჯერიძე ი., დოლიძე თ., დლონტი ა., შედარებითი სისხლის სამართალი, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტი, 2022., გვ. 160.

დანაშაული ცალკე არ მოიაზრება, არამედ მხოლოდ ე.წ. „მენსლოტერში“ (manslaughter)¹⁰⁰, რომელიც მოიცავს პრივილეგირებული მკვლელობის ნაირსახეობას ძლიერი ფსიქიკური ან ემოციური აღელვების დროს, რაც გამოწვეულია შესაბამისი საფუძვლიანი მიზეზით. ამ მიზეზის საფუძვლიანობა კი განისაზღვრება იმ პირის სუბიექტური აღქმით, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული.¹⁰¹ პროვოკაციის სუბიექტური აღქმა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მსხვერპლი იმ კონკრეტულ მომენტში არ აპირებდა არანაირი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას ბრალდებულის მიმართ, მაგრამ დანაშაულის ჩამდენს რეალურად სჯეროდა, რომ პირი განახორციელებდა მის მიმართ ძალადობას და ეს აღქმა განპირობებული იყო დაზარალებულის მიერ მის მიმართ მანამდე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით; ხოლო იმ კონკრეტული ქმედების შემდეგ ბრალდებულს არ ჰქონია მოძალადესთან არანაირი კონტაქტი, ანუ არ ჰქონდა მის მიმართ დაგროვილი ემოციების გამოვლენისა და გაანალიზების შესაძლებლობა. თუმცა მოძალადის დანახვამ გამოიწვია შიშის აფექტი და მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ მომენტში აღარ აპირებდა ძალადობის გამოვლინებას, ბრალდებულში გამოიწვია ძლიერი სულიერი აღელვება. შესაბამისად, მისი ადრინდელი ქმედება ჩაითვლება ბრალდებულის პროვოცირებად.¹⁰²

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კოდექსის მოდელი (Model Penal Code) „მენსლოტერს“, განათავსებს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას (**Negligence**) შორის. თავის მხრივ „მენსლოტერი“ იყოფა ორი სახედ: განუსჯელობით ჩადენილი (Recklessly)¹⁰³, და ძლიერი ფსიქიკური ან

¹⁰⁰ **Black's Law Dictionary, Ninth Edition**, St. Paul, Minn West Publishing Co., 2009., Pg. 1049.

¹⁰¹ Model Penal Code., §210.3 Manslaughter.

¹⁰² Howell v. State, 917 P.2d 1202, 1209 Alaska Ct. App. 1996.

¹⁰³ ქართველი ავტორი კ. წიქარიშვილი, ასეთ შემთხვევას ევენტუალურ განზრახვას მიაკუთვნებს, რაც სადაოდ მიგვაჩნია. **წიქარიშვილი კ.**, ევენტუალური განზრახვა თანამედროვე დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი მართლმსაჯულება N3, თბ.2008, გვ.34-40.

ემოციური აღელვების დროს ჩადენილი მკვლელობა, საგულისხმოა, რომ ორივე მათგანი, შეიძლება მოიაზრებოდეს ჩვენი ფორმულირების შესაბამის აფექტირებულ დანაშაულად.

რაც შეეხება ინგლისსა და უელსს, აქ „**Manslaughter**“- ის ორი სახე არსებობს: უნებლიე (**Involuntary Manslaughter**)¹⁰⁴ და ნებელობითი მოკვდინება (**voluntary Manslaughter**)¹⁰⁵, რომელშიც შედის როგორც აფექტირებული დანაშაული (**Loss of Control**) ისე შეზღუდული შერაცხადობა (**Diminished Responsibility**).¹⁰⁶ უნებლიედ ჩადენილი მკვლელობა ნაკლებად სერიოზულ დანაშაულადაა მიჩნეული, ვიდრე ნებელობითი მოკვდინება, თუმცა ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს უკანონო ქმედება.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში, აფექტირებული დანაშაული არც განზრახი დანაშაულია და არც გაუფრთხილებლობითი; ის რაღაც უცხო სუბიექტური ელემენტია, რომელშიც თან გვაქვს განზრახვა და თან არა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, აფექტი განზრახ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, რა დროსაც, ერთგვარ ფიქციასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან განზრახვა ქმედების სრული გაცნობიერების გარეშე მხოლოდ ფიქციის დახმარებით თუ იქნება შესაძლებელი.¹⁰⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სამართლის ქვეყნებში აფექტირებული დანაშაული მიეკუთვნება უმართლობის

¹⁰⁴ **Black's Law Dictionary, Ninth Edition**, St. Paul, MiNN West Publishing Co., **2009.**, Pg. 1049.

¹⁰⁵ იხ. Pg. 1050.

¹⁰⁶ იხ. Pg. 235.

¹⁰⁷ ამ მხრივ აფექტირებული დანაშაული მოგვაგონებს მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევას, რომელიც გამორიცხავს ფაქტობრივ გაუფრთხილებლობას, მაგრამ გულისხმობს სამართლებრივ გაუფრთხილებლობას; გამორიცხავს განზრახვას, თუმცა არ გამორიცხავს ქმედების ობიექტური მხარის ცნობიერად (შეგნებულად) განხორციელებას კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სურვილის გარეშე.

მაპრივილეგირებელ ტიპს, ანუ არა „Murder“-ს, არამედ “Manslaughter“-ს. მისი ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება მსხვერპლის მხრივ პროვოკაციით და შემდგომ ამ მსხვერპლის მოკვდინებით, შესაბამისად, სახეზეა ორმაგი მიზეზობრიობა. რაც შეეხება სუბიექტურ შემადგენლობას, სახეზე გვაქვს „Recklessness“, „რისკის შესაძლებლობის, საფრთხის თავაწყვეტილი უგულვებელყოფა“, ანუ „უგუნური ხელაქნეულობა“. ე.წ. განზრახვა შეიძლება იყოს „გათქვეფილი“ და „ზოგადი“. ვინაიდან სიტყვა „Recklessness“ (განუსჯელობა) სემანტიკური მხრივ ანუ აზრობრივად ძალიან წააგავს „Carelessness“-ს¹⁰⁸, რაც გაუფრთხილებლობის ერთ-ერთ სახეობას „თვითიმედოვნებას“ ენათესავება, რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი სინონიმებია. ხაზგასმით უნდა გავემიჯნოთ ამ მცდარ აზრს, რომელმაც შეიძლება იურიდიული ტერმინოლოგიის მიუტევებელი აღრევა გამოიწვიოს. საქმე ისაა, რომ ყოფითი სიტყვები და გამოთქმები ამა თუ იმ დარგში განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება. ასეა აქაც, მართალია „Recklessness“ და „Carelessness“ ყოფითი გაგებით ორივე „განუსჯელობას“ ანუ გაცნობიერებული საშიშროების, რისკის, საფრთხის უგულვებელყოფას ნიშნავს. მაგრამ სამართლებრივი მნიშვნელობით ისინი როდი გამოხატავენ ფსიქიკური ვითარებისა თუ პროცესების იგივეობას. „Recklessness“-ის შემთხვევაში, მოქმედ სუბიექტს გაცნობიერებული აქვს საფრთხე ანუ მძიმე შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა, თუმცა არ დაგიდევს ამას და ხელაღებით განაგრძობს მართლსაწინააღმდეგო აქტივობას. სხვა სიტყვებით ის საერთოდ არ აანალიზებს არსებულ საფრთხეს, რადგან მისი განწყობაა : „რაც იქნება, იქნება“, ოღონდ კი სიტუაციური მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. თვითიმედოვნების დროს პირიქით, სუბიექტი არა თუ მსჯელობს და აანალიზებს, არამედ in abstracto წარმოიდგენს კიდევაც მისთვის და სხვისთვის მავნე შედეგის

¹⁰⁸ Ugrekhelidze M., Criminal Carelessness as an Inexcusable Mistake., კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალი „მაცნე“, 2012., N4, გვ.71.

შესაძლებლობას, მაგრამ in concreto, გარკვეულ გარემოებებზე დაყრდნობით, დარწმუნებულია, რომ ამჯერად საფრთხე არ რეალიზდება მავნე შედეგში.¹⁰⁹ ეს ყოველივე აფექტირებული დანაშაულის არც ევროპულ კონსტრუქციას შეესაბამება, და არც ქართულს. ქართული გადმოსახედიდან ესაა „შედეგებული განზრახვა“, ის არის უკიდურესად „შემჭიდროვებული“ და „დაპრესილი“, დროში ელვისებური სისწრაფით განვითარებული ინტენსიური პროცესი, რაც განპირობებული და გამოწვეული არის მსხვერპლის მხრივ ისეთი ქმედებით, რომლის მიმართ დამნაშავის ემოციური მდგომარეობა ხდება უაღრესად მოწყვლადი.¹¹⁰

ვფიქრობთ, აფექტირებული დანაშაულის საერთო სამართლის სისტემის მოდელი თუნდაც იმით ვერ იქნება გამოსადეგი, რომ ბევრ შეფასებით ნიშანსა და ფიქციას შეიცავს; არა თუ კანონი, არამედ “Model Penal Code”-იც კი არ ითვალისწინებს მისი „უმართლობის“ საკანონმდებლო აღწერილობას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ აფექტირებული დანაშაულის ევროპული ვერსია გაცილებით უფრო დახვეწილი, ნათელი და საიმედო კონსტრუქციაა. 2015 წელს კანადამ პროვოცირებული დანაშაულის რეგულაციის რეფორმირება მოახდინა. ამისდა მიხედვით, მსხვერპლის ქცევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მაპრივილეგირებულ გარემოებად, თუ იგი მოიცავს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს 5 და მეტი წლით თავისუფლების აღკვეთას და, თუ ეს ქმედება კეთილგონიერ ადამიანშიც გამოიწვევდა თვითკონტროლის შეზღუდვას.¹¹¹

მსგავსი შეზღუდვა არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, თუმცა დახვეწას საჭიროებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც. დღევანდელი

¹⁰⁹ **მაყაშვილი ვ.**, ვენეტუალური განზრახვის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი,“ 1965, N4, გვ. 26.

¹¹⁰ **უგრეხელიძე მ.**, გაუფრთხილებლობის მასშტაბი ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში., ჟურნალი „საბჭოთა სამართალი,“ N4., 1967., გვ.68.

¹¹¹ Canada Criminal Code., Article 232(2).

კოდექსის მიხედვით, ძლიერი სულიერი აღელვებით ჩადენილი დანაშაულის დეფინიციში მის გამომწვევ მიზეზებად დასახელებულია მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, მძიმე შეურაცხყოფა ან სხვა მძიმე ამორალური ქმედება, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმა. არ შეიძლება ეს ყოველივე ერთმა ფორმულირებამ დაიტოს. ამიტომ უნდა არსებობდეს ამ დანაშაულის ფრაგმენტული განაწილება ქვეპუნქტებად, სადაც მართლსაწინააღმდეგო ძალადობით გამოწვეული უკუქმედება ნაკლები სიმძიმის დანაშაული იქნება, ვიდრე მძიმე შეურაცხყოფით ან სხვა მძიმე ამორალური ქმედებით გამოწვეული. მაგალითად 2006 წელს ავსტრალიამ გააუქმა პროვოცირებული დანაშაულის პრივილეგიური მდგომარეობა, რათა არ მომხდარიყო არამძალადობრივი სქესობრივი განვითარების შერაცხვა როგორც ერთ-ერთი მაპროვოკაცირებელი ფაქტორისა. უელსიც ამავე გზას დაადგა. ამ ყველაფერს თუ შევადარებთ საქართველოს 2016-2017 წლის სასამართლო პრაქტიკას, სადაც სამივე ინსტანციის სასამართლომ არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში ბრალდებული პირი მიიჩნია ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე მყოფად და მას 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, დავინახავთ, რომ ეს ნამდვილად არარელევანტურია, ვინაიდან ზემოხსენებულ საქმეში არ იკვეთებოდა სექსუალური ძალადობის ნიშნები და ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი არასრულწლოვნებს შორის არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს გამიჯვნა ცოლქმრული ღალატის ნიადაგზე და გაუპატიურების ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ნიადაგზე წარმოშობილი აფექტირებული დანაშაულებისა, ვინაიდან ეს შემთხვევები უმართლობის ხარისხით საგრძნობლად განსხვავებულია.

- საერთო სამართლის ქვეყნებში, სადაც ან არ არსებობს სისხლის სამართლის კოდიფიცირებული კანონმდებლობა, ან , თუ არსებობს და სადაც

არსებობს, ე.წ. „აფექტირებული დანაშაული“ ცალკე არ არის გამოყოფილი როგორც უმართლობის დამოუკიდებელი ტიპი (Delictum sui generis), მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა მას მიაკუთვნებს მკვლელობის პრივილეგირებულ ნაირსახეობას, რომლის სახელწოდებაცაა manslaughter (მენსლოტერი) და არა murder (მერდერ).

- „აფექტირებული დანაშაულის“ (აქ და ამჯერად იგულისხმება ოდენ მკვლელობა) ობიექტურ შემადგენლობას განეკუთვნება : ა) ქმედება, შედეგი (სიკვდილი), მიზეზობრივი კავშირი მათ შორის და ნებისმიერი სხვა ფაკულტატური ელემენტი; ბ) მხვერპლის მხრივ გამომწვევი, მაპროვოცირებელი ქმედება; გ) მიზეზობრივი კავშირი მსხვერპლის ქმედებასა და პროვოცირებული დანაშაულის ქმედებას შორის (ასე ყალიბდება „ორმაგი მიზეზობრიობა“).

- განსახილველი დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას განეკუთვნება ორივე ელემენტი, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია „მენსლოტერი“სათვის. ესენია: ა) განუსჯელობა; ბ) უკიდურესი სულიერი ან ემოციური დროებითი აშლილობა, რომელსაც საფუძვლიანი (გონივრული) ახსნა ან გამართლება შეიძლება დაეძებნოს. გონივრულობის ტესტია ე.წ. „კეთილგონიერი ადამიანი“ და ის, თუ, როგორ მოიქცეოდა იგი ასეთივე ვითარებაში, როგორც ეს მას წარმოედგინა.

- ამოსავალი დებულების სახით სუბიექტური შემადგენლობის ვერიფიკაციისათვის ტრადიციულად გამოიყენება მრავალჯერ ნაცადი და გადასინჯული , თუმცა დღემდე შენარჩუნებული ე.წ. „მაკნათენის“ საქმე, რომელიც, მართალია შერაცხადობა - შეურაცხაობის კრიტერიუმად მიიჩნევა სუბიექტის უნარს „ქცევის ავ-კარგიანობის“ გარჩევისა, მაგრამ , ვინაიდან ეს უნარი დახარისხებას ექვემდებარება მეტ-ნაკლები გაცნობიერების თვალსაზრისით, ამიტომ ის უშუალოდ ვრცელდება აფექტირებულ დანაშაულზე, რომელიც ფსიქიკური აქტივობის ან მდგომარეობის სერიოზულ

სიტუაციურ აშლილობად მიიჩნევა (თუ პროვოკაციის ფაქტი დადგინდება). ასეთი შემთხვევა ჩვეულებრივ , ორდინარულ უმართლობას პრივილეგირებულ უმართლობად გარდაქმნის.

- „აფექტირებული დანაშაულის“ სამართლებრივი რეგულაციის საკითხისადმი საერთო სამართლის მიდგომა არსებითად განსხვავდება სხვა სამართლებრივი სისტემების, მათ შორის - ქართული სისტემის კონსტრუქციისაგან და არა თუ მნელია მათზე უმჯობესად იქნეს მიჩნეული, არამედ პირიქით, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ის გაცილებით არასაიმედო და მოუხერხებელია.
- საერთო სამართლის სისტემის მთავარი ნაკლი, როგორც ჩანს, უპირატესად, მისი ბუნდოვანებიდან წარმოდგება, ხოლო ამ ბუნდოვანებას ე.წ. „შეფასებითი“ ცნებების, ტესტების, ფიქციებისა და კრიტერიუმების სიუხვე განაპირობებს.
- კიდევ მრავალი სირთულე და წინაპირობა იჩენს თავს მეცნიერულ კვლევებსა და კომენტარებში, რომლებიც შეეხება „აფექტირებული დანაშაულის“ ბუნებას საერთო სამართლის ქვეყნებში. ამიტომ, კვლევა უთუოდ გასაგრძელებელია, მეტადრე სასამართლო პრაქტიკის სფეროში ჩასახული ტენდენციების გამოსავლენად და გასაანალიზებლად.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ , რომ აფექტირებულ დანაშაულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია რამდენიმე ასპექტი:

- სისხლის სამართლის კოდექსის 111 -ე და 121 -ე მუხლებიდან სიტყვა „ამორალური“ უნდა იქნას ამოღებული. ვინაიდან მორალი ეფუძნება ზნეობრივ ნორმებს, რომლებიც საკმაოდ ბუნდოვან შეფასებით ცნებებსა და მსჯელობებს შეიცავს, რომლებიც მოკლებულია „სამართლებრივ გარკვეულობას“ (ე.წ. legal certainty). მათი ზუსტი კონცეპტის, სემანტიკური შიგთავსის დადგენა ხშირად გართულებულია. ამორალურ ქმედებათა წრე იმდენად გრძელია, რომ პრაქტიკულად ამოუწურავია. მინდია უგრეხელიძის გამოთქმას თუ დავესესხებით, ეს ქმნის ერთგვარ „კაზუალურ აბლაბუდას“, საიდანაც ზოგჯერ შეუძლებელი ხდება ჭეშმარიტების „გამოხსნა“ და მკაფიო დასკვნის გამოტანა ზუსტი იურიდიული კვალიფიკაციის მისაღწევად. ამორალური საქციელისთვის ადამიანის მკვლელობის პრივილეგირებულ დანაშაულად განხილვა ეწინააღმდეგება საღ აზრსა და ლოგიკას, ისევე როგორც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა საკითხის განხილვა სუბსუმციის ანუ დანაშაულის კვალიფიკაციის სივრციდან ბრალისა და პასუხისმგებლობის, ასევე, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპისთვის მიგვენდო და მაშინ თითოეული ცალკეული შემთხვევა case by case გადაწყდება მაპროვოცირებელი ქმედებისა და სუბიექტის ვიქტიმურობის ხარისხის შესაბამისად.
- თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება უნდა ამოირიცხოს მაპრივილეგირებელი აფექტის გამომწვევი მიზეზებიდან , რათა არ მოხდეს ოჯახური ძალადობის ხელშეწყობა და სქესობრივი ნიშნით ჩაგვრა. რაც შეეხება ადიულტერს, ასეთ დროს აუცილებლად უნდა იქნეს

გათვალისწინებული მეუღლეების წინარე ურთიერთდამოკიდებულება, ვიდრე დანაშაულის ფაქტი დადგებოდა. ღალატში, როგორც დამნაშავის მაპროვოცირებელ ქმედებაში, თავად პროვოცირებულს არ უნდა მიუძღვოდეს წვლილი. ანუ, თუ ქმარი შეურაცხყოფელად ექცეოდა ცოლს, ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად ძალადობდა მასზე, ან თავად ღალატობდა, ასეთ შემთხვევაში ცოლის მხრიდან ადიულტერის ფაქტი არანაირად არ უნდა ჩაითვალოს მაპრივილეგირებელი აფექტის გამომწვევ მიზეზად. ამასთანავე, აუცილებლად გასათვალისწინებელია ასეთ დროს განზრახვა. თუ პირმა, რომელიც სექსუალური სახის ურთიერთობას ამყარებს დაქორწინებულ ქალთან, ამის შესახებ არაფერი იცის, ვერ ჩაითვლება მაპრივილეგირებელი პროვოცირების გამომწვევ სუბიექტად. შესაბამისად, მის მიმართ განხორციელებული ქმედება აფექტირებული პირის მხრიდან, არ შეიძლება იწვევდეს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას. ასეთი პროვოცირება შესაძლოა შევადაროთ „მოჩვენებით პროვოკაციას“, რაც ვფიქრობ მხოლოდ მაშინ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას, თუ სახეზე გვაქვს ფიქსირებული განწყობა პროვოკატორის მიმართ.

- სისხლის სამართლის კანონმდებლობაში უნდა მოხდეს მართლსაწინააღმდეგო ძალადობით და მძიმე შეურაცხყოფით გამოწვეული აფექტის დროს ჩადენილი დანაშაულთათვის სასჯელების დიფერენციაცია. რათა არ გაჩნდეს საფრთხე შეუზღუდავი მიხედულებით გადაწყვეტილების მიღებისა.
- მართლსაწინააღმდეგო ძალადობით გამოწვეული აფექტის დროს ჩადენილი დანაშაული საპატიმრო სასჯელებს საერთოდ არ უნდა ითვალისწინებდეს და ის უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შინაპატიმრობით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით.

- სიცოცხლისთვის საშიში ფიზიკური ძალადობით და სექსუალური ძალადობით გამოწვეული აფექტირებული დანაშაული, აუცილებელი მოგერიების ინტენსიური ექსცესის დროს, უნდა გამორიცხავდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას, ვინაიდან ასეთ დროს პროვოკატორის განზრახვი ქმედებით, იმდენად მძიმე ემოციურ ტრამვას იღებს ადამიანი, რომ რთულია კონტროლის შენარჩუნება და თავის შეკავება ზედმეტი გადაცდომისაგან. ამ დროს ქმედება შეგვიძლია შევადაროთ მოჩვენებით მოგერიებას, რა დროსაც სახეზეა მისატყვებელი კაზუსი. აღნიშნული საკითხი, ვფიქრობ, ამგვარად უნდა გადაწყდეს: თუ სახეზე გვექნება აუცილებელი მოგერიების ინტენსიური ექსცესი, ნებისმიერი სახის აფექტი, იქნება ეს შიშის თუ რისხვის, უნდა იწვევდეს ბრალის გამორიცხვას. სხვა შემთხვევაში გამოდის, რომ პირი ისჯება აფექტში ჩავარდნის გამო. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ზემოთ განხილული ერთ-ერთი ქეისი, სადაც მოძალადე შვილი სისტემატიურად ძალადობდა მამაზე. მორიგი კონფლიქტის დროს მან დანით მიაყენა ყელის არეში ჭრილობა მამას, მიუხედავად ამისა მამამ სცადა გარიდებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ შვილს და სამზარეულოში გავიდა, სადაც შვილიც გაყვა და მოღერებული დანით აპირებდა მორიგი თავდასხმის განხორციელებას, რა დროსაც მამამ, იქვე არსებული დანა აიღო და შვილს 24 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მართალია მამა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მრავლობითი სახის ჭრილობები არ იყო თანაზომიერი, რის გამოც ქმედება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებად დაკვალიფიცირდა. იმ შემთხვევაში, თუ მამა მხოლოდ 1 ან 4 ჭრილობას მიაყენებდა მოძალადე შვილს, რაც საკმარისი აღმოჩნდებოდა აუცილებელი მოგერიებისათვის, იგი საერთოდ არ დაისჯებოდა

მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო. ვიცით, რომ აფექტის მდგომარეობაში პირი განიცდის ძლიერ ემოციურ შეტევას და იქამდე ვერ გაჩერდება, სანამ არ დაიცლება ამ ემოციისაგან. თუ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მამა მხოლოდ ერთ ჭრილობას მიაყენებდა შვილს და გაჩერდებოდა, ვინაიდან დარწმუნდებოდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა და აუცილებელი მოგერიების ფარგლები აღარ არსებობდა, მაშინ არც აფექტირებული მდგომარეობა გვექნებოდა სახეზე. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება შესაძლოა მაშინ გვექნოდეს სახეზე, თუ შვილს დანა არ ექნებოდა და მამის მხრიდან სასიკვდილო ჭრილობების მიყენება აშკარად შეუსაბამო იქნებოდა თავდასხმის ხარისხთან. სხვა შემთხვევაში, გამოდის, რომ პირს აუცილებელი მოგერიების უფლებას აძლევ, მაგრამ ამავედროულად აფექტში ჩავარდნას უკრძალავ. სამართლებრივად გაკიცხავ იმის გამო, რომ სასიკვდილო თავდასხმის ან გაუპატიურების დროს განიცადა ძლიერი სულიერი აღელვება.

რაც შეეხება აუცილებელი მოგერიების ექსტენსიურ ექსცესს, ზემოაღნიშნული მოსაზრება უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე შიშის აფექტთან გვაქვს. როდესაც შიშით და დაბნეულობით გამოწვეული ძლიერი სულიერი აღელვების ფონზე მსხვერპლი ვერ აღიქვამს თავდასხმის დასრულების ფაქტს და თავს ისევ საფრთხეში გრძნობს. ასეთ დროს ქმედება შეგვიძლია შევადაროთ მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობას, ვინაიდან მსხვერპლის აღქმაში მოძალადე ჯერ ისევ საფრთხის წყაროს წარმოადგენს. ხოლო თუ ექსტენსიური ექსცესის დროს პირი რისხვის აფექტით ჩაიდენს დანაშაულებრივ ქმედებას, ის ყველა შემთხვევაში უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე ან 121-ე მუხლის მიხედვით.

- მაპრივილეგირებელი აფექტირებული მდგომარეობა უნდა გავრცელდეს ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც გამოწვეულია დაზარალებულის არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, არამედ სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებითაც. 111-ე და 121-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით : „ უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ, მძიმე შეურაცხყოფამ, ან მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან შეურაცხმყოფელი ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ.“
- ქმედების მაპრივილეგირებელი აფექტირებული მდგომარეობა გავრცელდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე და 336 -ე მუხლებზეც, კერძოდ ნივთის დაზიანება ან განადგურებაზე და სასამართლოს შეურაცხყოფაზე.
- ვინაიდან ევროინტეგრაციის ფონზე , ასოცირების ხელშეკრულებით მოგვეთხოვება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, ვფიქრობ ზემოაღნიშნული ნაბიჯები სწორად ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება.
- ასევე, აუცილებელია საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლა და თანამედროვე , პროგრესული სამყაროსათვის ფეხის აწყობა. ის ფასეულობები და შეხედულებები, რაც წლების წინ მნიშვნელოვანი და ღირებული იყო, დროსთან ერთად იცვლება და კარგავს თავის მნიშვნელობას. შესაბამისად საჭირო და აუცილებელიც კი არის საკანონმდებლო რეგულაციებითა თუ სასამართლო პრეცედენტებით არ მოხდეს მათი წახალისება. პირიქით, კანონმდებელსა და სასამართლოს, როგორც ხელისუფლების ძირითად განშტოებებს, მოეთხოვებათ იზრუნონ ქვეყნის პროგრესულ განვითარებასა და წინსვლაზე , დაიცვან საერთაშორისო კანონმდებლობითა და რეგულაციებით დაწესებული

სტანდარტები და ხელი შეუწყონ მათ განმტკიცებას ქვეყანაში , არა თუ წახალისონ ძალადობრივი და დისკრიმინაციული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები.

ბიბლიოგრაფია

ქართული ნორმატიული მასალა

- 1) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999
- 2) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009
- 3) საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 2010
- 4) საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ, 2006
- 5) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №142/ნ., 2008., სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ
- 6) ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014
- 7) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია., 2011

უცხოური ნორმატიული მასალა

- 8) Model Penal Code, 1951-1985
- 9) Schweizerisches strafgesetzbuch, 1992
- 10) Texas Penal Code., 1990
- 11) Canada Criminal Code., 1985
- 12) German Criminal Code., 1998

ქართულენოვანი ლიტერატურა

- 13) აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა (We The People. A secondary level Student Text), თბილისი, 1997. (სამეცნიერო რედაქტორი - **მ.უგრეხელიძე**)
- 14) ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გამომცემლობა „სამართლებრივი განათლების ასოციაცია“ თბილისი., 2002
- 15) განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი., გერმანია, 2012
- 16) **ბიჭია მ.**, ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)., თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი 2014., N2
- 17) **გამყრელიძე ო.**, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი., დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ., თბ., 2002

- 18) **გამყრელიძე ო.**, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი., 2008
- 19) **გიორგიძე ა.**, შეზღუდული შერაცხადობა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014
- 20) **გიორგიძე ა.**, „სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ, აფექტში ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაციის ცალკეული საკითხები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „იურიდიული მაცნე“, N1, 2018
- 21) **გურული ჰ.**, „ადამინის პიროვნული და სოციალური ურღვევობა, როგორც სისხლისსამართლებრივი ხელყოფის ობიექტი“, ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტომი II. თბილისი, 2015
- 22) **გურული ჰ.**, „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება - ლეგიმეტრიული გააზრება“, ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, N6, 2017
- 23) **ვაჩიშვილი ალ.**, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957
- 24) **ვაჟა-ფშაველა.**, ტომი II, ლექსები 1904 -1915., „აზრი და გრძნობა“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი., 1964
- 25) **იმედაძე ი.**, „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, თბილისი. 2007
- 26) **კვაჭაძე მ., მჭედლიშვილი გ.**, ბავშვის მეურვეობის საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში (ზოგიერთი ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტი), თბილისი, 2018
- 27) **ლეონარდი დ.**, ევროკავშირი სახელმძღვანელო, თარგმანი მე-7 გამოცემიდან, საქართველოს გამომცემლობათა ასოციაცია, გამომცემლობა ჯისიაი.2002
- 28) **ლევკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.**, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I)., გამომცემლობა მერიდიანი., 2011
- 29) **ლევკვიშვილი მ.**, მკვლელობა ჩადენილი ძლიერი აღელვების საფუძველზე., ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1976., N5
- 30) **ლემონჯავა ტ.**, აფექტის მიზეზად ადიულტერის ჩათვლისათვის., ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1978., N3
- 31) **მაყაშვილი ვ.**, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1965, N4
- 32) **მერაბიშვილი გ.**, ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია., გამომცემლობა „psycho Arsi“. , 2016
- 33) **მესხი მ.**, ღირსების სახელით ჩადენილი ფემიციდი., თსუ იურიდიული ფაკულტეტის მოხსენებები., 2019
- 34) **მეფარიშვილი გ.**, ცხოვრება და კანონი., გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი., 2008
- 35) **ნათაძე რ.**, ფსიქოლოგია., გამომცემლობა სახელგამი., 1948

- 36) ნანეიშვილი გ., სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები, სამეცნიერო ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, N4, 1979
- 37) ნანეიშვილი გ., აფექტური აშლილობანი შიზოფრენიის დროს, კლინიკური, ექსპერიმენტალურ-ფსიქოლოგიური და ჰემისფერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მონაცემები. დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1994
- 38) ნადირაშვილი შ., განწყობის ანთროპული თეორია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2014
- 39) ნადირაშვილი დ., ფსიქოლოგიური გავლენა: განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის თვალსაზრისით, გამომცემლობა დიოგენე, თბ., 2006
- 40) ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., ივანიძე მ., ცქიტიშვილი თ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში., 2016
- 41) ორაბელაშვილი ა., ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართება სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობის სამართალთან, კრებულში ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი ვ.კორკელია), თბილისი, 2002
- 42) პიზი ა., პიზი ბ., სხეულის ენა, თარგმანი ინგლისურიდან, გამომცემლობა არტე, 2016
- 43) პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, გამომცემლობა „სანი“, თბილისი, 1999
- 44) ტურავა მ., დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011
- 45) საქართველოს სახალხო დამცველი., ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში., 2018
- 46) სამსონიძე ც., ნანეიშვილი გ., ზურაბაშვილი დ., ბერია ზ., ხარებავა თ., ბაზლაძე თ., სასამართლო ფსიქიატრია., გამომცემლობა „თობალისი“, 2006
- 47) უგრეხელიძე მ., „პოსტკრიმინალური ემოციური განცდების ფენომენოლოგია“ , საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი - სამართალი და მსოფლიო, N7, 2017
- 48) უგრეხელიძე მ., სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა, სამეცნიერო ჟურნალი -ქართული პოლიტიკა, N21, 2015
- 49) უგრეხელიძე მ., ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის, საბჭოთა სამართალი, N6, 1978
- 50) უგრეხელიძე მ., ლეგიმეტირიდან სამართლის დიმენსიოლოგიამდე, სამეცნიერო ჟურნალი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, N3, 2011.(რუსულ ენაზე)
- 51) უგრეხელიძე მ., მიზეზობრივი კავშირის გაგებისათვის. ჟ. „მაცნე“ (ფილოსოფიისა და სამართლის სერია), 1977, N1

- 52) უგრეხელიძე მ., გაუფრთხილებლობის მასშტაბი ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში., ჟურნალი “საბჭოთა სამართალი”., 1967., N4
- 53) უზნაძე დ., განწყობის ფიქოლოგია, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2009
- 54) ფერენცი მ., რეცენზია თ. შავგულიძის ნაშრომზე - აფექტი და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1. 1982
- 55) ქობალია გ., დანაშაულში თანამონაწილეობის სამართლებრივი ბუნება აშშ-ის სისხლის სამართალში., სამეცნიერო ჟურნალი „იუსტიცია“., 2023 N1 (4)
- 56) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია., თბილისი., 1978., ტ.3
- 57) ღლონტი გ., კელენჯერიძე ი., დოლიძე თ., ღლონტი ა., შედარებითი სისხლის სამართალი.,ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტი., 2022
- 58) შავგულიძე თ., აფექტში ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, სამეცნიერო ჟურნალი საბჭოთა სამართალი, N3, 1963
- 59) შავგულიძე თ., აფექტი და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973
- 60) შავგულიძე თ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ., თბ., 1980
- 61) გერიგი რ., ზიმბარდო ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება., ქართულად მთარგმნელები: ჩიტაშვილი მ., მირიანაშვილი მ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა ., 2009
- 62) შალვა-ალექსი მესხიშვილი., სტოლერმანის საქმე., საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი“ ., N2 2013
- 63) ჩხარტიშვილი შ., ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. გამომცემლობა „ცოდნა“, თბ., 1958
- 64) ჩხარტიშვილი შ., ნებისყოფა და მისი აღზრდა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1964
- 65) ციპელიუსი რ., 2006., იურიდიული მეთოდების მოძღვრება., მეათე გადამუშავებული გამოცემა.,გამომცემლობა ბეკი, მიუნხენი., გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლევან თოთლაძემ., 2009., გამომცემლობა gtz
- 66) ცქიტიშვილი თ., სასჯელი და მისი შეფარდება., გამომცემლობა მერიდიანი. 2019
- 67) წერეთელი თ., აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება. სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი“ N10, 1955
- 68) წერეთელი თ., ტყემელიაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1969
- 69) წიქარიშვილი კ., ევენტუალური განზრახვა თანამედროვე დასავლეთ - ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჟურნალი „მართლმსაჯულება“ N3, თბ.2008

- 70) წირქვაძე თ., აფექტირებული დანაშაულის საკვლევი მეთოდოლოგიური ქარგა., ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 2019., N 13
- 71) წირქვაძე თ., აფექტირებული დანაშაულის ესკიზი საერთო სამართლის ქვეყნებში, სამეცნიერო ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 2020., N 15
- 72) წირქვაძე თ., აფექტირებული დანაშაული, როგორც ვიქტიმოლოგიური პრობლემა, სამეცნიერო ჟურნალი „კრიმინოლოგი“, 2020., N 15
- 73) წირქვაძე თ., ფსიქიკურ ფუნქციათა ურთიერთქმედების ერთი ლიტერატურული პარალელის სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ , ჟურნალი „იურიდიული მაცნე“, 2021., N3
- 74) წირქვაძე თ., სასჯელის ლიბერალიზაცია და საპატიმრო სასჯელების ჰუმანიზაცია საქართველოში., სამეცნიერო ჟურნალი „იუსტიცია“, 2022., N3(3)
- 75) ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ. : გამომცემლობა განათლება, 1989
- 76) ჯიშკარიანი ზ., ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2013

უცხოენოვანი ლიტერატურა

- 77) The American Journal of Psychiatry, C XII, 1956
- 78) Abel Richard L. A Socialist Approach to Risk, 41, Md.L., Review, 1982
- 79) Aquarius (Watermeyer Cj); Causation and Legal Responsibility, 1941, 58, SALJ, 232, 1945, 62, SALJ, 126
- 80) Б. М. Теплов, Психология, М., 1946
- 81) Bassiouny M. Cherif; A Draft International Criminal Code and Draft Statute for an International Criminal Tribunal. Martinus NijHoff Publishers, 1987
- 82) Bassiouny M. Cherif., Substantive criminal law, Charles C Thomas Pub Ltd. 1978
- 83) Black’s Law Dictionary, Centennial edition (1891-1991). St. Paul, MiNN West Publishing Co, 1991
- 84) Black’s Law Dictionary, Ninth Edition, , St. Paul, MiNN West Publishing Co. 2009
- 85) Council of Europe, Committee of Ministers, Plenary., “Committee on Ministers-on the protection of women against violence”., 2002
- 86) Сидоров Б .В . Аффект . Его уголовноправовое и криминологическое значение . Изд . Казанского университета , Казань , 1978
- 87) Costa Jean-Poul. The European Court of Human Rights and its Recent Case Law. Texas International Law journal. Volume 38, 2003, N3
- 88) Dahl’s Law Dictionary. Second Edition. French to English/ English to French by Henry Saint Dahl. Dalloz, Paris, 2001

- 89) Davidson D. Action, Reasons and Causes, *Journal of Philosophy*, 60, 1963
- 90) Датий А.В., Учебник - Судебная медицина и психиатрия . Москва., РИОР. 2011
- 91) Dr. Egmont Foregger., *Strafrecht Konkret.*, 1975
- 92) Dworkin Ronald. *Taking Rights Seriously*, 1977
- 93) Edgerton H.W.; *Legal Cause*, 1924
- 94) Eisler – Mertz C., *Die Sprache der Hände, Was unsere Gesten verraten*, MVG, 2001
- 95) Foster L. *The risk Theory and Proximate Cause*, 1953, *Nebraska Law Review*
- 96) Fischer T., *Strafgesetzbuch.*, 68. Auflage., 2021
- 97) G. Stefani., *Droit pénal general .*, DALLOZ., 1978
- 98) Gotsiridze Eva; *Causation: Reflection in the Mirror of the European Convention on Human Rights*, Liber amicorum LUZIUS WILDHABER (Collection of Essays). Engel Verlag (Kehd), 2006 (coauthored by M.Ugrekheldze)
- 99) Hall J.; *General Principles of Criminal Law*, Indianapolis. 1947
- 100) Hall J.– *Yale Law Journal*, 761, 773-774, 1956, v.65
- 101) Horwitz Morton J.; *The Doctrine of Objective Causation in Politics of Law: A Progressive Critique*. (David Kairys ed., 1990)
- 102) Hetinger M.,., *Die “actio libera in causa” : strafbarkeit wegen Begehungstat trotz Schuldunfähigkeit? .*, Duncker & Humblot GmbH, Berlin., 1988
- 103) Dr. Helmut Haberl., *Strafgesetzbuch.*, Graz, 1979
- 104) Herman J., *Causing the Conditions of One’s Own Defense: The Multifaceted Approach of German Law.*, *Brigham Young University Law Review.*, 1986
- 105) Heinrich B., *Strafrecht., Allgemeiner Teil. I.*, 2 Edition., 2010
- 106) Izard C. E., *Human Emotions*, New York Plenum Press, 1977
- 107) Izard CE., 2007b., *Levels of emotion and levels of consciousness. Behav. Brain Sci*
- 108) К.Маркс и Ф.Энгельс, *Соч.*, т.I
- 109) Keeley P.J.; *Causation and Justice; A comment*. 1978. *Washington ULQ*
- 110) Kelsen H.; *Vergeltung und Kausalitat*, Hague, 1941
- 111) Kindhauser U., *Strafrecht., Allgemeiner Teil. I.*, 4th Edition., 2009
- 112) Lenny Roth., Lynsey Blayden., *Provocation and self-defence in intimate partner and sexual advance homicides.*, *Briefing Paper 3/07.*, New South Wales., 2012
- 113) Лурия А. Р., 1984., *Диагностика следов аффекта .*, — В кн: *Психология эмоций. Тексты / Под ред. В. К. Вилюнаса, Ю. Б. Гиппенрейтер.*, Изд-во Моск
- 114) Лурия А. Р., 1928., *Сопряженная моторная методика и ее применение в исследовании аффективных реакций.* — В кн: *Проблемы современной психологии*, т. 3. М
- 115) Matsumoto D., 2001 ., *The Handbook of Culture and Psychology*. Oxford University Press, New York

- 116) **Малинин В.Б.**; Причинная связь в уголовном праве ,СПБ : "Юридический центр Пресс>>, 2002
- 117) **Macha H.**, Die Bedeutung der Emotionalität für die Persönlichkeitsentwicklung. Bonn, 1980
- 118) **Model Penal Code(USA)** official Draft and Explanatory Notes. Philadelphia, PA. The American Law Institute , 1985
- 119) **Петражицкий Л.И.** Введение в изучение права и нравственности. Основы эмоциональной психологии, Издание третье. – СПб.: Типография Ю.Н. Эрлих, 1908
- 120) **Peczenik A.**, Causes and Damages, Lund, 1979
- 121) **Phillips J.J.** Reflections on Factual Causation, Washington University Law Quarterly., 1978
- 122) **Рубинштейн С.Л.** Основы общей психологии . Изд . Учпедгиз. М., 1946
- 123) **Reid Griffith Fontaine**, Disentangling the Psychology and Law of Instrumental and Reactive Subtypes of Aggression, 13 Psychol. Pub. Pol'y & L. 2007
- 124) **Roxin.**, Strafrecht., Allgemeiner Teil. I., 4th Edition., 2006
- 125) **Richard C. Donnelly, Joseph Golgstein, Richard D. Schwartz.**, Criminal Law, Free Press of Glencol, Une., 1963
- 126) **Schneider.**, Überlegungen zur restriktiven Auslegung von 213 StGB., NStZ., 2001
- 127) **Susanne Beck.**, Neue Konstruktionsmöglichkeiten der *actio libera in causa.*, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik., ZIS 6/ 2018
- 128) **Таганцев Н.С.** Русское уголовное право. часть общая. Т.1. Изд. "Автограф", Тула., 2001
- 129) **Таганцев Н.С.** Русское уголовное право. часть общая. лекции. Т.1. Изд. "Наука ", М., 1994
- 130) **The Oxford Companion to Law by David Walker.** Clarendon Press. Oxford. 1980
- 131) **Ткаченко А.А.**, Судебная психиатрия : консультирование адвокатов ., Изд ., Погос. 2004
- 132) **Von Diethart Zielinsk.**, Handlung – Und Erfolgswert im Unrechtsbegriff., Germany, 1973
- 133) **Von Jürgen Baumann.**, Programm für ein neues Strafgesetzbuch., Germany, 1968
- 134) **Угрехелидзе М.Г.** ; Теория „вероятностной причинной связи“ требует проверки , ж . „Советское государство и право” , N5, 1974
- 135) **Ugrekheldize M.**, Die Bedeutung des Schuldgehalts der Tat im Strafrecht. Zweites Deutsch-Sovietisches Kolloquium Über Strafrecht und Kriminologie., „Nomos”-ის გამომცემლობა (ზადენ- ზადენი, გერმანია)., 1984
- 136) **Ugrekheldize M.**, Structure, Content Analysis and Dimensiology of a Victimogenic Situation., Scientific Journal Law and the World., 2020., N 14

- 137) **Ugrekheldize M.**, Criminal Carelessness as an Inexcusable Mistake., კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალი „მაცნე“, N4. 2012
- 138) **Шавгулидзе, Т. Г.**, аффект и уголовная ответственность, издательство "мецниереба", Тбилиси, 1973
- 139) **Warnock G.J.**, Every Event has a Cause, Logic and Language, Series II, pp.95, 103-4
- 140) **Walker David M.**, The Oxford Companion to the Law, Oxford University Press, 1980
- 141) **Williams Glanville;** 1) Causation in the Law, 1961. Cambridge Law journal, 62, 2) The Risk Principle. 77, Law Quarterly Review, 179. 1961
- 142) **Williams Glanville**, *Textbook of Criminal Law*, London: Steven & Sons, 2nd edn., 1983
- 143) **Lord Wright.**, Notes on Causation and Responsibility in English Law , , Cambridge Law Journal 163, 1955
- 144) **Wildhaber Luzius.** The Right to Offend, Shock or Disturb? _ Aspects of Freedom of Expression Under the European Convention on Human Rights, Dublin, 11 October 2001

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. CASE OF KYPRIANOU v. CYPRUS, Application no. [73797/01., 15/12/2005](#)
2. Howell v. State, 917 P.2d 1202, 1209 Alaska Ct. App. 1996
3. **Hanna v. Commonwealth**, 153 Va. 863, 149 S.E. 419 (1929)
4. საკასაციო საჩივარი, 2კ-129აპ.-18, # 180100117002260397, თბილისი, 26/07/2018
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მაისის განაჩენი N1/6856-14
6. სააპელაციო საქმე #1/ზ-50-18 ., # 18-100117002260397., თბილისი., 05.02.2018
7. საკასაციო საჩივარი №293აპ-17, თბილისი, 4 ოქტომბერი, 2017